

ქართული ხარმიანი

კოტი გუგის ფიჭობი

2022 წელი

ქვეყნის
სამართლებო
უფლის დებულები

ლექსები

წიგნი გამოსაცემად მოამზადა საბერძნეთის ქართული
დიასპორის გაზეთ „ელადას“ რედაქციაშ (დამფუძნებელი
და მთავარი რედაქტორი ანა ყურშავიშვილი)

ჩემი გულში ხამი იმსელია შეი მიათვის. —
ეფრისხორის ეფრისუერი ჩაიჭრიბ!

ქეთევან ხარძიანი

რედაქტორისბან



ქეთევან ხარძიანის „ქვესკნელის წიაღიდან ამოხეთქილი ანკარა წყაროსავით“ ლექსები, – ნიჭიერი ავტორის უღრანი ფიქრია ადამიანის დანიშნულებასა და მოვალეობაზე. ეს ფიქრი, როგორც „თქარათქური გაზაფხულებზე შეშლილი წვიმის“ „თავგამეტებულ დინებებად“ იჭრება მკითხველის გონებაში და გაიყოლებს „თვალხილული სამყაროს“ მიღმა, რათა ერთად დაამარცხონ „სიკეთესთან ბოროტის ჯიბრი“ და არა მხოლოდ...
კამათში იბადება ჭეშმარიტება, ქეთევანი კი „საკუთარ თავთან პაექრობაში“ ცდილობს ადამიანის არსებობის, რაობის, დანიშნულების ამოხსნას იმ რწმენით, რომ ჩვენი „სულის სიღრმეში მადლის ბადახშები“ იმაღლება... ამ ძიებაში ხან შემართულია და ლოცულობს: „მოგვეცი ძალა, რომ მივუტევოთ გულმცირეობას და ყველა მჩაგვრელს“, ხან სწყინს და ანაღვლიანებს, „როცა გულლია შეხმიანებას ფარისეველთა გულით წონიან“ მავანნი...
მრავალწახნაგოვანია სვანეთის ლალი, მარად თოვლიან-ყინულიანი მთების ღირსეული შვილის ფიქრი: „ნეტა, რამდენი გენია მოკლა ამპარტავნების

ბოროტმა როკვამ... პატივმოყვარე ქათქათა შოლტ-მა“... „ნეტა, საიდან იბადება ამდენი ფერი?..“ „ნეტა, სად იღებს სათავეს წყარო, რომლითაც სული მოკვ-დავის ხარობს?..“

ეს ლამაზი პოეზიის კრებული ერთი ძლიერი, მტ-კიცე ხასიათის, ნიჭიერი ახალგაზრდა ქალისა და დე-დის ფიქრია. მეუღლეც ლირსეული ჰყავს ქეთევანს – ვაჟა-ფშაველას თარგზე მოჭრილი „კაი ყმა“. სამი შვილი ჰყავთ, სამი მზის სხივი: ანა, ნიკოლოზი, მარი-ამი. მათზე ლოცვას და სავედრებელს ცას ატანს ნის-ლად, შვილებს თავისებურ სიბრძნეს ასწავლის: „შენ უნდა იყო ისტორიის ფერადი გვერდი...“ „როცა არ-სებობ ქვეყანაზე, შენ, ღვთის განგებით, ამოუძირკვე მოყვასს გზაზე ეკალ-ბარდები“... „ლხინი აჩუქე, ჭირი არის მაინც თანმდევი“, „ისე აენთე, ისე დაიწვი, რო-გორც სანთელი...“

და თავადაც იწვის სანთელივით, როცა პოეზი-ის შუქი ადგას შარავანდედად, იწვის თავისი ოჯა-ხისთვის, თავისი მხარისთვის, ქვეყნისთვის, რადგან სჯერა: „როცა გახვალ ამ სოფლიდან უფლის ნებით, ტკივილს კი არა, სითბოს ბადებდეს შენი სახელი“.

ავტორი ლექსის წერის დროს მხოლოდ მუზის დედოფალი კი არა, ქართული ენის შესანიშნავი მცოდნეა, აქვს თავისი სტილი, წერის მაღალი კულ-ტურა, პასუხისმგებლობა მკითხველისადმი...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსი-ტეტი დაამთავრა, სვანეთში ცხოვრობს, მესტიის მუ-ნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსა-ხურის უფროსია... მთის ლალი შვილი – გულმზიანი,

გულმცინარე, საქმიანი, მესტიის ასზე მეტ სოფელს ემსახურება, ყველაფერს ასწრებს, ყოველთვის მზად არის მოყვასის დასახმარებლად.

თბილისში გვეწვია თავისი ლექსებით. საქართველოს ქალთა საბჭოს პრეზიდენტმა ქალბატონმა ქეთევან გაბრუაშვილმა საბჭოს წევრებთან ერთად შეხვედრა მოუწყო მესტიის ორგანიზაციის ლაზათიან, ნიჭიერ ხელმძღვანელს. იქ გავიცანი ერთი შეხედვით სუსტი, გამხდარი, ზღვისფერთვალება ქალბატონი...

მის საქმიანობაზე ისაუბრა ქეთევან გაბრუაშვილმა... საზოგადოებას წარუდგინა თავის სოფელ-ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, ინტელექტუალური ახალგაზრდა ქალი, საუკეთესო ორგანიზატორი, ქალთა უფლებებისა და ტოლერანტობის ქომაგი რეგიონში, სვანეთისათვის საჭირო და მნიშვნელოვანი ბევრი პროექტის მონაწილე, საქმის ერთგული...

სადაც არ უნდა ვიყო, ცხოვრების წესად მექცა კითხვა-პასუხის რეჟიმში ყოფნა...

- გალაკტიონი თუ ვაჟა?..
- გალაკტიონი...
- ლექსი თუ ნოველა?..
- „რაცა ღმერთსა არა სწადის, არა საქმე არ იქნების“...
- საყვარელი ლიტერატურული გმირი...
- უტა...
- ქალი?
- ოთარაანთ ქვრივი.
- რჩევა, რომელიც დღემდე გახსოვს...

- „შენზე ერთი დღით უფროსი, ჯოხიც რომ იყოს, მის რჩევას მოუსმინე და დაფიქრდი“...
- ოჯახის სრული ბედნიერებისათვის რა არის საჭირო?
 - სიყვარული, შინაგანი რწმენა, ურთიერთპატივისცემა...
 - რა გიყვარს?..
 - თავისუფლება...
 - რა არ მოგწონს?..
 - ღალატი.
 - რაზე დარდობ?..
 - მშობლები ბერდებიან...
 - რას ნატრობ?..
 - მშვიდობას.
 - სიკეთე გინანია?
 - არასოდეს. გული კი მტკენია...
 - რას ასწავლი შვილებს?..
 - რომ სვანეთი არის ყველაფერი, ფესვებიდან ნაყოფებამდე...

...სახლისკენ წამოსული სულ ვფიქრობდი: ასეთი ქალების მხრებზე დგას ქვეყანა...

ანა შურშავიშვილი

მწერალი. უურნალისტი. საქართველოს მწერალთა კავ-შირის წევრი. საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთ „ელადას“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი

ADAMANO!

08ედის ვრთები

(ერთი დედის ფიქრები)

შენ უნდა იყო ისტორიის ლამაზი გვერდი,
შთაგონებით რომ რუს ამინდებს
მზიანით შეცვლის,
რომ წაგიკითხონ, დადე, თუნდაც, აგური ერთი,
სიხარულის და სიყვარულისთვის იყავი გეზი!

ნუ გაგაპრუებს ახალგაზრდობის ლამაზი წლების
მკვეთრი სურნელი ისე ძლიერად, –
დაკარგო დღენი,
უმისამართოდ, უგანგებოდ განაგო გზები
და არ ახარო შენში ნაღდი, ძლიერი ფესვი!

შენ უნდა იყო უტყუარი კომპასი გემის,
შუაგულ ზღვაში გზააბნეულის,
დამფრთხალის ღელვით,
მაშველი რგოლი მოყვასის თუ უგნური მტერის,
რადგან შენ გქვია
თვით ქრისტეს რწმენის შთამომავალი –
სათნოება და გულმოწყალება ასე რომ შვენის!

შენ უნდა იყო ისტორიის ფერადი გვერდი,
რომ დაგეწაფოს,
როგორც სიბრძნეს, შთამომავალი,
წაგიკითხონ და მზე შეიგრძნონ ამომავალი,
კი არ განუდგე, გზა იყავი გზად მომავალის!

შენ უნდა იყო შინაარსი ამბების ძველის,
სხვათა სიცოცხლის შთაგონება –
კარგისკენ შეცვლის,
დიდ წინაპართა მონაპოვარის და განძთა მცველი,
გულის სიღრმეში მოღიმარი იმედის ფრთები!

03.03.2021 წელი

ადამიანი თვითკმარია

ადამიანი არის თვითკმარი,
რადგან მასშია სიცოცხლის არსი,
ადამიანი თვითმყოფადია,
თუკი შეიცნო თავისი თავი.
ადამიანი შემოქმედია,
თუკი შეიგრძნო ურღვევი ძაფი
მარადისობის ჰარმონიაში,
დროის და სივრცის თანმდევის ფასი!

01.07.2021 წელი

ადამიანო!

თავი ასწიე, ისე იარე, ადამიანო!
ეს სულ ერთია – რას აკეთებ, რას საქმიანობ,
თუკი ფიქრები შენი გულში ადამიანობს
და ნაბიჯები შენი ქვეყნად ადამიანობს!
თავი ასწიე და ღმერთს შეხედე, ადამიანო,
როცა უმწეო შემოგხვდება, არ აგვიანო
შემოგებება თანაგრძნობის, არ აზიანო
გასხივოსნება სიკეთის და არ დაიზარო,
რომ ღმერთი ჰპოვო ერთ პატარა და საზიარო
თანადგომაში, მოკვდავობის თანაზიარო!
როცა უღმერთო შემოგხვდება, არ დაიზარო
ერთი ღიმილი თანაგრძნობის, რომ აზიარო
სიკეთის პეშვს და გაახსენო, ადამიანო:
ეს ხორციელი უფლისგან რომ ადამიანობს!
თავი ასწიე, ცას შეხედე, ადამიანო,
წინ იარე და ძალისხმევა არ დაინანო,
რომ ნაბიჯების ნაკვალევით არ დაიზაფროს
გარე სამყარო, მოკვდავობის თანაზიარო!
მერე გასწიო, უსასრულოდ თუნდაც იარო,
ღამეც რომ იყოს ქვეყანაზე, მთვარეც მზიანობს,
თუკი ფიქრები თანადგომას თანაზიარობს,
თავი ასწიე და გაიმართე, ადამიანო,
სანამ ქვეყნად ხარ – მოკვდავობის თანაზიარო!

24.08.2020 ნელი

ადამიანო, ნუ ბეჭინია!

ადამიანო, თვით სიკვდილისაც ნუ გეშინია,
რადგანაც ვიცი, იქ რომ მივალთ, იქაც ღმერთია!

ოღონდ, გახსოვდეს, არჩევანი მხოლოდ შენშია,
სული აღზარდე, ნაბიჯები ვის არ შეშლია?!
ნუ მოუჩრდილებ მზეს, ქვეყანას სხივი ჰფენია,
და... როგორც მდელოს,

ზაფხულის დილას შემოსევია
ფერთა და ფორმის ხელთუქმნელი უხმო გენია,
ისე აყვავებს სიყვარულიც მას, რაც შენშია,
სულის სიღრმეში თუკი მადლის ბადახშებია!

ადამიანო, თვით სიკვდილისაც ნუ გეშინია
რადგანაც ვიცი, იქ რომ მივალთ, იქაც ღმერთია!

11.05.2021 წელი

ადამიანთა მრავალსი

მე მიმომფანტავს ქარში,
როგორც ნაკვალევს, წამშლის
ცხოვრების დიდი მარშის ეს უსასრულო ფარსი!
ფიქრებს არა აქვთ ფასი,
აღარც გრძნობებს აქვთ ფასი,
მხოლოდ ცხოველის ყოფის
უმარტივესი მრწამსით
გაჯერებულა სივრცე,
დრო რომ უკვალოდ წამლის!

გადაიბმება წლები, ვით უმტკიცესი ჯაჭვი,
ვერანაირი სიბრძნე და ხერხი მას ვერ ჩამლის,
დავითანტები, როგორც უდაბნოს სილა ქარში,
გამომეცალა თუკი ადამიანთა მრწამსი!

ვიცი, ბუნების ღვანწლით,
სიცოცხლეს ხელთ რომ გვანვდის,
უსასრულოა ჯაჭვი – თავს დავალწევ ან არც კი...
მომეახლება წამი – აისბერგებად დამშლის,
ხახას გააღებს, შთამნთქავს ოკეანეთის წყალი!

მაინც არ მტოვებს აზრი – ადამიანთა მრწამსის...
ალბათ – ფიქრთაც აქვთ აზრი,
რაღაც ჯიუტად გზავნის
გრძნობათა განცდას, აწვდილს
უკიდეგანო ცამდის და ვეღარ მაპნევს ქარი,

ვერც აისბერგად დამშლის დაუნდობელი ცეცხლი,
როცა სიკეთის საზღვრებს უგუნურება წაშლის,
რადგან დამიცავს ფარი, ნაწყალობევი ძალის!
ვერას დამაკლებს შფოთვა,
ეს უსასრულო მარშიც,
სანამ განგებას ნებავს –
თვით ამ ცხოვრების ფარსიც!..

07.08.2020 წელი

ადამიანი – ღვთის ხატად

ადამიანის სხეულში თუ ისადგურებს ბოროტი,
თავს აკარგვინებს ღვთის სახედ
მოვლენილსა და გაჩენილს
და ცდილობს, უფალს წაართვას
ადამიანი – გამჩენის
სიცოცხლის ძალა უშრეტი,
ქვეყნიერების თანმდევი...
სამყაროს სნეულ უჯრედად
მას გარდასახავს მაცდური,
გვამს, გადაქცეულს უსულოდ,
გათელილს სოფლის საცდურით,
ფრთები ეწვება ანგელოზს,
ერჩის ქვესკნელის ალმური,
როს ცდილობს, მაღლა ასტყორცნოს
სული მშფოთვარე, ტანჯული.

როგორც „სერუმი“ შეიცავს
და დაატარებს ძარღვებში
ხან სასარგებლოს, ხანაც – შხამს
ადამიანის სხეულში,
ისე გვამძლავრებს, ან გვწამლავს
გარე სამყაროს სიჭრელე,
თუმცა, რაღაცა უხილავ ძარღვებს
კვლავ მოაქვთ სიკეთე
და ასე იბრძვის სიცოცხლის ნათელი მხარე,
ვიდრემდე,
დააძლევინებს შემქმნელი ადამიანებს სიძნელეს...
ღმერთო ძლიერო, ინებე
სიკეთის რწმენის ქარები
და გაუხსენი ჩვენს სულებს
ჭეშმარიტების კარები!

05.06.2020 ნელი

სერუმი – (ლათ.) სისხლის შრატი

თუ ვერ გიხარია

თუ არ გიხარია დილა,
მხოლოდ თვალებით თუ გღვიძავს,
ლოცვით მიაშურე ცისკარს,
რაც შენ უხილავად გიცავს!
შენი გაზაფხულის როცა,
დღეებს თოვლის თეთრი ჰმოსავს,
ზაფხულს არ ელირსა მოსვლა,
შემოდგომა გექცა შტორმად,
ლოცვით მიაშურე იმას,
ვინც შენ უხილავად გმოძღვრავს
და გაზაფხულების კვირტებს
ფარად შეაჭურვე ლოცვა!
თუ ვერ გიხარია, გცივა
და სულს იმედები შია,
ნუ გადაიქცევი ჩრდილად,
შენ ადამიანი გქვია!

06.02.2021 წელი

მარტოს ულობა

ო, რა საოცრად მარტოსულია ადამიანი,
მოვლენილ იქნას თუნდაც ბრძენი, სამართლიანი
და გაელვება სამყაროში დიდზე დიადი,
მანათობელი კელაპტარი რუხი წყვდიადის!
მაინც, საშინლად მარტოსულია ადამიანი
უკუნისიდან დაბადებით, უკუნისამდე,
მხოლოდ საათი ქვიშის, ურჩად, მუდამ თან დასდევს,
თუნდაც ერთვოდეს სამკაულად სხვათა სიცოცხლეს!
თუნდაც, ერჩოდეს გული მხოლოდ,
მხოლოდ სიკარგეს,
არ იკარებდეს სიახლოვეს არა სიავეს
და ამშვენებდეს დედამიწას მისი სილალე,
სული ავსებდეს ვარსკვლავეთის, ლამის, სიმაღლე!
ჭეშმარიტია, თვალსაჩინო ერთი სიცხადე –
მოვლინებიდან სიცოცხლეში ბოლო სიტყვამდე,
დაიარება ქვეყანაზე თუკი სილალე,
გამოაშუქებს ქვეყანაზე თუკი სინათლე,
მარტოსულობის შეხიდებაა ცოდვის ჯინაზე,
რწმენის პეშვია, გამოწვდილი საგზლად იქამდე,
სანამ მივალწევთ საუკუნო, მუდმივ ძილამდე,
ან, იქნებ, არც კი და ეს არის გზა ღვიძილამდე,
მარტოსულობის გამართლების დიდი სიკხალე!

19.08.2020 6:37

ცრუ შეღავათი

ადამიანი, საკუთარ ფიქრში, ურჩად უწესებს
თავისვე ეგოს გამოგონილ, ცრუ შეღავათებს,
როცა სიმართლე, ჭეშმარიტება ცას შეჰდალადებს,
მარადისობის უსასრულობის ფენომენს არღვევს,
როგორც ქვესკნელის წიაღიდან ამოხეთქილი
ანკარა წყარო, უდაბნოში სიცოცხლეს ჰპადებს!
მაგრამ ჩვენ ძნელად,

ო, როგორ ძნელად, ან სულ ვერ ვამჩნევთ
ხრიოკი სულის ნარსა და ეკალს, გულს ისე ვაჩვევთ
და ითვლის ვიღაც, გულის ყველა იმ მტკივან ნაჭდევს,
რომელთაც სულის სიტლანქე ჩვენი¹
ვერაფრით ამჩნევს.

და მე გთხოვ, ღმერთო, მოგვეცი ძალა –
დიდება გამჩნენს,

რომ მივუტევოთ გულმცირეობას
და ყველა მჩაგვრელს,
თუმცა კი, რამდენს, ღმერთო ჩემო?..

თუმცა კი რამდენს
ეგო ულობავს ნათელი გზისკენ მიმავალ აზრებს
და კვლავ ვუწესებთ შეღავათებს საკუთარ თავებს
და ვემსგავსებით იმ უგულო, ქორვაჭარ ჩარჩებს,
სხვისი სამყარო და მიზნები ურცხვად რომ ძარცვეს!

25.04.2021 წელი

ჩვენი ყველა ნაბიჯი და ნაფიქრალი
გულის ერთი მძლავრი ამოძახილია,
ჩვენი ყველა ამაგი თუ მოქმედება
სამყაროში ჩვენი ყოფნის სამხილია.
მერე რა, თუ ხან გამოდის, ხანაც ვერა
ამინდები, აქ ხომ ნაირ-ნაირია.
არც იფიქრო, რომ ცხოვრება ოინს გვიწყობს,
ყველაფერი, თითქოს, სულში აირია...
გადის დრო და შენ ხვდები, რომ ეს სიცოცხლე,
მთას ნამღერი, სულის მოთქმით – შაირია,
მიეფიცხე კარგად, როცა მზე გაცხუნებს,
ამინდები აქ ხომ ნაირ-ნაირია.
მოუსმინე, როცა წვიმს და როცა გათოვს,
იქნებ, გულის სუსტი ამოძახილია,
დააკვირდი, შენ, ცასა და მიწას შორის,
განა დიდი, უსასრულო მანძილია?!
დრო მიდის და შენ ხვდები, რომ სააქაო,
ბარს ნამღერი, ერთი მოკლე შაირია,
მიეჩრდილე, როცა წვიმს და როცა გათოვს,
სიკეთის ხეს, განა ყველგან დაილია?!
დაუკვირდი, აბა, ცას და მიწას შორის,
განა სადმე თუნდაც მცირე მანძილია?
ჩვენი ყველა ნაბიჯი თუ ნაფიქრალი
სამყაროსთვის ავ-კარგობის სამხილია!

09.02.2021 წელი

პრიზების სიბაცე

არ შეიმჩნია, ვერ დაუშვა სხვათა სიკეთე...
თავი ემცირა: „რა შემკადრეს, რა გამიბედეს?!
განა, ჩემ გარდა, არის სადმე „დიდი სიკეთე?“
რას ჩამაცივდით, რა მოიგონეთ, რა გამიბედეთ?
რატომ არსებობთ, რა ღირსი ხართ,
რომ ჰილოთ სიკეთე,
ეპიცენტრი ვარ სამყაროში, „დიდი სიკეთე“ –
ასე ფიქრობდა და მოთქვამდა ბრიყვის სიბეცე
და არ იმჩნევდა, ვერ ბედავდა, ულევ სიკეთეს,
რომლის სივრცელეს ვერ ითვლიდა
აზრის სიმრთელეც...
და კვლავ გოდებდა, გაჰკიოდა ბრიყვის სიბეცე!

12.05.2020 ნელი

მელანქოლია

ფიქრებს ეწვია მელანქოლია,
ო, რა ძლიერი სევდა სცოდნია,
როცა გულლია შეხმიანებას
ფარისეველთა გულით წონიან!

ტვირთებს რქმევიათ მელანქოლია,
ო, რა ძლიერი სევდა სცოდნია,
როცა გულმართალ შეხმიანებას,
საკუთარივე თავით წონიან!

04.09.2020 ნელი

ვუსმინოთ ერთმანეთს

„გთხოვთ, მოვუსმინოთ ერთმანეთს!“
მრავალს უთქვია ბრძენთა ბრძენს,
მაგრამ გონების ბურანი
მიუტრიალებს ყელს საბელს!
იქნებ, მოვუსმინოთ ერთმანეთს
და მივაკვლიოთ გზებს, საშველს,
რომ აზრთა ოკეანეთში
ხელი აღარ ვკრათ ერთმანეთს!
„ეჱ, ყური ვუგდოთ ერთმანეთს!“
ბევრს უნატრია ბრძენთა ბრძენს,
რომ არ დავყრუვდეთ გონებით,
სხვისიც გავიგოთ, მეტადრე,
რადგან ცოდვაა ყოველი,
თუნდაც ეჯიბროს ბრძენთა ბრძენს,
მარტო თელავდეს ბილიკებს,
რომელთაც მუდამდღე ათოვთ
ფიქრთა ბელტები – შვებაზე,
რომელსაც ეძებს გონება
და სული გასაგისიდან
ადამიანთა მოვლენის,
დღევანდელ, ბოლო ფიქრამდე.
მოდი, ვუსმინოთ ერთმანეთს! –
მხოლოდ არ უსმენს ეშმა ღმერთს,
რომ გადაბუროს ის გზები,
რაც დაგვანახებს ერთმანეთს
ისეთად, როგორაც შეგვემნა
ჩვენ ამ სამყარომ, ზენარემ

და მერე, იქნებ „ის“ შვება
აზრმაც შეიცნოს მღელვარებ,
რასაც დაეძებს გონება
და ცნობიერის სიცხადე,
ადამიანად მოვლენის
განწესებიდან – ტვირთამდე!

29.01.2022

ტევრი

ჩაჩეხილი ვარ ფიქრთა ნაპრალის
უტყვობის ფსკერში,
გავიხიზნები მელოდიათა
სიმების ტევრში,
იქ ბეთჰოვენის სიჩუმეც კი
ოცნებად მესმის,
მოცარტის სონეტს
ფრთებით მიჰყავს სიცოცხლის ეშხი
უცხო მხარეში,
რომელიც არის აქ,
თავად ჩემში!

10.07.2021 ნელი

რასიზმი

გონებას ფანტავს, გონებას წამლავს
ადამიანთა დაყოფა რასად!
შენ ვინ მოგანდო იმისი განსჯა,
ვინ სად იცხოვრებს, რა ფერად ხატავს
ღმერთი თვის სახეს, მოვლენილს კაცად?!
პატივმოყვარე, ქათქათა შოლტმა,
ნეტა, რამდენი გენია მოკულა?!
ნეტა, რამდენი წარმოშვა დამლა,
გზა გაუმრუდა ადამის მოდგმას?!
მანდელა ისმენს ჰიტლერის ბოდვას
და დედამინა სირცხვილით ბორგავს!
ნეტა, რამდენი გენია მოკულა
ამპარტავნების ბოროტმა როკვამ?!
განდი ბორკილებს ქათქათას ჰმუსრავს,
ნათელი გონით უძლვება მოყვასთ,
ფერადი ფრთებით და აღმაფრენით,
თვით ინდოეთის ჯუნგლებიც როკავს,
მადლს უგზავნიან საკუთარ მოძლვარს,
ისე, იმგვარად, მათ სჯულს რომ მოსდგამს!
დალაი ლამას კოსმოსი მოძლვრავს
და ეწაფება სამყაროს ცოდნას,
თავს გადააქცევს მოარულ გონად,
ისე, იმგვარად, მათ სჯულს რომ მოსდგამს!
კაცობრიობა მოისმენს მოცარტს
და მეც მივწვდები ჩემ ფიქრთა ლოცვანს,
კვლავ ვეკითხები მოძლვართა მოძლვარს,
ისე, იმგვარად, ჩემ რჯულს რომ მოსდგამს:

– მე ვინ მომანდო, განვსაჯო ყოფა –
ვინ სად ილოცებს? რა ფერად ჰმოსავს
ღმერთი თვის სახედ გაჩენილ მოდგმას?!
გონიერას ამღვრევს, გონიერას ჩაგრავს,
ადამიანთა დაყოფა რასად!

14.11.2020 წელი

რეკვიტი ზარები

რეკვიტი ზარები – სულის ქნარები,
რომ გაამთელონ გულის ბზარები,
ადამის მოდგმის ყოფიერების
ოაზისების თითქოს წამები...
როცა თვალთაგან იწვიმებენ ლოცვის ცვარები
და კაცთა მოდგმის უძლურება შემაზარები
თავს შეგახსენებს, კვლავ შეგახსენებს
და შენც ნებდები
დროთა მანქანებს, უკითხავად რომ მიგაქანებს...
კვლავაც ზარები რეკვიტი, როგორც სულის ქნარები
შენ კიდევ ერთხელ გიმთელდება ნაიარევი.
ქვეყნიერებას როს მოგიქარგავს მთვარის ლანდები,
ღმერთს ხელს ჩასჭიდებ –
არ გაგიშვებს, ნუ გაქვს დარდები,
ადამის მოდგმის მარადისობის ოზისებში
და სამუდამოდ გაგიმთელდება გულის ბზარებიც!

04.04.2020 წელი

ნუთუ პასუხია?..

აიმღვრა თვალი? გონებაც მიჰყვა
და აგიტანა შენ ძრწოლამ, შიშმა?!
– იმ უმეცრების, იმ უგნურების,
იმ უღმერთობის უსასო შიშმა,
რომ დათარეშობს ამ სამყაროში,
თესავს სიმცირეს, ამაოებას
თვალისმომჭრელი სიზმრების გვარად,
უსამართლობის ზეიმის დარად!

23.03.2020 ნელი

როცა ქვეყნად ხარ!

როცა მოდიხარ ქვეყანაზე შენ, ღვთის განგებით,
უნდა იცხოვრო ისე ლალად, ისე დალხენით,
რომ მთის არწივებს გაეჯიბრო ცაში აფრენით
და სილამაზით გადაჯაბნო ვარდის ბალები.
ნარბი არ შეკრა, გადაფლითო თუნდაც წალები,
და შემოგაცვდეს თავის ძებნაში შრომით კალთები,
უფლის წინაშე შენ იყავი სულის თავდები,
თან არ იახლო უმეცრების ფუჭი ლანდები.
როცა არსებობ ქვეყანაზე შენ, ღვთის განგებით,
ამოუძირკვე მოყვასს გზაზე ეკალ-ბარდები,
თუნდაც, ხელები დაგეგლიჯოს ეკლით, ნარებით,
ტკივილს უონავდეს დასერილი, მკვეთრი ხაზები!
ადამიანთან შენ იყავი გულის თავდები,
რომ სულ იქნები უტყუარი, მტკიცე საყრდენი,
ლხინი აჩუქე, ჭირი მაინც არის თანმდევი,
ისე ანათე, ისე დაიწვი, როგორც სანთელი,
რომ შუქი იყოს და სიმშვიდე შენი თანმხლები.
და როცა გახვალ ამ ქვეყნიდან, უფლის განგებით,
ტკივილს კი არა, სითბოს ბადებდეს შენი სახელი,
დარდი კი არა, ძალა იყოს შენი ნამლერი,
ყოფის ლაგამში გახლართული ქვეყნად დამრჩენის,
რადგან არსებობ, ასეთია ნება გამჩენის!

18.05.2021 წელი

რწმენა

მაინც გაუძლებს ადამიანი –
გასაძლებია თუკი,
მაინც იბრძოლებს ადამიანი –
საბრძოლველი აქვს თუკი,
მაგრამ რას უძლებ,
ან რისთვის იბრძვი,
საკითხავია, რა გჭირს,
საკითხავია, რა ჟინი გერჩის
და ქვეყანაზე რა გრჯის!

მაინც იპოვის ადამიანი –
საპოვნელია თუკი,
იმედის მარცვალს,
საბრძოლველ ძალას,
ოღონდ – ბრძოლად თუ უღირს,
საკითხავია მხოლოდ, რა იწვევს
მის დარდებსა და წუხილს,
საკითხავია მხოლოდ, სიცოცხლე
და სამყარო თუ უღირს!

მაინც გიჩვენებს გზას გამოსავალს,
თუკი სამყაროს უღირს
შენი წუხილი,
შენი დარდები და
მძლავრი ფეთქვა გულის,
იმ სამართალით, თვალახვეულით,
სასწორზე ფიქრთ რომ წონის:

ვის რა აწუხებს,
ვინ რისთვის იპრძის,
ან რა ღონე აქვს მოვლის
თავის აზრების, ჭრელი ფიქრების
და მონიჭებულ გონის.

არ გაგიმეტებს შენი სამსჯავრო,
თუკი სიკეთე გწონის,
თუნდაც გებრძოდეს მთელი სტიქია –
თავაწყვეტილი შფოთვის!

22.11.2020 ნელი

ბანსჲა

ნუ განსჯი შენ სხვის ნაკვალევს,
ნურც სხვის ნაბიჯებს დათვლი,
ადამიანს ხომ თან სდევს
თავის ცოდვათა დარდი!
დადის ადამის მოდგმა
და თან დაჰყვება ლანდი,
სანამ მზეცა და მთვარეც
ალარ დაჰნათის – ჩადის.
სან მზე უნათებს მადლის,
სან ჩრდილი დაჰკრავს ცოდვის
და ნელა-ნელა მძიმდება
ჩვენი ცხოვრების ჯვარი!

ცოცხლობს ადამის მოდგმა
და როგორც დილის ნამი
გაიპრეცინებს და ელავს
მცირე, ნეტარი უამი –
როს გაიღიძებს გონება
და ეჭვის ღრუბლებს წამით
შეცვლის იმედის სხივი –
სუფთა, ვით დილის ცვარი,
მას ჩაეჭიდე კარგად,
ვით დედას ჩვილი ბავშვი
და სამსჯავროზე დადე,
როგორც უნონო განძი,
გლეხის თოხს რომ ამოჰყება,
გადაჭრის დროთა მანძილს,
ძველი ჩუქურთმა რომ ჰქარგავს
და უფრო მეტიც აზრი.
თანამგზავრად თუ გაიხდი
რწმენას, სიკეთით ავსილს
გზას გაგინათებს ვიწროს,
როცა დადგება უამი!
ნუ განსჯი შენ სხვის ნაკვალევს,
ნურც სხვის ნაბიჯებს დათვლი,
ყველაზე დიდი სიბრძნეა,
თუ შეიცანი თავი!

12.04.2020 ნელი (ბზობა)

ზამთარი

ფერი იცვალა მოშრიალე, ნაზმა ჭადარმა,
მისი სინორჩე მოსაგონარ ამბად ჩაბარდა,
სალამოს მყუდროდ მოგიზგიზე ბუხრის ათინათს
შემომსხდარ ლანდებს,

აღტაცების ზღვა რომ ატყვიათ!
შემოუძარცვავს საბურველი ხშირი ფოთლების,
კვალი ამშვენებს, ვით ბროშები, ნორჩი რტოების,
ნლიურ რგოლებში მოქცეული მოგონებების,
ჩუმი შრიალით, ამბავს ჰყვება მისი ფიქრები:
რამდენი ფერი შეუგროვა ერთმა ბუნებას,
პირველი ფოთლის გაზაფხულზე მოსხმიდან

დღემდე,

ამოიტანა და მზის სხივებს შეათამაშა,
მიწის გულიდან ასაზრდოა რტოთა სიმშვენე!
სალამოს ბუხარს შემომსხდარ ჩრდილებს

ჩას ურიგებს,

შეშას შეჰმატებს, მოგიზგიზე სითბოს
ნაკვერჩხლებს,
ჩამოჯდება და ახსენდება, გულს

კვლავ უთროთოლებს:

პურის ყანების ღელვა ქარში, ლურჯი ზღვის დარი
და ანარეკლი მილეული, ნამგალა მთვარის.
განთიადისას მინავლული, ბოლო ვარსკვლავის
ციმციმს გაყოლილ, დადევნებულ ოცნების თვალის
მოჭრა მზის სხივით, განფენილით,

ვით ბროლის მტვერის,
გასხივოსნება უსასრულო, მღელვარე ზვარის!

ხანაც, ამბავი მიუჯდება ფერხთით მდუმარეს,
როგორც ყინული, რომ მიაგავს იანვრის ქარებს
და დაალენავს ლამაზ რტოებს, სუსხიან ღამეს
ქარის წისქვილთან მოსაუბრე სულების ჯარებს!
ადამიანთა უნდობლობის ტრავერტინებით
ჩაკირულ სივრცის ნაშიერი, მკვდარი ტვინების
ნააზრევის თუ უაზრობის გაფეტიშებით,
უმისამართო და უსაგნო თავგანწირვების!
მიუალერსებს ბუხარს მიმსხდარ ჩრდილებს ჭადარი,
ამბავს უყვება, მხოლოდ ისეთს, რომლის სადარიც
სულთა ყოფაა ღირსეულთა და შესადარი
პურის ყანაზე ბროლის მტვერად

შეფრქვეული მზის,

რადგან ენახა გულანთებულ სულთა მხნეობაც,
ასაზრდოებდა რაც სამყაროს, როგორც ზნეობა,
უანდერძებდა მხოლოდ მზის სხივს

მათ თანამგზავრად,

რადგან ბუხართან შეყუული ლანდთა ჩრდილები
ანარეკლია მისი ყოფის – შვილთა შვილები!

09.07.2020 ნელი

ბოროტება კლას!

ბოროტება ყარს! სულის ნესტოს მწვავს
და მე როგორ მძაგს
ყალბი ღიმილის, ყალბი სალმის ორომტრიალით,
გაბრუებული და რეტდასხმული ბრძოთა წრიალი!

ბოროტება ყარს! და ის როგორ ჰგავს,
ღმერთო, როგორ ჰგავს
უსამართლობის, პირფერობის დაყრილ ნილბების
ტბორებს ჭაობის – თვალს რომ მოგჭრის
მკვეთრი ფერებით,
ცრუ სიხასხასით, სიკამკამით, მაგრამ მაინც ყარს!

ბოროტება კლავს!
ღმერთო, როგორ მკლავს უიმედობა,
რომ უსასრულოდ გაბნეული, დაყრილ ნილბების
გროვა წამილებს მორევისკენ, როგორც ნიჩბები –
და მე ვფხიზლდები...

მერე აღარ მძაგს, აღარც ვითვლი
დაფშვნილ ნილბების
გროვებს, მოფანტულს უსასრულოდ
და მე ვმშვიდდები,
რაღაცა ძალით, რაღაც მადლით ისევ ვიწყები...

08.04.2020 ნელი

სიცოცხლის სევდა

მართლაც, რა დიდი და უსაზღვროა
სიცოცხლის სევდა –
ცხოვრება გაჰყვა ოცნებების ახდენის დევნას,
როგორი მყიფე და სათუთი გვიხდება რწმენა,
როცა იქცევა თვით დიადი არსებაც მტვერად!

ცაზე ფრთა ღრუბლის ფენებს შეცვლის
გროვა ღრუბლები,
საუკუნეებს, როგორც წუთებს, ითვლის ლოდები,
აბრუნებს სივრცე წყლის სტიქიას ქარის ნიჩბებით,
სანაც მზის სხივი აიტაცებს ცაში ნისლებით.

ტრიალებს ჟამი, წარბს არ იხრის ბუნების ძალა
და არ პატიობს ადამიანს სულ მცირე ღალატს –
ადამიანის, საკუთარი თავის და მრნამსის,
უსამართლობის „ვერ“ შემჩნევას, უსიტყვოდ მალვას!

დუშმორეული, გავეშებული სიხარბით რბოლას,
რა საწყენია, ვერ სრულდება ცხოვრების სკოლა
და იძარცვება, იბარდება სულების თავლა,
ათასწლეულთა ცოდვის ვიხდით ჩვენ ისევ ღალას!

მდინარის პირას დაყრილ ლოდებს
სწყინდებათ დათვლა,
რამდენი იყო მიმომსვლელთა ამაო ჩავლა,
უკვირთ, რა არის სულის სარჩო, სიცოცხლის ძალა,
ან რად უცქერენ საუკუნოდ წუთების ჩავლას.

რას ძალუძს სულთა მობერება და ზეცად გაცლა,
ადამის ძისთვის სავალი გზების უთქმელად კვალვა!
სიცოცხლე გვიმძიმს იმისაგან, რაც შეგვასწავლა,
შვებას დავეძებთ მომავალში ფიქრებით და ხსნას.

მართლაც, რა დიდი და უსაზღვროა
სიცოცხლის სევდა
და გვიხარია იმის გამო, რაც კიდევ, კვლავ გვწამს
და გეშინია იმის გამო, რაც ჯერ არ ვიცით,
თან რამდენია, უთვალავია, რაც ჩვენ არ ვიცით!

07.05.2020 ნელი

სტერეოტიპთა მსხვრება

სტერეოტიპთა წნეხით,
გარდაცვლილ ფიქრთა ნეშტით
გადავსებულა სივრცე, დროთა დინების ველი!
სტერეოტიპთა მსხვრევით გამოწვეული ღელვის,
ნეტა, ცნობიერს ეწვიოს გარდასახვათა ცეცხლი!

რა სიმცირეა გონის – ადამიანთა ცოდნის,
და... სიმცირეა აზრის – თვალსაწიერის, გრძნობის,
როცა ევლება ჩარჩო
მოვლენებს, აწმყოს, მერმისს...
სული უკვდავი სამყაროს მნათობივით ხომ შვენის!

ნეტა, შთანთქავდეს არეს ნანგრევთა რუხი მტვერი
სტერეოტიპთა მძიმე და უსახური კედლის,
შემოუვლიდეს ნეტა, გარდასახვათა ცეცხლი,
მესტუმრებოდეს ფიქრი – დაუსაბამო, ვრცელი...

ნეტა, რა უნდა მოხდეს იმაზე უფრო მეტი?!
ნეტა, რა უნდა შევქმნათ იმაზე უფრო მეტი?!
როცა სახეა ღმერთი სტერეოტიპთა მსხვრევის,
რადგან, ევნო და მოკვდა
და მერე ალდგა მკვდრეთით!

09.02.2022 წელი

ულმობელ მწერალს

მე დღეს ცხოვრება
ძლიერ მაგონებს ულმობელ მწერალს,
ვით პერსონაჟებს, ისე რომ გვითხზავს
ჩვენ, ყველას – წერას,
ხან სიუჟეტებს განსაცდელთა ქარების ძერწავს,
რომელიც „გვარხევს დღენიადაგ,
ვითარცა ლერწამს“!

ხან გარინდული გამოადარებს ქარებს და დელგმას,
გამოენთება როს სიყვარული კაცთათვის შველად,
ალმოზევდება უკეთუ გრძნობა წამიერ შვებად
და გვიწყალობებს ღვთის ფაეტონზე ტაიჭთა შებმას!

ერთგან მზე ცეკვავს დაირაზე ოცნების ცეკვას,
მონათესავე სულთ თუ ელირსათ ერთურთთან შეყრა,
სხვაგან კი, წარღვნა
სავალ გზებს და ბილიკებს ხერგავს,
კადრთა სიმძაფრე
საათის ისრებს ულმობლად ლენავს!

ხანაც, მიგვაგდებს, ვით პერსონაჟებს –
სიუჟეტს ხვენავს!
გადაშლილ გვერდებს მარადისობის საკნებში ხვეტავს
გადაუშლელთა მომლოდინე უჩინარ სევდად
და დღეს ცხოვრება
მე მაგონებს ულმობელ მწერალს!

08.06.2022

ამპარტაპნება

დაფნებს ართმევენ სურნელებას –
საკუთარი თავით წონიან,
მერე რა მოხდა? – განდიდებას ასე სცოდნია,
თავზე გვირგვინი თუკი ერგო ვიწრო გონიანს,
ამპარტავნება ვერ ამჩნევს, რომ მკვდარი ტოტია
მისი სამშვენი

და მეფეთმეფე საკუთარი თავი ჰგონია!
„მერე რა მოხდა?“ – ვერ გაიგო, არა სცოდნია,
ხმელი ტოტების გვირგვინებიც გადასწონიან,
როცა ღირსებას საწყაულით საქმის წონიან!
ვარდებს ართმევენ სურნელებას – კონად წონიან,
„მერე რა მოხდა“, განა ვარდების რამე სცოდნიათ?
ვიღაცისთვის ხომ მათი დაჭერა მოსაწონია,
მათ მიმობნევას ვიღაცისთვის აზრი ჰქონია,
ამპარტავნება კი, ვერ ამჩნევს,
რომ მკვდარი ტოტია

მისი სამშვენი და დედოფალი თავი ჰგონია!
„მერე რა მოხდა?“ ვერ გაიგო, არა სცოდნია,
სიღამაზე და სურნელება ზრუნვას სცოდნია,
დედოფლობას რომ სათნოების თასით წონიან,
თაიგულები და გვირგვინები – მკვდარი ტოტია!

29.09.2020 წელი

არ გამოკეტო შენივე სული

არ გამოკეტო შენივე გულში მღელვარე სული,
ნეტა, რა არის საორქოფო, რა არის ბრძნული?
ჩვენი ცხოვრების გზებისაგან დართული წნულის
რომელი ხაზი უმტკიცესია, რომელი ბმული?!

ვინც დაიღლება შენი თითების სითბოზე ზრუნვით,
გადაეყრება შენი ღიმილის პოვნაზე გული,
არ გაუკრთება შენს ტკივილზე ფიქრისგან რული,
ალბათ, არც იყო და ვერც დარჩება შენი მეგზური!

ვინც შეიყვარა შენი ფიქრები, მიზნები, სული,
არ დაიღალა შენი ცხოვრების იმედით სულდგმით,
არ შეინანა ერთგულება, წუთები ზრუნვის,
სწორედ ის არის საუკუნოდ შენი მეგზური!

18.05.2021 ნელი

* * *

ისე დაგფლეთენ,
გაგთელავენ,
თითქოს გეგმავდე
ქვეყნიერების შენად ქცევას
უკუნისამდე!
თითქოს თითებზე არ ვითვლიდეთ
დროს მერმისამდე,
ზაფხულის მზიდან
დაზამთრების ბოლო ნისლამდე...

ისე დაგფლეთენ,
დაგსერავენ, თითქოს შეგეძლოს
მთელი სამყაროს შენად ქცევა
უკუნისამდე!
თითქოს ფიალას დრო მოჰქონდეს
და არ მიგვაფრენს,
ეს სულ ერთია, ნისლიან თუ
სავსე, მზიან დღეს!

04.09.2020 ნელი

თეორი შუქურა

კლდეზე შუქურამ ნაპირს უყურა...
რამდენჯერ შთანთქა ქარის ზუზუნმა
და მოვარდნილი ტალღის გუგუნმა
გემის ძახილი, ზღვამ რომ უმტყუნა?!
კლდეზე შუქურ ს სხივმა იბრუნა,
წყლის ზედაპირზე ფხიზლად იცურა
და ეკიპაჟის ბედზე იზრუნა
კაპიტანმა და კლდეზე შუქურამ!
მას შემდეგ, მედგრად მდგარმა შუქურამ
თავისი სხივი ბევრჯერ ატარა
და წყლის ზედაპირს გადაატარა,
მრავალი გემი მშვიდად ატარა,
ოკეანეთი შემოატარა...
ვერც მონაბერი ქარის ზუზუნმა
და ვერც ტალღების მძლავრმა გუგუნმა
ვერ შთანთქა გემი – ზღვამ რომ უმუხლოდა,
მგზავრთა იმედად ჩანდა შუქურა!

12.05.2020 ნელი

პაცობრიობა

კაცობრიობა, თითქოს, არის ღმერთის სხეული,
ჩვენი სიცოცხლე უჯრედია მხოლოდ – ეული
და თუ სისუსტემ დაგვჯაბნა და ვხდებით სნეული,
ღმერთს გული ეწვის,
რადგან ჩვენ ვართ მისგან რჩეულნი!

კაცობრიობა იარსებებს, ვიდრე მზე უვლის
და სიყვარულის იმოძრავებს სულში სერუმი!
კაცობრიობა, თითქოს, არის ქრისტეს სხეული,
ჩვენგან ტანჯვას და
მხოლოდ ერთი წყლის პეშვს ჩვეული!

31.01.2021 წელი

პროტესტის ტალღა

ერთ დიდ სანაგვეს მე მაგონებს ეს დედამიწა,
შეფუთვას ლამობს ხანაც ზეცა და ხანაც მიწა!
ოკეანეთის უსასრულო სიღრმეც ვერ იცავს
ჩვენი პლანეტის სიდიადეს. კასტა უვიცთა
ისე ჰპატრონობს, ეუფლება, თითქოს უპყრიათ
საჯილდაო ქვა, აჰყოლიან მარტივ გულისთქმას!
ერთ დიდ საზარელ ქაოსსა ჰგავს ეს დედამიწა,
სალი კლდის ლოდად

გადაქცევას მე ვნატრობ, ვფიცავ,
რათა უტყვობის უთქმელობით მაინც დავიცვა
მე ამ სამყაროს სიდიადე. აღარ გავკიცხავ,
არ შევიძრალებ საკუთარ თავს
გულის სარკმლიდან...

ერთ დიდ სანაგვეს მე მაგონებს ეს დედამიწა,
შემკობას ლამობს ხანაც ზეცა და ხანაც მიწა,
იქნებ, როგორმე გადავრჩეთ და თავი დავიცვათ
საკუთარივე აზრების და ნახელავისგან!
ყინულის ლოდად გადაქცევას ვნატრობ მე, ვფიცავ,
ან საუკუნოდ გაქვავებულ, ცივ სტალაგმიტად,
რათა უტყვობის უთქმელობით მაინც დავიცვა
მე ამ სამყაროს სიდიადის ზეპარმონია,
რადგან სიცოცხლე, მომავალი – აქ ბატონია,
რადგან უფალი, დიდი ლმერთი – აქ პატრონია!

03.08.2020 ნელი

ბოშა

ბოშა მღელვარე თვალებს აცეცებს,
მზერა მიუგავს დამწველ ნაკვერჩხლებს,
სავსე მთვარის ქვეშ კოცონს ახელებს,
ხვალინდელი დღე მას არ აღელვებს!
დაირას ხმაზე ნაღველს აცეკვებს
და მოშრიალე ფარჩას ადევნებს
მთვარე მის სხივებს, როგორც საცეცებს,
როცა თითები ღამეს ატყვევებს!
მისი, სიცოცხლის მძაფრი სურვილი,
თვით სამყაროსაც გამოიმღერებს,
როცა ვარსკვლავი ჰმოსავს მთის წვერებს
და სიყვარული ყელს მოიღერებს,
როცა კოცონი ისვრის ნაპერწკლებს,
როგორც თილისმებს და ავგაროზებს,
ცეკვის კამარა თვალს აჯადოებს
და დალალები დასჯაბნის ტალღებს.
ხვალინდელი დღე მას ააღელვებს
და უშიშარი, ღრმა ირონიით
თავად სიკვდილსაც გამოიცეკვებს –
ბედის ვარსკვლავი მას არ ასვენებს!
და... დაირაზე ბოშა აცეკვებს
სიცოცხლეს, სათქმელს, სევდას ნამღერებს,
სიყვარულისგან წამოშლილ ვარდებს
თუ... ირონიას, ცხოვრების თანმდევს!

15.09.2020 წელი

ბაცვდა პამარა

მე დღეს აღარ მსურს სამზეოზე ფიქრთა განფენა,
თითქოს გრძნობები გულის სილრმეში
სულმა ჩაკეტა!

აქ ყოველი დღე ნაცხოვრები, თითქოს, ბადებდა
გუშინდელი დღის ნაოცნებარ ფიქრთა ახდენას!

გაცვდა კამარა, გაიცრიცა, ზეცა დაღარა
თეთრი ნისლების თალხის მსგავსმა,
თეთრმა ჭაღარამ,
საკუთარ თავთან პაექრობამ კრძალვა მასწავლა,
აქ სიყვარულმა იალქნებით მზემდე მატარა!

შეცნობამ სწორის, მეგობარის, სატრფოს მადარა,
ულევი, შლეგი ქარიშხლები გამოადარა,
მიზნისფერ დღეებს სიხარული შემოაქარგა,
როგორც ზმანება,
წუთისოფელს სულაც არ ჰგავდა!

მერე ეს გრძნობა სარეველებს
სულში მარგლავდა,
სიცოცხლეს ვუხმე და შევთხოვე, თუკი მაცალა
ადამიანურ სიმარტივეთა ჩემში ალაგმვა,
იმის შეცნობა, რაც არსებას ჩემსას მართავდა!

აქ მოვლენები ნააზრევთა ძაფებს ართავდა
და ფერთა გამა ნართაულის რაღას არ ჰგავდა,
მაგრამ გრძნობები ამაღლებული
ჩრდილებს ფარავდა,
ვით მზის სხივები უსასოობას – დროში კარგავდა!

რისთვის დავჭირდი მე სამყაროს, რისთვის მატარა
ამ ქაოსისფერ წუთისოფელში, ბილიკს აბარა
ჩემი არსება დაბნეული, თუმცა მახარა,
რომ მერგებოდა მე ლამპარი, შუქი პატარა,

რაც მატარებდა, დამანახებდა მე ცის კამარას,
ჩემი ლურჯი ცის,
ლურჯი ზღვების ტალღებს ქაფქაფას,
იმ სანაპიროს,
სადაც შევძლებდი დარდის გადაყრას
და დავანებას ნავსაყუდელში, სულის აღმა სვლა!

და დღეს აღარ მსურს სამზეოზე ფიქრთა განფენა,
რადგან შილიფად ნააზრევი მტკიცედ განდევნა
თეთრი ნისლების თალხის მსგავსმა –
სულის ჭალარამ,
რადგან მე თავთან პაექრობამ კრძალვა მასწავლა!

15.02.2022

ბედმა იარა

ბედმა გააწნა მწარე სილა ბევრ ჩემს საწუხარს,
სიცოცხლით სავსე, მზიანი დღე რადგან მაჩუქა,
„იარე მტკიცედ!“ – რაღაც ძალამ ისევ მაუწყა
და შეღამება ვარსკვლავეთში ისევ გაყუჩდა!

თვალთა ნაპრალში ჩაყინულ ტბებს სხივი ჩაუდგათ,
ყველა ნალველმა, დარდმა, თითქოს მშვიდად გაცურა
გაღმა ნაპირზე, გულის ქენჯნით თითქოს გაყუჩდა
და მოკრძალებით სიმტკიცესთან რიდით გაჩუმდა!

ბედმა იარა შორი გზებით? – მერე რა მოხდა!
რამდენი წყენა და რამდენი მადლი აღმომხდა?
ვინ მეგობარი და ვინ მტერი, თურმე აღმოჩნდა,
სიხარულსა და მწუხარებას რაღა გაყოფდა?!

გზებმა მატარა, გამარიდა ბევრ ძნელ საფიქრალს,
ზოგი ღირდა და ზოგიც თურმე ჩალად არ ღირდა,
მედგრად რომ მევლო,

სიყვარული მტკიცედ გამიძლვა
და ყინულეთი მისი ცეცხლით ფერხთით გამილლვა!

წლებმა გამყარა, გამარიდა არად საღირალს,
თუმც, ყურს უგდებდა გული თურმე
უთქმელ საჩივარს,
მაინც გაღვივდა მასში მხოლოდ სითბო მადლისა
და ვარსკვლავეთი განთიადის მზემ კვლავ გაცრიცა!

02.03.2021 ნელი

ბაზაფხული 2021

დაზაფრულია გაზაფხული მზის მწუხარებით
და შეაფხიზლა ბინდმორეული ცა მქუხარებით,
მგზავრი დამფრთხალა
გასავლელი გზის მდუმარებით,
დიდი ხანია, თავისი სულის ხმა აღარ ესმის!

დარახტულია ოცნებები ცისკენ გაფრენის,
მხედრებს ელიან, მოწყურებულნი მათი ახდენის,
დაპეროვებიათ მოკვდავ მხრებზე ტვირთი რამდენი
ადამიანებს – ეშმა იყო ამის ჩამდენი!

და თუ სულია ცოდვის ფსკერი და სალექარი,
გულო, მოდრიკე ყველა ბორგვა, ვერ საქებარი,
შენ ნუ იქნები მახვილი და ის სატევარი,
მტერმა რომ იპყრო ხელებში და გახდა მდევარი!

დაქარგულია გაზაფხული მზის მისვლა-მოსვლით,
მოხატვას ლამობს სახიერი დღის ქარაგმულის,
რომ არ დაეცეს კვლავაც სული,
ძლივს ფეხადგმული
და გაამხნეოს გონთა სიცხადე, სადღაც წასული!

გათანგულია გაზაფხული დღის მჭმუნვარებით
და შეუძახა ბინდმორეულ ცას მქუხარებით,
შემოუსია ენძელათა თეთრი ჯარები,
დროს უსახსოვრა სუსხიანი ცივი ქარები!

21.04.2021 ნელი

გამშვილის დილა

ოთახში ბავშვობას სძინავს,
თენდება „ფუსდობის“ დილა
„ლემზირის“ სურნელი მხიბლავს,
ნაკვერჩხლის შიშინი ისმა,
გაგხედე ფანჯარის მიღმა,
ეზოს ყვავილი თრთვილავს,
ნალვერდალს მიმდნარი ცვილის
სურნელი მაფხიზლებს მძინარს.

ოთახში ბავშვობას ლვიძავს,
ბაბუას ჩურჩული ისმა,
ავედრებს ჩვენს თავს, მისას –
ძალასა და მადლს ლვთისას.
ერევა ლოცვა წრფელი
ცვილს გადაქცეულს ნისლად
და მოწიწებით მთქმელის
სიტყვას უფლისკენ ზიდავს.

თეთრი, ლამაზი თავშლით,
ბებო წინსაფრით დადის,
სიმშვიდით, დინჯი კრძალვით
ბაბუას „ლემზირს“ აწვდის,
ყველას სამყოფად არის
„ლემზირიცა“ და მადლიც.
თეთრი ლამაზი თავშლით,
ბებო მზრუნველად დადის

და სათითაოდ ყველას გვირიგებს
ჩვენთვის გათვლილს...
სითბოს, სიყვარულს, ლოცვას
და უფლისადმი კრძალვის
დიდზე უდიდეს ცოდნას,
ყველაზე დიდი ძალის!
სულ უანგაროდ გვიძლვნის
მისი არსების ნაწილს.

ოთახში ბავშვობას ღვიძავს,
მინდა, რომ ვიყო ფხიზლად,
არ დამავიწყდეს მძინარს
ჩემი ბავშვობის დილა,
სავედრებელი ჩემი
ცას გავატანო ნისლად
და მოვიგონო ხშირად,
რაც ასე ძლიერ მტკივა!

მაგრამ ო, როგორ მიყვარს
„ჩემი ბავშვობის დილა“,
რამდენი სითბო ახლავს
ჩემი სიცოცხლის დვრიტას!

10.05.2020 ნელი

სულის დარაბა

შევხსენი ფანჯრის დარაბები,
სახლს რომ არტყია,
მოვხსენი ჯაჭვი
შესასვლელის მძიმე კარს მტვრიანს,
შევაკრთე წამით მძინარე სახლი, ნატრული ჩქამის,
რომ დამენახა სამყარო ისევ ისეთი ლალი.
ფანჯრის შეხსნილი დარაბების გახელილ თვალით,
უეცრად შუქმა, შემოჭრილმა მზემ მოსჭრა თვალი,
მერე საჩქაროდ შემოიხსნა დროის მანტია,
ესაუბრება ყველა ნივთი, რაც კი აწყვია
და რასაც ჰყუთავს გამტვერილი ნაჭრის მანტია.
ათვალიერებს... მაგიდაზე ეს ხომ ნარდია?
გაითამაშა ბაბუასთან ერთი „პარტია“,
ხედავს, ლარნაკში ხელოვნური ვარდი აწყვია,
გადაუთვალა კვლავ ფურცლები, –
„ფერი გასცლიათ“...
კარადაში რომ გაცრეცილი წიგნი აგდია,
რამ მიავინ्यა? „ყველაფერი მასზე ახია,
ბავშვობის წლები, ასე ღრმად რომ დაუმარხია!“
ყოველდღიური საზრუნავი ჩალის ფასია
თუ დაივინ्यა, გონებაში სადღაც მარხია,
წიგნი, რომელიც კარადაში ახლა აგდია,
ის ხომ ასწავლეს და ზნეობა მისი ვალია
იმ ზრუნვისათვის, რაც გასწია მისმა მანტიამ,
ბავშვობის წლებში გარს რომ ერტყა და აბადია.
ნელა ივსება, ხანაც სწრაფად დროის ბადია,
ფსკერზე ბავშვობის გულწრფელობის

თეთრი ვარდია

მოშენებული, ის ცხოვრების არომატია,
რამხელა სიღრმეც უნდა ჰქონდეს წლების ბადიას!
მერე სულ ყველას, უკლებლივ ყველას
გზები გაჰყურია...

ზოგი ცხოვრებას ააჟდერებს, როგორც არიას
და იმათ ირგვლივ მდელოები ხშირად ყვავიან,
ზოგი მზვაობრობს,
„მოსამართლის“ ირგებს მანტიას,
ზოგთან კი მიხვალ, რჩევას ჰკითხავ
გულწრფელს, აზრიანს,
სადღაც ჩუმად ზის, ლოცულობს და ჯვალო აცვია
და აფერადებს ამ სამყაროს, სადაც ბაცია.
ზოგიც ნებდება...

„– ნუ დაფრთხები, მცირე მარცხია,
ნუ დანებდები, „მაღლა ღმერთი კარგი კაცია!“
გაგიფერადებს თვალსაწიერს, სადაც ბაცია,
ჩვენი ჭიდილი ხან აფრენა, ხან ხომ მარცხია!“
ზოგიც სიხარბის მადევარი, ბრიყვი ვაცია,
რაც უნდა ჰქონდეს – ყველაფერი მისთვის ბაცია
და ეს სამყარო, სურვილებში, ფერხთით აცვია.
მაგრამ ცხოვრება რის ცხოვრებაა, სხვა რა ძალია,
დაბადებიდან წამოგვეიდებს წლების ბადიას,
ყველას გვწყურდება, გავარღვიოთ დროის მანტია
და გამოვალოთ დარაბები, სახლს რომ არტყია
სადაც ჯერ კიდევ გულუბრყვილო,
წრფელი ბავშვია,
სითბოს, სილალის, სიყვარულის გვმოსავს მანტია!

19.05.2020 წელი

მარტის 8

„რვა მარტი“ მოჰყავთ ქალებს,
არ იშურებენ ძალებს, –
მოაშენებენ გზებზე
იქს, შროშანებს, ვარდებს
იმედით – ცხოვრება ხანდახან
რომ ფერად ზღაპრებს ჰგავდეს!
დადიან ფუნჯით ხელში,
ავლებენ ლამაზ ხაზებს,
ჩუმად, უსიტყვოდ, ხმამაღლა
და ხანაც ბოლო ხმაზე,
შეჰლალადებენ სამყაროს,
რომ ბოროტება გაქრეს
და არსებობა ჩვენი
ფერად წვიმებსაც ჰგავდეს!

„რვა მარტი“ მოჰყავთ ქალებს,
არ იშურებენ ძალებს
და „სუსტი“ მხრებით დააქვთ
ტვირთები ლალად, მარჯვედ
ოღონდ, ოდესლაც, სადღაც
მცირედის მაინც სწამდეთ!
„რვა მარტი“ დააქვთ ქალებს,
როგორც ხალისი ბავშვებს,
გულში ყოველთვის, თუნდაც,
მათი მიზნების გზებზე,
მოიკოჭლებდეს მზე და
ვერ მთვარეობდეს მთვარეც,

ოღონდ, რაღაცის სადღაც,
სულ ოდნავ მაინც სწამდეთ!
„რვა მარტს“ უფენენ გზებზე
ქალებს შროშანებს, ვარდებს,
ვის მოაგონდა ნეტა?! –
აფერუმ, ისევ ქალებს,
მავთულხლართების ეკლებს
ვარდების რტოდ რომ ვაქცევთ!
„რვა მარტს“ უფენენ ქალებს
მკლავებზე იებს, ვარდებს,
ალბათ, ჩვენს ყოფას, ცხოვრებას
სამზეოდ რარიგ არგებს –
ნდობას, სიცოცხლის რწმენას
რომ დაუფენდნენ მკლავებს,
რომელთაც მოაქვთ სიცოცხლე –
ასე ჰქმნა არსთა განმგემ!
სულ ნუ იქნება „რვა მარტიც“,
ავიტანთ, ოღონდ გვნამდეს,
რომ არსებობა ჩვენი, ძვირფასი არის ცამდე
და ჩვენ მოვიყვანთ მარტებს,
როგორც ოდითგან დღემდე,
ვივლით პალიტრით ხელში
და მიმოვქარგავთ ველებს!
და ჩვენ ვიქნებით ზამთარებშიც
უსათნოესი მზეზე,
ოღონდ, გვნამდეს, რომ სამყარო
ამის მიღებას შეძლებს
და ჩვენი არსებობა
სიცოცხლეს უძლვნის ფერებს!

08.03.2021 ნელი

* * *

ყველა დროს მოაქვს თაიგულები,
გულმონალებით, კონები ჭრელი,
ხან შებლალული
და ხანაც წრფელი,
მათი ფერების სიუცხოვით
ბუნება გვშველის,
შეცნობის ხიბლი ყველა დროს ერწყმის,
ფეხის ადგმიდან დაგატარებენ
უგონოდ გზები,
ხანაც, სიცხადის გიმასპინძლებს
აზრები ვრცელი
და სულ ერთია,
მადლიერი ხარ თუ მრუმე ნეშტი,
უნდა იცოდე,
რომ ეს სამყარო შენც გეკუთვნის
და კი არ გებრძვის!

ყველა დროს მოაქვს,
გულმონალებით,
ნაყოფი შენთვის,
ზოგი ცხოვრების მონაგარი,
ზოგიც კი ძლვენი,
მერე მიხვდები,
სათქმელია რამდენი შენი
და რომ სამყაროც
გულმონალებას ასევე ელის!

ყველა დროს მიაქვს
ნაბოძები თაიგულები,
კონები ჭრელი,
ხან შებლალული
და ხანაც წრფელი,
მათი ფერების შეუცნობლობა
გონებას შეშლის –
თუ არ ხარ რწმენით,
შემოგაჭკნება, ვით თაიგული,
ცხოვრება შენი,
თუ არ ხარ ლხენის მიმნიჭებელი,
შენთვის თუ სხვისთვის, –
ხარ მრუმე ნეშტი!

27.01.2021 ნელი

SAMARO

300სოდენ შენდობას...

ღმერთო ძლიერო!
მე დაგეძებდი რამდენი წელი,
ასე ძლიერად, ასე უბრალოდ,
ასეთი თმენით...
როგორ ჩამთვალე შენ მოსვლის ღირსად,
მცირედი რწმენით,
რომ კვლავ აგევსო მიმქრალი სული
ასეთი ლხენით!

ახლა ნავარდობს ჩემი ფიქრები
როგორი შვებით,
თვით ცისარტყელას აღარ ჰყოფნის
მას შვიდი ფერი,
იასამნების, ჩემს ცას ხურავს,
ლამაზი ჭერი
და მაგებებენ ყოჩივარდებს
სავალი გზები!

არც შევწყვეტ ძებნას,
მე დამრჩენია თუკი რამ დღენი,
იმ ჩირალდნების,
გამინათებენ რომელნიც დღეს მწირს,
დაუდალავი სიყვარულის
მასხია ფრთები,
მიმაახლებენ, მადლმოსილნი,
სიცოცხლის ზენიტს!

მზე მაპოვნინე
სისუსტეთა უკუნეთ წრედში,
რა განიზრახე, დიდებულო,
ასეთი ჩვენში,
რომ მიეახლე გოლგოთას და
სიცოცხლე შენი
ისე მოგვანდე, ისე გაიღე,
ვითარცა ძლვენი,
ვერ გამომდგარა თუმცა ჩვენგან
ვერცერთი ბრძენი!

მე შენ გიცანი,
საიმედო ხარ, ერთგული, მხსნელი,
რას დაგვაკლებენ ჯოჯოხეთის
უსახო ბჭენი?!
ღმერთო, შემინდე ეს საუბარიც
აზრების შეგირდს,
ნუ დაინანებ, დიდებულო,
კიდევ ერთ „შემინდს“,
რადგან ვიცი, რომ არ აგდია
უსულო კენჭიც,
თუ ეს არ არის, დიდებულო,
განზრახვა შენი!
ბრძენო ძლიერო, მე დაგეძებდი
რამდენი წელი,
ამ ძებნისთვის და ყველა ეჭვისთვის
მე ვითხოვ – „შემინდს“!

30.12.2020 ნელი

ჯალაშბარებზე

და მოდიოდა თქეში, როგორც სევდის ჩანჩქერი,
რომ გაერეცხა სამყაროდან დარდი, ნაღველი,
ნაგროვები და ნაბორგალი გულლრძო აზრების,
ადამიანის ბოროტების ტყვიის მასრები!
და მოდიოდა თქეში, როგორც წვიმის ჩანჩქერი,
უნდოდა შველა ნაომარის რადგან მიწაზე,
მიმობნეული იყო ყველგან ბოლმის ვაზნები
და გაეტანა სამშვიდობოს ჯალამბარებით
ჯერ კიდევ თბილი, მომაკვდავი, საღი აზრები!
თქეშს მოჰყვებოდა ელვა, როგორც მკაცრი ძახილი,
სივრცეს სერავდა მოელვარე, მკვეთრი მახვილი,
უნდოდა შველა ნაომარის და გატეხილის
და თავს ესხმოდა არემარეს ზღვა ქარტეხილის!
ქარი ჰინიდავდა სამშვიდობოს გადარჩენილებს,
ვისიც ჯერ კიდევ მოისმოდა სუსტად ძახილი,
ვისიც ჯერ კიდევ აზრისა სჭრის მკვეთრი მახვილი
და მოისმოდა, მაინც ისმოდა სუსტი ძახილი!
გადაერა უთვალავჯერ უღელტეხილი,
არ ჩერდებოდა თქეში, როგორც დინჯი მაშველი.
უნდოდა პოვნა სამუალების კვლავ გადარჩენის,
ჯერ კიდევ თბილი, მომაკვდავი საღი აზრების!
კვლავაც სამყარო უძლეველი და შემოქმედი,
მუდამ აგზავნის ხელჩასაკიდს, როგორც მაშველი,
რომ ჯალამბარზე შეგდებულთა იქნას საშველი,
დედამიწაზე უამრავია ალბათ ნაშველი!

12.05.2020 ნელი

ცხოვრება სიცოცხლეზე მცირეა!

ცხოვრება სიცოცხლეზე მცირეა,
სულში მოვლენები ირევა,
ქართა სტუმრობისგან ირწევა
მდორე მდინარეთა დინება!

ცხოვრება – ვით სიცოცხლის ხიზნობა,
სულთა სარბიელის ფხიზლობა,
როგორც ცის კიდეზე მნათობი,
ისე უსასრულოდ ერთია!

ისე უსასრულოდ ერთია,
როგორც ქვეყანაზე ღმერთია,
დღეს, აქ და ახლა ჩემშია
სიყვარული, როგორც გენია!

სიცოცხლე ცხოვრებაზე მეტია,
აქ სიკეთე ჩვენში – ფრთებია,
ზეცად აიჭერი, გაფრინდი,
ვიდრე ქვესკნელები შეგშლიან!

21.07.2021 წელი

მე ბანვეშორე ადამიანს

მე განვეშორე ადამიანს ჩემში და შევცბი,
იმხელა იყო იქ სიმაღლე, შიშისგან შევდრკი,
ციცაბო კლდეთა ბილიკების მივლია გზებით,
მაინც მივყავდი რაღაცა ძალას მე ზევით-ზევით!
მე დამაშორა ადამიანს რაღაცამ ჩემში,
თუმც, დამახედა მოწინებით, ასევე, ფერხთით,
რომ დამენახა საფრთხეები, მავალნი ჩემ წინ,
ძლივსლა შევნიშნე ჩემი თავი და ძლიერ შევცბი
და შემებრალა ადამიანი, უსულო, ჩემში
ძლივსლა მტოკავი,
საწუთროსაგან დაღლილი წნებით,
თუმცა, მავსებდა შთაგონება სიცოცხლის წრფელი
და უფლისაგან გამოწვდილი, მრავალჯერ, ხელი!
მე შემებრალა ადამიანი ყველაში, ჩვენში,
იმხელა ჩანდა უფსკრული, რომ შიშისგან შევცბი,
მომეჩვენა, რომ ვერ ვიპოვიდით
ჩვენს თავსვე ჩვენში,
თუმცა, ნათელი გზას გვიჩვენებდა ციცაბო კლდეშიც,
ამოეხეთქათ სალ ფიქლებში ყვავილებს ლხენით,
და სულს ითქვამდა ოაზისებით უდაბნო ცხელი...
ფიქრები მღლიდა შიშნარევი, ცეცხლივით მწველი,
თუმცა, მშველოდა, როგორც ყოველთვის,
მე გული წრფელი,
ცხოვრება გვცდიდა ადამიანებს საწუთროს ხელით,
ღმერთი გვშველოდა,
გამოწვდილი, მრავალჯერ, ხელით!

07.02.2021 ხელი

ამაღლდი შენზე

მთებს მიაშურე თვალშეუდგამს, დალაშქრე გზები
და შეახიზნე, რაც ძვირფასია, განძია, გშვენის,
იქ სიმშვიდეა, სულს მოიბრუნებს
თვით ღმერთი შენში,
ვით მზის სტუმრობა ალიონზე,
ტახტით და კვერთხით!

მთებს მიაშურე, ვით ოქროსრქება ფეხმარდი ვერძი
მიაშურებს და მზეს მოიქცევს ჩუქურთმა რქებში,
ისე აზიდე სამშვიდობოს მიზნები წრფელი,
იქ ღვთაებაა განდევნილი და ის შენ გელის!

მთებს მიაშურე ფეხშეუდგამს, დალაშქრე გზები,
დაე, სიცოცხლე მარად იყოს სიახლის ძებნის
და პირნათელი გულისფერთქვის ულევი ეში,
ყველა სიმდაბლე გაუფინე მწვერვალებს ფერხთით!

03.04.2021 ნელი

მზისკვნ

დღეს ოცნებებმა წამიღეს მზისკენ,
ერთხელ, მეც ვიფრენ –
ილუზიების სამყაროდან იმედებს ვიჩვევ,
ვით ფეხადგმული შვილის ტორტმანს,
სათუთად ვიჭერ!

დღეს ოცნებებმა წამიღეს გზისკენ,
ერთხელ, მეც ვირბენ –
ფიფქთა ქარბუქში, შემოეცალნენ
რომელიც კვირტებს,
ვით უკრძალველი მარტოსული,
ქარებს რომ იჩვევს!

დღეს ოცნებებმა წამიღეს მთისკენ,
რომ ერთხელ მივწვდე –
პეიზაჟიდან ამოხეთქილ დეკებს და ღვიებს,
შეუპოვრობით რომ ტვიფრავენ
უზადო სიკრცეს!

და ოცნებებმა დღეს წამიღეს
მეწამულ ზღვისკენ,
როგორც თოლია, მე გადავევლე
უსაზღვრო სიკრცეს,
ვით ჰორიზონტი – მოვარდნილ ტალღებს
უდრეკად ვიჩვევ
და უშიშარი მებადური – იმედებს ვიჭერ!

15.05.2022 წელი

მისტიკა სახლობს

მისტიკა სახლობს ფიქრებთან ახლოს,
ჩამოვუჯდები როცა მთებს ახლოს
და მიყვებიან მეგობარს ახლოს,
ჩემთვის უცნობს და ზოგჯერ კი ნაცნობს!

მისტიკა სახლობს ფიქრებთან ახლოს,
როცა ლურჯი ზღვის ვეწვევი დაბლობს,
გულს მიკრავს ტალღა ახლობელს, ნაცნობს,
ერთი სული აქვს, ამბები მამცნოს!

ვხედავ კოლხეთის უძველეს დაბლობს
და შრომისაგან მოწეულ სარჩოს,
ეზოებიდან, თვალებს რომ ართობს,
აყვავებულებს – ბალნარებს, წალკოტს!

როგორი ჩუმი მისტიკა სახლობს,
როცა მედეა ფაზისთან სახლობს,
დალი გადმოჰლვრის ნადირთა სახმობს,
მთებზე ჩანჩქერებს, ხევებთან ახლოს!

როგორი ჩუმი მისტიკა სახლობს,
როს ემსგავსება ზღვა მთვარის სადგომს,
ტალღის მიმოსვლა გონებას ართობს
და ნაპირებზე ოცნება სახლობს!

მეთევზეთ ნავებს სხივები აშრობს,
სახლისკენ მიჰყავს ზღვას ნებით, ხან შტორმს

და მათ ქოხებში იმედი სახლობს,
ემეგობრებათ მათ ჩუმი ალლო!

პალმის რტოები სილებზე მხატვრობს
და მზე ზვირთებში გალლობას ნატრობს,
დაელოდება ძალლი მის პატრონს,
ზღვა გამორიყავს როს ნავის ნაფოტს...

ხან გაჰკივიან საომრად სახმობს,
სასოწარკვეთა იმედებს ახშობს,
ძე-ხორციელი არაზე დარდობს
და არ სჯერდება აროდეს სამყოფს!

თუმცა, რამხელა მისტიკა სახლობს
ჩვენი ფიქრების საზღვრებთან ახლოს,
რადგან, რატომღლაც,
რადგან, როგორღლაც,
დედამიწაზე ჯერ ისევ ვსახლობთ!

30.07.2020 ნელი

რითმები

ფიქრები, სიტყვები, რითმები
აზრები – ასხმულა მძივების,
ელაგა ლამაზი სკივრებით
გავბედე, შევეხე, მივედი ...
ვინატრე მზით სავსე დილები,
ზამთრები დავუთმე ცივები
სამყაროს დიადს მე ფიქრებში,
სიცოცხლე ვიწამე ვით ძლვენი,
ზღვა სიხარული ვიგრძენი.
მიზნები - ღვთის ნებით სიკეთის,
ვიცვალე ლამაზი რიდენი,
ვეცადე ამესხა ფიქრებში
სიტყვებით აცმულა მძივების,
აზრისთვის ვიპოვე რითმები,
რომ შემეკრიბა ის თვლები,
რასაც სულ მოჰყავს დილები
მზიანი და სავსე იმედით.
ვიცვალე ასხმულა მძივების,
ფიქრების, სიტყვების, რითმების!

09.05.2020 წელი

მთის ჩქრალები

სდის ჩქრალები მთათა კალთებს,
კლდეთა ქარაფებს,
ბროლის სადარი მიწის წიაღს
თავს რომ დაალწევს,
გახელებული ჩივის ფიქრებს,
სულ რომ თან დასდევს,
დრო ვერ გარეცხავს, ვერც მისი ჩქეფა,
მტერთა ნაკვალევს!

თავზე დასცქერის, ცრემლად დაღვრილი,
არეს ნაჯარევს
და ვერ იშუშებს ისართა და
შუბთა ნაქარევს,
მაინც დატოვებს მიწის გულში
აზრთა ნაღვარევს,
მწყურვალს აწყურებს და უქარვებს
დაღლილს ნაჯაფევს!

სდის ჩქრალები საქართველოს
მთებს და ქარაფებს
და მათი ჩქეფა მობორიალე
დარდებს ამძაფრებს,
ნუთუ არავის?! – ალბათ როგორ
ცოტას ადარდებს,
დასდარებია ჩვენი არე
სულთა ნაძარცვევს!

გზააბნეულთა კორიანტელი
გრგვინვით ცას არღვევს
და მტვრად ედება სიკეთეს და
ბრძოლით ნაჯაფევს,
შემოსჯარვიან, ვით ყორანნი,
კლდეთა ქარაფებს,
ავს უქადიან ჩემს ქვეყანას,
არა ადარდებთ!

სდის ჩქერალები ჩემს მიწა-წყალს
– მტკიცეს, ნაწამებს
და მათი ჩქეფის შემხედვარე,
ჰერცებარ ნაწამლებს,
ისე გიყვება ბროლთა უღერა
დროთა ნაქარევს,
ხვდები, რომ ღმერთი მათი ენით
სინდისს აქარვებს!

28. 03. 2021 წელი

ნეტა შემხებლოს

თითქოს, დამტოვეს საგონებელში
ჩუმმა შფოთვებმა,
გაცრეცილ სულში გრიგალებმა იწყეს მოლხენა,
დაატორტმანებს გონებაში რამდენ მოვლენას,
თითქოს, უწია ამ სამყაროს გულლრძო ბოდვებმა!
თვალს გაიტყუებს გაზაფხულთა ლალი ზმორება,
ზაფხულის ლამის მონაბერი სიოს ქროლება
და პატრუქების მთის კარვებში მშვიდი ხრჩოლება,
მაინც არ ძალუძს,
გულს არ ძალუძს შვებით მოლხენა!
დაცვენილ ფოთლებს მიდევნებული
წვიმის გოდება,
ნაალმურევი ტყის ფერდობებზე ნადირთ მოდენა,
თვალს გაიტყუებს, გული გონებას კვლავ ემონება
და მონინებით ჟამთა სრბოლას კვლავ ელოდება.
თითქოს, დაგმანეს სიხარული კლდეთა ლოდებმა
და ელოდება მოთმინებით ძლიერ მოქცევას,
ოკეანეთის ტალღების მსგავს ხმაზე მომღერალს,
დედამიწისთვის ნატვრისთვალის ისევ ბოძებას!
გადაუარეს თვალსაწიერს თითქოს ლოდებმა,
გაცრეცილ სულში გრიგალებმა იწყეს მოლხენა,
დაატორტმანებს მთის ქარბუქი ფიქრთა ზმორებას,
ნეტავ შემეძლოს, ნეტავი შევძლო სულთა მორჩენა!

26.01.2021 წელი

მშვიდობარე სტიქია

ზღვის გულს ახსნილი,
ამღვრეული ტალღების ქაფით
კლდეზე იმსხვრევა ოცნებების დაღლილი ნავი!
როგორი მშვიდი და წარმტაცი მოჩანდა ხაზი,
ლურჯი ლივლივის სტიქიაში ჩაშლილი მთვარის,

როს მებადურის ბადეს მოჰყვა წყალობა, მადლი
და ნაწყალობევს ვერ იტევდა თვით პეტრეს ნავი,
კაცთა მოდგმისთვის გაჩენილი საზრდო და ხვავი
რად ვერ შენიშნე, აღიმაღლე შენივე თავი?!

ზღვაზე ახსნილი, ადუღებული ტალღების ძალით
ხმელეთს ეჭრება, ეხეთქება მღელვარე წყალი,
სურს გააგრილოს, გააღვიძოს ბუნების ძალით
კაცობრიობას დამონებული მატერიკები.

ვერ შეიცანი ჩაღვრილ მზის და მთვარის სხივებით,
ზღვის ნაზი სიოს ნაამბობი ძეელი მითების,
სიდიადის და ჭეშმარიტების სიბრძნის ზვირთები,
სამყაროს ამბავს რომ იტევენ – უფლის სიკეთის

და ამღვრეული, მოღალადე ტალღის ზვირთებით
კვლავ კლდეს ეფშვნება იმედების დაღლილი ნავი,
ვერ შეიცანი ვერც სამყარო, ვერც შენი თავი
ვერც ის ამბავი, რამ აღავსო „იმ პეტრეს“ ნავი!

13.04.2020 ნელი

აღმოსავლეთის ცა

ვარსკვლავთზეიმის ღამე არის აღმოსავლური,
თავში ირევა დაბინდული ფიქრი, ნაკლული
მზიან ეგვიპტის, ცეცხლისფერი ცის თაღს ჩვეულის,
პირამიდებში მდუმარედ წევს მშვიდი სხეული.
„ერთ დროს დიდებას და

ფენიქსის ფრთებს მიჩვეული,
ვიწრო ჩარჩოში ჩასმული ხარ, სული ეული!“
ესმის ჩურჩული, მოწრიალე, თავში გრძნეულის,
შიშის თეთრ ფიფქებს ყინულებად ისხამს სხეული.
გიზის უდაბნოს უსასრულოდ მბრწყინავ ცის თაღზე
თვალებს აცეცებს შიში, ორ დიდ თვალად ქცეული.
ქვიშის ქარების მტვერს მიჰყვება დიდებულების
მოვარაყებულ ჩუქურთმებში გამომწყვდეული,
უამთა დინებას მიშვილებული, დიდი რჩეული!
აღმოსავლური საღამოა მშვიდი, გრძნეული,
თავს არ მანებებს შეკითხვები, პასუხს ჩვეული
და ჩემს არსებას ვარსკვლავეთის ციმციმი ავსებს,
ეგვიპტის ლამაზ, უსასრულო, ცეცხლისფერ თაღზე.
მაჯა ვიგრძენი და ხელახლა მე დავიბადე,
რადგან ზეცამდე მოლიცლიცე შიშის დიდ ლანდზე
მაღლა აფრინდა, მთელი გულით რაც მე ვიწამე!
და ცეცხლისფერი, აელვარდა სხივი ცის თაღზე,
ჩამოიშალა პირამიდები თხემით-ძირამდე,
სარკოფაგებზე შემოვლებულ ჩუქურთმებამდე,
რადგან სიცოცხლე, ჩემი თავიც, უფალს მივანდე!

07.06.2020 ნელი

ბაზაფხული 2020

ბუნება ლალობს, დამზრალ სულს ალლობს,
გადაიდარე, ამ ქვეყნის ჯანღო!
იმდენი სარგო, იმდენი ალლო
ნუთუ არ მოგცა შენ ღმერთმა— კაცო?!

რომ ამ დარების და ავდარების,
გაჩენის დლიდან შენ თანამგზავრო,
რომ შეადარო, გამოადარო
ამ წუთისოფლის ამაოდ მგზავრო!

და ეს ქვეყანა, ჩვენი ქვეყანა,
ქარიშხლების და მუმლების სარგოდ
რომ არ ვაქციოთ, რომ არ გავწიროთ
ამ წუთისოფლის ამაოდ მგზავრნო?!

ბუნება ლალობს, დამფრთხალ სულს ათბობს,
გადაიდარე, სამყაროს ჯანღო!
ვაზის ჯვარო და ღვთისმშობლის კვართო,
ოდეს გვქონია სხვა მტკიცე საზრდო?!

22.03.2020 წელი

ოღონდ, ღმერთო, შენ იყავი!

აპრილია, მაინც სუსხის ეკლებს მაყრის ქარი
დედამიწას მიუხურა სამართალმა კარი!

„რა მოხდება ჩვენს თავს?“ –

კითხვა არ მეშვება წამით,

ოღონდ ღმერთო, შენ იყავი –

მე არ მინდა წამიც!

აპრილია, თითქოს არის ყვავილობის ჟამი
მაგრამ თვალსა და ხელს შუა მეკარგება ლანდი
ვარსკვლავებად აყვავებულ ვაშლის ხეთა ბარდის,
გაზაფხული მოიქცია ბრჭყალმა უხმო დარდის!

და განსაცდელს ემსგავსება ჩუმი შფოთვა ხალხის,
ათი ათას სიახლეთა რბოლაა და მარში,
პირს აუხვევს სათამაშოს მოტიკტიკე ბავშვი,
მეგობრებთან მხიარულად სიცილ-კისკის
არ ცვლის.

მივაწყდები ცას და მიწას, მე ვიქნები კარი,
ოღონდ დილა დააბრუნე უსაფრთხო და ლალი,
დედამიწავ, გევედრები, გულში ჩამიკარი
და გამხადე შვილებისთვის იმ სამართლის კარი,
უწყალოდ რომ მიგვიხურე,
თუნდ სცოდავდეს ხალხი,
მე მომკითხე შვილის ნაცვლად
ცოდვაცა და ბრალიც,

იქნებ ბრიყვი დედა ვარ და
შვილებს ვერ ვასწავლი?

ნუ ჩაახშობ პირბადეში ახალგაზრდულ ხალისს.
მე არ მჯერა, სამყაროში რომ არ ენთოს მაინც,
სიკეთით და სიყვარულით მობრიალე კვარი,
აპრილია? – აპრილია კი არა და ჩაუვლია მაისს,
ერთი ვარდი დაენანა, არ მანახა თვალით,
გულში შიში ისადგურებს დღევანდელით ხვალის
და დავეძებ გამალებით სადღაც გამქრალ ხალისს.

აპრილია, ხეთა ნაცვლად, ისევ თოვლი ბარდნის,
პირბადეში გახვეული ხალხი სალამს არ ცვლის,
როგორ მინდა, შინაგანად, პოვნა ჩემში ძალის,
ღმერთო, ოლონდ შენ იყავი – მე არ მინდა წამიც!

15.06.2020 წელი

დღეს შემოდგომა

ფერად ქურქებში გახვეულან გოროზი მთები,
ნეტა, საიდან იბადება ამდენი ფერი?

მიმსგავსებია მოლივლივე ზღვას ზეცის ჭერი,
კარნავალია მთის ფერდობზე ათასი ფერის!
პეიზაჟების დეკორებში სიმშვიდეს ველტვი,
დანაცრებული ემოციების წყაროებს ერწყმის
დღეს შემოდგომის ჩუქურთმათა ათასი ფერი
და მე ვივსები, კიდევ ერთხელ,

სიცოცხლის რწმენით!

ჩემს გონებაში ჩაიღვრება ჰანგები მუდერი,
ვით სიმფონია, ვით მრავალხმა საგალობელი
და მე მაფხიზლებს მედიდური, გოროზი მთების
სიდიადე და უსასრულო სილურჯე ზეცის!
ისევ მაოცებს სიდიადე მე შემოქმედის,
ათი ათასი სახეობის ფორმათა შერწყმის
და მწყობრი რიტმი

წლიდან წლამდე ფერისცვალების,
მკაცრი ბუნების სიდინჯე და გოროზი მთები!

14.10.2020 ნელი

პილევები...

ვინ ჩაიხედა სამყაროს სულში,
ან ვინ განჭვრიტა
და შეძლო მისი ამოკითხვა ასე უზადოდ?..
ვინ დაამყარა აქ წესრიგი ასე უბადლო
და დააწესა სარბიელი, ვფიქრობ, უსაზღვრო?..

წონასწორობის სამეფოში მოძრავ სხეულთა
თანრიგი უცდის ადამიანს, ასე უწყალოს,
რომ ამოიცნოს ყოფის არსი, ასე უსაზღვრო
და ამ ლოდინში მინას ზურგი ეწვის უწყალოდ!

ჯერ თავს ვუშველოთ,
რომ შეგვეძლოს, სხვათაც ვუწამლოთ,
რადგან არ არის ეს საშველიც ჩვენთვის უვადო,
შენ ტყვიას ესვრი ადამიანს მართალს, უსასოს,
უწესებ საზღვრებს
წონასწორობის წესრიგს უზადოს!

შეფხიზლდი წამით! გაგონილა გონი უთავოდ?
ან უგნურებით განწესებული მწყობრი უბადლო?!
მიწას დახედე, ამოწვერილ იებს უმანკოს,
რომ შენი ფიქრი სამყაროს დედას ნაზად უამბოს.

დედებს შეხედე –
შვილთა სიცოცხლის ამბორს უვადოს
და მოუსმინე მართალ გულთა
უსაზღვრო ამბოხს!

ძალლს დააკვირდი,
მეპატრონის საფლავს რომ დარდობს,
მამლის ყივილსაც ყური უგდე,
ახალ დღეს გამცნობს.

აღარ მომიყვეთ დარვინიზმზე,
სხვაც ბევრი სწავლობს,
გთხოვთ, მიპასუხოთ, ამ სწავლულებსაც
რა ძალა სწყალობთ,
ვინმემ შეძლო და მიაკვლია საშველს უვადოს?!
გაოცებული შემოგვყურებს მწყობრი უბადლო,
რაც შევიცანით, განვაწესეთ ხშირად უთავოდ!

27.02.2021 ნელი

ხელოვნებას

მთვარე სონატად დასთამაშებს
შავ-თეთრ კლავიშებს
და როიალის უსულო სიმს უღერას ანიჭებს,
თავს უყრის ბგერებს,
როგორც მინდვრად ლამაზ ყვავილებს
და არეული ბეთჰოვენის სულს დაამშვიდებს,
პიანოს შეცვლის ლეგატო და გულის წიაღებს
კომპოზიტორის აცლის ფიერებს ნაირ-ნაირებს...

გადაუხატავს მეასეჯერ რემბრანდტს სასკია,
გულზე მეულლის სიყვარული მტევნად ასხია.
ნიკო ფიროსმანს ჭიქა ღვინოს და თეფშს აცლიან
სახლში წავიდეს? კიბე განა მისი სახლია?!
ფუნჯის წვეროზე მან ქვეყანა ხომ დაატია?
დედამიწაზე ის ფერების ანდამატია,
ყველა შეიცნო, რაც არსებობს და ნანახი აქვს!

ამკობს ყანჩელის „ფოთოლცვენა“
თვით შემოდგომას,
რომელსაც თითქოს შესამკობად რამე აკლია?
გამოუთქმელი ემოციების სიჩუმედ ჰერაცხავს
ფოთლების გროვას,
ოცნებების კარს რომ აჰევრიან!
როგორ დაიტევს ვეებერთელა ვან გოგს გალია?
მისი სამყარო მზესუმზირათა ხომ ტრამალია,
მუზეუმებში მისი ცა რა დასამალია –
ვარსკვლავიანი, მოჭედილი რა ლამაზია!

ირევა ფერი, ერწყმის ბგერები ნაზად მუღერები,
გალაკტიონმა მაინც მოთქმით სული დალია,
აივაზოვსკის მას ეწვია მეეცხრე ტალღა,
აღარ ინდომა ამ ცხოვრების ფიალის დაცლა!
და პოეზია?! მისი ლექსი ჭიქა წყალია,
უალოდ დამწვარ უდაბნოში მზემ რომ დალია
და გადაიქცა ოაზისად, ვინაც დალია
წყალი ბგერების, წყალი ფერების, შემოქმედების,
ღმერთის წყალობით
ადამიანთა ბრძნად მოქმედების!

სან ბეთჰოვენის ნაზი გვატკბობს ჩვენ სონატები,
სან სიმფონიას მეცხრესა ჰგავს ფიქრის ტონები,
გადაატარებს შავ-თეთრ კლავიშებს
მარშს მენდელსონი,
ოთხივე სეზონს ნოტებად ღვრის ჩვენში ვივალდი,
იკვებებიან ჰარმონიით სულნი მოზარდნი.

ნეტა, რას შესწევს ესოდენი ძალა, დრო არ ცვლის
ამ ტიტანების ნააზრებს და ნანახს შრომად ქმნილს,
კაცობრიობას რომ შთაბეროს
დაღლილს, ქანცგაცლილს,
ცხოვრების ხიბლი –
თანამგზავრად ვრცელი შარაგზის!

21.05.2020 წელი

ჩამოთვა

ბავშვურ ოცნებებს მიმსგავსებულ დღეთა იმედად,
ზეცა დაბერტყავს დიდრონ კალთებს
მშვიდად, ფიფქებად
და შეაფხიზლებს, დროის უხეში ნახტომისაგან
გაფერმკრთალებულ და შიშისაგან
შემცბარ სინორჩეს,
იუკადრისებს ცივ ნამქერში როცა გაფანტვას
ერთ დროს
სიცოცხლე შესადარი ზეცის სილურჯეს!

მთვარის მშვიდ შუქზე
ბრილიანტებით შემოუქარგავს,
დაკლაკნილ კიდეთ, უბადლო თერძი, ანკარა რუებს,
ანგელოზები შეპხარიან შობის სიტურფეს
და საოცარი აღტაცება სულში იბუდებს!

მერე ჭირხლებიც ჩამოადნება ფანჯრის ცივ შუშებს,
როცა მზიანი ზამთრის დილა სულს მოიბრუნებს,
იმედის მბრწყინავ ნაპერნკლებად როს დააბრუნებს
დედამიწაზე მზის ამბორით გამლოვალ ყინულებს.

ბავშვურ სინწოდელით გაჯერებულ დღეთა იმედად,
ზეცა მოარხევს დიდრონ შლეიფს
მშვიდად, ფიფქებად,
ჩვენ ვერ დაგვიცდის, ნუ ვიქნებით დროის იმედად,
დაე, გვათოვოს, სამშვიდობოს, დიდრონ ფიფქებად!

22.12.2020 წელი

პოეზიამ შემიზარა

პოეზიამ დამიყვავა და შემასხა ფრთები,
ერთი-ორი სტრიქონი და ჩემ თავს ვემსგავსები,
დრო და სივრცე პირობაა, ყოფის ორი ცვლადი,
მაგრამ არსში კაცთ ბუნების
ვინმე ცვლადებს დათვლის?
კაცთა მიერ შეცნობილს და შეუცნობელს შორის
უხილავი მიჯნა არის ჩვენი ფიქრის ზომის,
გადაუვლელ ბარიერის, გაუწვრთნელი გონის,
ჯერ ვერ მოსულ, არ დაშვებულ
უძვირფასეს ცოდნის.
პოეზიამ შემიფარა თვისი ვრცელი ფრთებით,
აწყობილმა ნაირფერი ბუმბულებით ჭრელით,
მოფარფატე პეპლებსა ჰგავს აზრი,
გარს რომ მერტყმის,
ნაკადულის ხილვასა ჰგავს,
მწყურვალს გზა რომ შეგყრის,
მზეს დაიტევს და მოიქცევს ერთი ცივი პეშვი!
გამომრიყა ოკეანემ თეთრ ნაპირზე ღელვით,
უკაცრიელ კუნძულს ვხედავ,
შიში მიპყრობს, ველტვი,
ხელთუქმნები ლანდშაფტების პეიზაჟებს ვეტრფი
და სამყაროს ჰარმონიას უსასრულოს ვერწყმი!
ღმერთი მფარავს აზრთა ჯავშნით,
სტრიქონებად მესმის,
დაუდგრომელ მდინარეს ჰგავს,
მოვარდება ღელვით,
არც წვიმების მშინებია, მელოდიად მესმის.

პოეზიამ შემიფარა, ამიტაცა ფრთებით
და სამყარო მომატარა, არც კი დავიღლები,
უთქმელ დარდთა ღრუბლის გროვებს
ვფანტავ წვიმის წვეთით,
ნაჭერ-ნაჭერ მივაკემსე მე ცის ლაუგარდები.
მიმითითა ღვთის განგებამ ანბანთშერწყმის წესი,
დიდი მეფე ფარნავაზის დიდებული ენის!
გაატანა ქარს და ნიავს ყველა ეჭვი მღრღნელი,
ადამიანს არსებობის მანძილზე რომ ებრძვის.
მომაწოდა ნაკადულის ერთი ცივი პეშვი,
თავანკარა, მობრჭყვიალე, გეგონება მზე შიგ
და მიყვება წყლის რაკრაკი მივიწყებულს ჩემში...
პოეზიით დამიყვავა მე სამყარომ, ლექსით,
შემიფარა, მომისმინა, მონაყოლი ღელვით,
მომიჩრდილა ნაირფერი თვისი ვრცელი ფრთები
და ვიგრძენი, ღმერთი მფარავს,
აზრთა ჯავშნად მერტყმის,
ვასაზრდოებ სულ სიკეთეს, რაც კი ჰპოვე ჩემში!

20.06.2020 წელი

მე ფენიქსი ვარ!

მე დავიწვები, დავითერფლები ბოლო ალამდე,
სანამ ფენიქსის არ მოვისხამ ფრთებს
და დავამსხვრევ
ყველა მცდარ გისოსს, ყველა ჩარჩოს,
ბოლო ძალამდე
და შემოვიფრენ მთელ სამყაროს – უფლის კარამდე!
მაინც ვიპოვი ამონახსნებს –
კითხვის ზღვა დამდევს,
მაინც გავივლი ყველა შარას, ჩემით გასავლელს
და გავიაზრებ ყველა ნაბიჯს, ბოლო აზრამდე,
ყველა ამონახსნს გავანდობ სხვას, სანამ კარამდე
ჩემი ცხოვრების დასასრულის, გზა მიმაცილებს!
რასაც გამანდობს ჩემი გული, ყველა მართალ ზნეს
მე გადავხატავ ლამაზ წიგნად, ამბის სავანედ,
ცხოვრების ყველა ლამაზ დილას დალამებამდე,
ყველა ღრუბელს და სეტყვას მოსულს
უღრუბლო ცაზეც.
მერე თუნდ მოვკედე,
არ ვითაკილებ მე თვით სამარეს,
რადგან აზრებად მე აღვდგები
და ფრთებს წავართმევ
ხან არწივებს და ხანაც მტრედებს, დავასამარებ
უიმედობას, მომავლის შიშს და მე დავამსხვრევ
ყველა ცრუ გისოსს, ყველა სამსჭვალს,
ბოლო აზრამდე,
რაც კი მაპრკოლებს, მივაღწიო უფლის კარამდე!

03.07.2020 ნელი

ზაფხულის ღამე

მთვარე უნათებს ზაფხულის ღამეს
შეფაკლულ ღაწვებს,
დღის ოხშივარით შეწუხებულ ტოტს
სიო არწევს,
გადარეული მთის მდინარე, თითქოს,
ხევს ანგრევს,
ცას ერკინება ელვარებით მყინვართა სარკე!

აქ სილამაზე გრძნობებს ახელებს,
განცდებით სავსეს
და სიდიადის უბრალოება სიცოცხლით მავსებს,
მივედარები ღრმა ხევებზე მოდენილ ჩანჩქერს,
ზმა ემიჯნება რეალობის ულმობელ სახეს!

დღეს ასეთი ვარ,
არ ვუწესებ მე ნდობას საზღვრებს,
რამდენი, უკვე მოგონება, სიცოცხლის მმართებს,
რამდენი უტყვი შეგონება ახსოვთ ამ თვალებს,
უკვე ნათქვამს და ან უთქმელსაც
მხოლოდ დრო დალევს!

მთას დაიყივლებს, კვლავ არწივი
აფხიზლებს მართვეს
და ალიონი შეუფაკლავს მყინვარებს ღაწვებს,
ალმური ასდით, თითქოს ერთთავად
იმ ცეცხლზე დაწვეს,
გულს რომ ათბობდა ამ ზაფხულის საოცარ ღამეს.

დღეს ასეთი ვარ,
არ ვუწესებ სიცოცხლეს საზღვრებს,
მე ჯერ რამდენი, ო, რამდენი სიკეთე მმართებს,
ძარღვებში ვეძებ
დაუშრეტელი ბრძოლისთვის ძალებს
და ვემსგავსები ღრმა ხევებზე მოდენილ ჩანჩქერს!

06.06.2021 ნელი

და ვინჩი

დედამინაზე ამოიფრქვა ნიჭის ვულკანი,
დააჭერინა და ვინჩი ფუნჯი და უკარნახა
მინის წიაღში დაწყებული ჯოჯოხეთიდან,
ყველა მისხალი, ყველა შტრიხი, ვიდრე ზეცამდე!
გადმოტანა ტილოებზე ფიქრი მძლეთა-მძლე,
როგორც პუნებამ უკვდავმა და მარადიულმა,
მოხატა ფიქრი შუქჩრდილებით, ისე როგორც მზემ
და დაიბადა გენიოსი, თავად მზეთა-მზე!
ხან ხორციელის უკიდურეს სიმცირეს ხსნიდა,
ესტუმრებოდა უსაშინლეს ცოდნის სანახებს,
მაგრამ უფალი მის გონებას აიტაცებდა,
აწერინებდა არსებობის უკვდავ სანახებს.
მიუალერსა ტილოს ფუნჯით და ვინჩიმ – ბედზე
და საიდუმლო სერობის წერს იდუმალ სცენებს,
როგორ ხმამალლა და სიცხადით გვიყვება ფიქრებს
ფუნჯი, რომელიც გამოსახავს ტილოზე შტრიხებს
უდიდეს ტვირთის, უფალი რომ ჩვენ გამო იღებს!

და ლეონარდოს იპყრობს ფიქრი –

„ნეტა ვინ ვარ მე?

რა უფლება მაქვს, რომ დავხატო

უფლის სიკარგე?“

გამოუსახავს მას იესო ლურჯი ცის ფონზე

და მთა-გორები სერობაზე შეჭრას ლამობენ,

რომ შემოერტყან დარაჯებად, დაცვას ცდილობენ,

მაგრამ ვაგლახ, რომ კაცთა მოდგმას

ვეღარ წამლობენ,

რადგან ძეს ლვთისას უგნურებით

მდაბლად ამკობენ...

და ვინჩი აცდის ნიჭის ვულკანს, ფიქრად გამოდნეს,

გააგრილებს და მისგან ტოვებს ცივ ბათოლითებს,

მერე შემოსავს როგორც ძეგლებს,

უკვდავ ნაშრომებს,

კაცობრიობას ამ სამყაროს ფუნჯით აწონებს.

გონების ლავას დაამშვიდებს, აქცევს ჯოკონდად

და გადაიტანს მრავლისმეტყველ, მდუმარე აზრებს

ტილოზე, თითქოს ასე მშვიდად ფიქრებს ეცალოთ,

რომელიც დღემდე მოაზროვნეთ უნყალოდ აბნევს.

ჩამქრალ ვულკანის კრატერს ჰემოსავს

ნისლი მდუმარე,

მარადისობას სიმშვიდეში მიჰყავს მძლეთა-მძლე,

უტოვებს ნიჭი დედამიწას თავის ნაშრომებს

და ელოდება ამოფრქვევას ძლიერს, მძელვარეს,

რომ მოეფინოს კვლავ ქვეყანას,

როგორც მზეთა-მზე!

24.05.2020 წელი

შამთასვლა

დღეს განწყობაა რეალობიდან ისევ გაქცევის,
რომ მოვუგონო საკუთარ თავს კვლავაც ზღაპრები,
ისევ აუშვეს ხომალდებმა ფიქრთა აფრები
და თან წაიღეს ულმობელი დროის დარდები.

რა განწყობაა, რეალობიდან გადანაცვლების?
რისთვის სჭირდება ადამიანს ფუჭი ზღაპრები,
როცა სიცოცხლე სავსე არის თვალ-ბადახშებით,
ყოველდღიური სიხარულის დევს ზარდახშები.

ეს განწყობაა დანანების, სწორედ ნაღველი
იმ ბედნიერი, უსასრულოდ ვრცელი ამბების,
რომელიც მიაქვს სამუდამოდ, როგორც სახდელი,
უამთასვლის რბოლას,
მიაქროლებს ვითარც მძარცველი.

განა შვებაა უსასრულო, ფუჭი ზღაპრები,
როცა იმ ქეყნად მარტოდ-მარტო მიემგზავრები?!
დროთა დინებავ, ნუთუ სადმე შენ დამთავრდები,
რომ დაასრულო უამთა სრბოლა,
გულის მძარცველი?!?

დღეს განწყობაა რეალობიდან ისევ გაქცევის,
მსურს, მოვიხადო ღირსეულად დროის სახდელი,
როცა დავრჩები ქვეყანაზე მხოლოდ სახელი,
გულს მოეფინოთ შთამომავალთ ჩემი ნათელიც!

28.08.2020 წელი

სამყაროს ვერ ვცნობ

სადაც ვარსებობთ,
მე ამ სამყაროს სრულებით ვერ ვცნობ,
უნდა შევიგრძნო ალბათ მძაფრად,
რასაც დღეს ვერ ვგრძნობ,
თუმცა, შემიჩნდნენ სტრიქონები,
აზრები ვერ მთმობს
და იმედებსაც, ხვალინდელის,
გონება ვერ თმობს!
ამშვენებს ფიფქთა ნაკვალევი
ნოემბრის ფერდობს
და ფოთოლცვენის ფერადი დარდისთვის
ქარებსაც ვერ ვგმობ,
როს გააცლიან ჭისარტყელებს
ბუნების დეკორს
და გაატანენ ულმობელად
ნარსულის ექოს...
და იყოს მარად ნება შენი, უფალო ღმერთო,
რაც განაწესე მოკვდავთათვის,
მე რწმენას ვერ ვთმობ!
მინდა, შევიგრძნო სიცოცხლე მძლავრად,
მაგრამ დღეს ვერ ვგრძნობ,
რადგან ვარსებობ სამყაროში,
რომელსაც ვერ ვცნობ!
და... იყოს მარად ნება შენი, უფალო ღმერთო,
რაც განაწესე მოკვდავთათვის,
მე რწმენაც ვერ მთმობს!

09.11.2021 ნელი

ბანცდამ ზამაქზა

მე განცდამ სიცოცხლისკენ წამაქეზა,
მერე სიყვარულიც დამაბედა,
უმიზნობის აზრთა ანათემად,
მთვარე სარკმელს მშვიდად ანათებდა!

მე დარდმა სიმხნევისკენ წამაქეზა,
მერე სტრიქონებიც დამაბედა,
სარკმელს ცის მნათობთა შეახვედრა
ღამემ ვარსკვლავეთის აჯანყება!

მე შიშმაც სიმხნევისკენ წამაქეზა,
მუხთალი აზრების განსადევნად,
ვარდ-ყვავილთა სამყოფ არემარეს,
როცა ცივ ქარბუქებს დაატეხდა!

მე წარლვნამ ედემისკენ წამაქეზა,
მერე ბრძოლის ჟინიც დამაბედა,
ყველა უიმედო შელამებას
დილის სიკამკამე შეახვედრა!

მე მცდარმა სიმართლისკენ წამაქეზა,
როს საგანთა განსჯა დამაბედა,
მერე მივხვდი, თურმე, სამყაროში,
სული თავის ადგილს დაედევნა!

მე განცდამ შეწყნარებაც დამაბედა,
მტანჯველ აზრთა ჩემგან განსადევნად,

როს უსამართლობის პორიალმა,
შავი ავაზები გააგელვა,
ვარდ-ყვავილთა სამყოფელი არე,
როგორც ქარიშხალმა, გადათელა...

მე აზრმა უშიშარმა წამაქეზა,
თვალით უხილავის ასახსნელად,
როცა ჭინკებივით ირეოდნენ
„კაცნი“ – „კაცთა მოდგმის დასახსნელად“!

მე მიწამ ზეცისაკენ წამაქეზა,
ბნელმა ნათლისაკენ ამახედა,
ახლა ვხვდები, რადგან ჩემი სული,
სამყაროში ადგილს დაეძებდა!

23.11.2021 წელი

ზღვას

ნეტა რა უნდა წყალს – რომ ეძახიან ზღვას?
როცა შევხედავ მას, მავიწყებს ყველა გზას
და მე ვუყვები კვლავ, როგორ ველოდი წამს,
როს გავხედავდი მას და გავუცვლიდი აზრს!
თვითონაც მესაუბრება, ვით მოძმე უმცროს ძმას:
ნუ დაკარგავო წამს, სიცოცხლე კვლავ თუ გწამს,
მიეცი მორევს, წყალს – სულ ყველა, რაც არ გწამს
და გაუდევი გზას, რაც დაგანახებს კვალს,
რომელსაც ჰქვია ხსნა...
ნეტა რა უნდა ზღვას, ფეხქვეშ მოგაცლის შლამს,
როგორც სიცოცხლის წამს, რომელიც აღარ გწამს,
წაიღებს, მისცემს წყალს და გააყოლებს ქარს
და ნუ აბრალებ სხვას, თუ შენ არაფრის გწამს.
ყური დაუგდე კარგად მარადისობის ჩქამს,
ნუ დაიტოვებ გულში დარდებს –
ვით მღვრიე წყალს,
არც ახსოვს მშვიდი გზა, კაცთაგან განვლილ უამს!
უსმინე ტალღის ხმას, მიეცი ნება წყალს,
გამოგინახოს გზა, თავშესაფარი, ხსნა
და გაატანე შლამს – ფეხქვეშ რომ გაცლის ზღვა,
ყველას უმიზნო გზა, რომელიც შენ არ გგავს!

12.05.2020 წელი

მზე ივნებს უბას

დუღს, ოხშივარი ასდით ფიქრებს,
როგორც ცისკარი
მზის კაბადონზე ააზვირთებს მენამულ ღრუბლებს,
მოხეტიალე დღის რაინდი – მზე, ივსებს უბეს,
რომ შემოავლოს ცხრა ქარგული სიკეთის ზღუდეს!

მზე იტევს წუთებს სიხარულის, მზე იტევს წუთებს...
როცა სიშმაგე, ბოროტება აიყრის უღელს
და მიეჭრება დასანთქავად მადლმოსილ ზღუდეს,
თუმც, იფერფლება დადარივით აზრები მრუდე!

დუღს, ოხშივარი ასდით ფიქრებს,
როგორც მდინარე
გათენების ჟამს დარდისაგან აიყრის ნისლებს
და უსახსოვრებს კალაპოტთა მონაყოლ შიშებს
ზენა სამყაროს – უსასრულო, უსაზღვრო სიბრძნეს!

დუღს, ოხშივარი ასდით ფიქრებს,
როგორც ცისმარე
დილას ზღვას ჰბურავს მოქუფრული
ნისლთსაბურველი,
ფიქრთა ირაოს შემოვავლებ მოსარჩლეს – წუთებს
რომ შემოვაჭდო ცხრა სარტყელი
მშვიდობის ზღუდეს!

10.09.2021 წელი

სიმშვიდის მხედრები

სიმშვიდის მხედრები,
გონების მდევრები,
დამდევენ მწევრები
და ასე, ამგვარად,
მე ვუძლებ სიცოცხლეს
და ზვირთებს ვერევი!
სიწრფელის მხედრები,
ეს დინჯი მდევრები,
დამდევენ მცველები
და ასე, ამგვარად
ცხოვრების ქაოსში
მე ხინჯთაც ვერევი!
სიმტკიცის დამდევენ
თურმე მე მხედრებიც,
ვერა, მათ ვერ შეცვლის
უსაგნო სამსჭვალნი,
დრო შტორმით ნაცადი,
ვერც ფუჭი მარცვალნი,
ცრუ ოაზისების
ნარმტაცი ლანდები
გონების მტარვალნი,
სიცოცხლეც მეყოფა
ნამდვილი, ხალასი,
თუნდ იყოს ნაჯაფი!
მე მხოლოდ მაფიქრებს
ისეთი დღეები,
არაფრის მთქმელები,

როდესაც გრძნობათა
შემომელევიან
მე მტკიცე მცველები
და ღმერთმა არა ქნას,
რომ მაშინ მე ვიყო
სხვა ვინმეს მშველელი
და ღმერთმა ინებოს,
უხვად მოდიოდეს ხსნა
რწმენის შემცველი,
ისეთი ძლიერი,
ისეთი ნამდვილი –
სიცოცხლის შემცვლელი!
და მერე თუნდ იყოს
კვლავ ასპარეზი
ბოლმათა ფრქვევის,
ნუთუ გაარღვევს
ალყას უამრავ
ერთგული მცველის?!
როს ამხედრდებიან
სიწრფელის, სიმტკიცის,
სიმშვიდის მხედრები
მე კვლავაც შევხედავ
სამყაროს სიკეთის
ნათელი ფერებით!

25.12.2020 ნელი

სიცოცხლე მიყვარს

სიცოცხლე მიყვარს შენით,
ღმერთო, შენ – ერთადერთო
ყოველთა მხსნელო და შემოქმედო!
სიცოცხლეს ვხედავ შენით,
ღმერთო, შენ – ერთადერთო,
ყოველთა მწყემსო უსასრულო,
დაუსაბამო!

სიცოცხლე, მინდა, შენით, ღმერთო,
შევუსაბამო:
რწმენას, სიყვარულს,
უსასრულოდ წარმტაც სამყაროს,
რადგან მიგრძნია სიყვარულიც,
უფალო, შენით,
როცა მინახავს მოკისკისე
ბავშვებში ღმერთი
და უტკბილესი ჩაჭიდება
პატარა ხელის,
მსგავსი განლმრთობის –
ხორცშესხმა რწმენის!
მე მინანია შენით, ღმერთო,
თუ რამ შევცოდე
უნებლიერთ, თუ იყო ნებით
და მიხარია ეს სინანულიც,
უფალო, შენით,
რადგან მინახავს გაზაფხულზე
იებშიც ღმერთი
და შემოდგომით, როცა დაღლა

ცივ ქარებს ერწყმის,
რათა გაფანტოს უმიზნობის
მცირედი ეჭვიც!
თოვლის სამოსშიც მე მინახია
უფალი ღმერთი,
თითქოს, გვასვენებს და გვამზადებს
სიცოცხლის რწმენის,
გაზაფხულებზე აყვავებისთვის,
ყოველთა მხსნელი!
მე შემიცნია ადამიანიც,
უფალო, შენით,
ალბათ იმდენად,
რაც შემიძლია მე ჩემი რწმენით
და ამ შეცნობით მადლიერი ვარ
აქედან მზემდის,
ვეთაყვანები მე სიცოცხლეს –
თუნდ, იყოს ერთი!

09.10.2020 ნელი

* * *

ბოროტისაგან შფოთვის, გაუსაძლისი ბორგვის
მოვლენა იპყრობს არეს, სივრცეს ადამის მოდგმის!
სიმარტივისგან შფოთვის გაუსაძლისი ბოდვით
დალლას და გამოფხიზლებას
ჩვენ მოვიხილავთ, როდის?!

თუ დასჯერდება ეგო უნიათოთა მოდგმის,
გამჩენისაგან ჩვენთვის მოჩენილ არეს, მოძღვნილს
და გადაიყრის სურვილს
სხვის სამყაროში ლტოლვის,
თუ ცნობიერში ფათურს გაუხედნავი ტორის?!

როდის იმძლავრებს ძალა და გონი სულთა მოვლის,
გამოიზამთრებს ეგო უნიათოთა მოდგმის
და მოიშორებს ნაჭუჭს, არე ადამის მოდგმის
ბოროტისაგან შფოთვის გაუსაძლისი ლოდის?!

21.09.2020 ნელი

მუზების ჩარში

ფიქრებს, ფურცლებად აშლილს,
ვიჭერ მუზების ქარში
და ურუანტელი მივლის
ცხოვრების ამონახსნის,
ხან დარბაისელ ფიქრის
ხლებაა თანამგზავრი,
როგორც მტკიცე და გამძლე,
სულით ძლიერი მავრი,
გადანატანი ასგზის
ქარიშხალის და გვალვის,
ბაფთით შეკაზმულ ჯარის
რომ ვერ გატეხავს ზარი!

ხანაც შევლალავ ზღვაში ფიქრებს,
ტალღებად აშლილს,
ფირუზისფერი მუზა
ნავით მატარებს წყალში,
და საცერივით გაცრის
ღრუბელი მზის სხივს ცაში,
როკვას დაიწყებს
სარკედ განფენილი მზე ზღვაში.

ფიქრებს ფურცლებად მაყრის
ზაფხულის თბილი ღამის
ხავერდოვან ცის თაღზე დისკო
დიდრონი მთვარის,

რამდენი კადრი სერავს
ეკრანს მელნისფერ თაღის,
ახალგაზრდობის ვალსის
ნაირფერ სინარნარის.

ფიქრებს ფურცლებად აშლილს,
ვიჭერ მუზების ქარში
და ურუანტელი მივლის
მოგონებების, თავში,
მზერას რომ მომწყვეტს, გზის პირად,
ყოჩივარდების კვალი
და გულის კარნახს მივყავარ
ჩემი ცხოვრების კვალში.

24.06.2020 წელი

ფიქრები აღდგომაზე

უნდა გეტკინოს სიკვდილამდე,
ალბათ, რომ აღდგე,
თავისი უმანკო სიცოცხლით ამბობს
უფალი სათქმელს!..
უნდა გიყვარდეს სიკვდილამდე,
ალბათ, რომ აღდგე
და შემოსილი მისი ძალით,
უფალთან წარსდგე!

იმდენჯერ უნდა წამოდგე და
კვლავ სვლა განაგრძო,
რამდენსაც გძლევს და უძლურება
ლახვარს ჩაგასობს,
სადაც არა სჯობს, ალბათ,
გაცლა მაინც არა სჯობს,
შენი დარდიც და სატკივარიც
ღმერთმა განსაჯოს!

უნდა ისწავლო შენ სიცოცხლით,
თუ როგორ აღდგეს
ათასგვარ გრძნობად აშრევებული
სულის სიმტკიცე,
გამოუკეტე ცოდვას კარი
ყველა სიბილნეს,
სიცოცხლეშივე გაიმარჯვე
გულღრძო სიკვდილზე!

ადამიანო, ღვთის განგებავ,
ალბათ იფიქრე,
ბოროტმა უნინ რომ ისაუზმა
მამლის ყივილზე?!
ათასწლეულთა ცოდვა-მადლი
მხრებზე იტვირთე,
ადამიანო, გევედრები, მარად იფხიზლე!

უნდა იცოცხლო სიკვდილამდე, ალბათ,
რომ ალდგე,
ისე იცოცხლო, რომ არავის დაუგო მახე,
სულს ნუ გააპამ მასში, შენს სულს
ნუ ჰკვეცავ აქ ფრთებს,
ვერ გაფრინდები და იცოდე,
შენ უნდა ალდგე!

02.05.2021 ნელი

რა დამიპარბა?!

რა დამეკარგა? –

სიცოცხლის ძარღვი, ხელთ რომ მეჭირა,
მე რა მომღლიდა, თუნდაც დღეში ასჯერ მემზირა
ჩემ გონებაში დასახული მიზნებისათვის
და ნაბიჯ-ნაბიჯ მათი ახდენის გზებზე მეფიქრა.

მე რა დამაკლდა?! –

სიცოცხლის უინი, მზეს რომ ეჯიბრა
ჩემს სამყოფელში არემარის გასხივოსნებას,
მე რა შემცვლიდა!
ლმერთო ჩემო, თუ არ შემშლიდა,
მარტოსულობა დაბადებული უღვთო განცდისგან!
და რა დამაკლდა?! –

ადამიანი, დაბადებული სულის შეგირდად,
ნაცვლად უღირსი და უსულო, შმაგი მხეცისა!
მე რა შემცვლიდა?!

ლმერთო ჩემო, მე რა შემცვლიდა,
ადამიანთა უსამართლობის თუ არა განცდა?
მაგრამ ყველაზე უფრო მეტად მე რამ დამღალა,
იმაზე დარდმა, რომ ეს ყოველი ყველას დააკლდა,
ვისაც გული აქვს და ფიქრების დასდევს ამალა,
თუ როგორ გაძლებს, უგულობის სუსხის ამარა,
აქა-იქ ლურჯად შემორჩენილი ზეცის კამარა,
როცა ჩვენ მოგვდევს მომავალი, დიდი ამალა,
დედამიწაზე სიცოცხლის ეშხი რომ დაეკარგათ!

17.05.2021 წელი

ღერა აღარ მსურს

აღარც წერა მსურს, აღარც განსჯა მე ამიერის,
ყოველდღიური გარდასახვის, აზრთა, მიზნების,
როგორც მარცვალი უსიცოცხლო
რიყის ცივ ქვებში,
ისე მებნევა ნააზრევი მრუმე სივრცეში!

აღარც ფიქრი მსურს ბობოქარი, დროთა დინებით,
თითქოს ჩამებნა ნაგროვები კალთით მიზნები,
მხოლოდ შვება მსურს დინებისგან თავდალწეულის
და გარინდება ურჩი გულის, დელვას ჩვეულის!

ახლა თმენა მსურს, მიმოქცევის,
გრძნეულ ფიქრების
და შერკინება სიმტკიცისგან თავაწეულის,
რადგან მზერა მსურს დინებისგან თავდალწეულის
და დამშვიდება ურჩი სულის, სულის ეულის!

დღეს დანებებას სიცოცხლის მთხოვს
უცხო სიმები,
უნდა მოვზიდო მე მშვილდები რწმენის, იმედის,
ფიქრი აღარ მსურს,
თუმცა უნდა გითხრათ იმდენი...
ლოდინად იქცნენ მოთარეშე ჩემში მითები!

17.03.2021 ნელი

დრო რას მპირდება?

მე ჯერ არ ვიცი, რა იქნება, დრო რას მპირდება,
ჩემი სხეულის დინამიკა სულს თუ სჭირდება
და ჩემი სულის გამოძახილი სხვას რას ჰპირდება,
მაგრამ დღე ღამით
და ღამე დღით კვლავაც იცვლება.

ადამიანთა გრძნობები ხომ სადღაც ღვივდება?
ზოგი მცდარია და მიწაში უანგად ჯირჯვდება,
ზოგიც სავსეა სიკეთით და ზეცად სხივდება,
ადამიანი მაღლდება და ხანაც კნინდება!

მე დრომ არ მითხრა, რა იქნება, ან რას მპირდება,
ყოველი აზრი გონებაში მსწრაფლად ღვივდება,
ზოგი რჩება და გულს მიამებს, ზოგიც მცილდება,
მხოლოდ იმედი, სასოება, გული მჭირდება,

რადგან მე ვიცი, რა ვიქნები, აზრი მტკიცეა,
ჩემი სამყარო უსასრულო ლურჯი სივრცეა,
იქ, ვით ტალღები, ოცნებები ისე ზვირთდება
და იმედები, ვით ვარსკვლავნი ცაში, იფრქვევა!

02.06.2021 წელი

CEM
SAMSOBL0

სამშობლოს!

მოდის სამშობლო, წელზე არტყია ქამარ-ხანჯალი,
უძველესი და უშრეტელი ჩვენი ანბანის,
მოდის სამშობლო, მოდის მძიმედ, წელი ტაატით
და ეგებება წმინდა ნინო მძლეველი ჯვარით!

მოდი, სამშობლოვ და მოიხმე არაგვი, თერგი,
რომ გადარეცხონ ისტორიის მდუმარე მტვერი
შენი სიძველის, სიმტკიცის და ულევი მტერის
და საკვირველად, მადლმოსილად
ბოროტზე ძლევის!

გარე სამყაროს ესაუბრები შენ შოთას ენით,
ამბით ღალადის სიყვარულის და მეგობრობის,
მათი დუღაბის – ერთგულების უცვლელი მრწამსით,
სხვა რა ღონე გაქვს – ზნეობაა შენი საგზალი!

ხან დაიჩიქებ – მცხეთას გულს სწვავს
მოჭრილი მკლავი,
დარდად იღვრება მომჩივარის – ილიას „მგზავრი“,
ხან გაიელვებს გონებათა უსიტყვო ზავი
და უბრუნდება შენს მიწა-წყალს მზიანი დარიც!

ცოტნე დადიანს გულს უმთელებს
მზის მწველი სხივი,
რადგან დაიცვა მისი მოძმე, ერთგული გმირი,
ვაუა გულს იკრავს უდედობით დაჩაგრულ
შვლის ნუკრს
და უხარია ხმელი წიფლის ამონაყარი!

შავლეგომ ჩოხა გადაიფარა, როგორც სუდარა,
არად ჩააგდო გავეშებული ძალის მუქარა,
ნაღვერდლად ენთო გულისსწორის მწარე მუდარა
და დედის ლოცვა ცხარე ცრემლის
ქსოვდა მუზარადს!

ნუ ხარ, სამშობლოვ, გულნაკლული,
დაღლილი ჯავრით,
შენ წელს გარტყიდ გორგასალის ქამარ-ხანჯალი,
თვით დავით მეფეც გალობს თავის სინანულისას
და რა ხანია, შენ იცანი გზაგასაყარი!

30.04.2020 წელი

04ბა აპრილი

ძალმომრეობის ველური ცელით
კვლავ იჩეხება გულები წრფელი,
საქართველოში კვლავ ისადგურებს
უკუნი, ბნელი,
დედაშვილობა ყოფილა ძნელი!
ტანკით გათელილ, ბარით დაფლეთილ
დროშების ქნევით,
ისევ იმარჯვებს სიღიადე – მართალი, წრფელი,
დედაშვილობა, თურმე, გამხდარა
როგორი ძნელი!
ძალმომრეობის ველური ცელით,
კვლავ სამსხვერპლოზე დევს
ნორჩი ტოტის უსულო ყლორტი!
ცრემლად იღვრება საქართველო,
მაგრამ გონს მოდის...
წუხილი ფარავს, ეს ყოფა ზარავს,
მაგრამ რაღაცა კვლავ გადასძალავს
და დაფლეთილი დროშების ქნევით
საქართველოში კვლავ იმარჯვებს
ბუნება წრფელი!
თავს შეახსენებს, შეუძახებს – შენი ჯერია
და მოითმინე, დასაბამიდან რაც გითმენია,
რათა გადარჩეს, ისევ გადარჩეს შენი გენია!
იდგა აპრილი...
დედაშვილობა მაინც ძნელია...

09.04.2020 წელი

მახე

ლავად მოედო ცნობიერებას
არარაობის განცდა ძლიერი,
გონებას შანთავს, ულმობელი ცეცხლის საცეცით –
სევდა ხნიერი,
მოდის და ადნობს სულის სიმტკიცის
საყრდენ სვეტებს მტერი ცბიერი,
რა საზრდომ იხსნას, რამ დააპუროს სული მშიერი,
თუ მიწის დაბლა იმყოფება დღეს მიწიერი?!
მოიგრაგნება ტლანქი მასა ცეცხლისმიერი,
შფოთვას არ უჩანს ნუგეში და დასალიერი,
დღეს ლაბირინთის ჩაკეტილ გზებს ჰეგავს
სვე ამიერის,
აქ მყოფთა მართვას მუდამ ცდილობდა
ზნე კადნიერი,
ძალმომრეობის თვალსაწიერით ნასაზრდოები
წრე მანკიერი.
თუმცა, გვახსოვდეს! ყველას ახსოვდეს!
განცდა ძლიერი,
თურმე ქართველთა, „ვინმე“ ქართველთა!
– სულების ჰიმნად
შექმნეს, დასჭექეს ბედისგან თამაშს,
ოდითგან თამაშს –
გენის სიმრთელის და სიმტკიცის – მრავალუამიერი!

05.04.2022

დილა სპანეთში

ეზოს ბოლოში ტყემლის ტოტად აყვავდა დილა
და ჩაეწინდა ლურჯ კამარას, როგორც ქარგული,
ფიანდაზებად ეფინება ახლად აშლილი,
აჭრელებული მდელო, როგორც ხელით დართული
და ათასფერად აწყობილი ქსოვა ქართული!
გამოიფხიზლა ნაზამთრალმა, მძინარე მიწამ
და მის ოხშივარს ექოდ ერწყმის
„მშვიდობის დილა!“

მიწათმოქმედი, შემოქმედი ბრძენი ქართველის,
რომ აღაშენა უთვალავი ბჭენი ტაძრების.
ჰორიზონტების დაკლაკნილი სივრცის ხაზები,
მთები ყოფილან უთვალავი, ქვეყნის მცველები,
მალე მზის დაპკრავთ ოქროსფერი ათინათები,
ჩაერთვებიან გაზაფხულის დილის ფერხულში.
მერე სამყარო კოშკის ქონგურს გამოიცეკვებს,
ააფერადებს მზის სხივებით მდუმარეს, დიადს,
ასე დაჯაბნის დღის სინათლე სამყაროს წყვდიადს!
„გო ლილეოლ!“ დაიჭექებს ძარღვების დრტვინვად
და გულს შეუკრთობს,
შეუშფოთებს უკვალავ მყინვარს,
ასე ლამაზად გვითენდება „ლილეოს“ დილა!
მთის ფუძეები ემსგავსება ხელთუქმნელ ტაძრებს
და გული ისმენს უსასრულო სამყაროს ამბებს,
ხევისპირები იხატება საკმევლის კვამლად
და ინავლება, იფანტება ლოდინის წამად.
არ დააყოვნებს, ჩაანათებს დილის მნათობიც
და იბადება ისევ ახლად სიცოცხლის დილა!

შერეული ტყის წიაღებში, მდინარის გაღმა
პანტა მსხლის ძირი იმოსება, პატარძლის დარად
ჩაეკონება ლურჯ კამარას ჩუქურთმის მსგავსად,
სილამაზეს და სურნელებას ჰაერში ფანტავს!
მიმოიბნევა გორაკებზე მარგალიტები
მსხლისა და ვაშლის ყვავილების
ნაზი ფურცლების –
სამკაულები ხელთუქმნელი, ლალი ბუნების!
ეზოს ბოლოში, ტყემლის ტოტად აყვავდა დილა
ბუნება ხარობს უსასრულო სიცოცხლის ნიშნად,
ასე საოცრად გვითენდება „ლილეოს“ დილა!

15.04.2020 ნელი

სამშობლოში დაბრუნებულ გენერალს

ეძღვნება გენერალ გიორგი კვინიტაძის
საქართველოში გადმოსვენებას

ძარღვში ადულდა წინაპართა ყველა ტკივილი,
რამდენი გმირის ხვედრად იქცა უღვთო სიკვდილი?!
გადახვენილის სამშობლოდან – სიმწრის ღიმილი,
როს ეზმანება მშობლიური ზეცის ლივლივი!

რას დააკლებდა დიდ ექვთიმეს ხორცის ტკივილი?
სამშობლო იყო ერთადერთი მისი ჩივილი
და მონატრება, უსასრულო სულის შიმშილი,
ასწლეულებთან ნაომარის ხილვა – ქვითკირის!

სულში აზვირთდა წინაპართა ყველა ჩივილი,
ნაბორგალი და ნათარებები მართალთა სულში,
თქვენ არ დასრულდით!
არც დასრულდა თქვენი მიზნები,
თქვენით დაიწყო და სულდგმულობს ყველა იმედი!

უბრუნდებიან დედასამშობლოს ღირსი შვილები,
ო, გენერალ! გამოგიგლოვებს ზეცა წვიმებით,
თუმცა, რამხელა შენ ჩამოგყვა რწმენა, იმედი,
რომ შვილები ვართ დიდი ქვეყნის, ქვეყნის გმირების!

გულში ადულდა წინაპართა ყველა იმედი,
რომ ვინც ვიყავით, სამარადისოდ კვლავაც ვიქნებით,
უფალი იყოს ცოდვა-მადლის მარად განმსჯელი,
სიმამაცე და გულმოწყალება — ჩვენი „სასჯელი“!

26.05.2021 ნელი

ოკუპაცი

რა საშინელი სიჩუმეა დედამიწაზე,
მართალი საქმის და ნააზრევის, არნათქვამების...
ქაოსი შთანთქავს, ღრიანცელი, ალმანახები
გონებას იპყრობს, ადამიანთა, რა სანახავით?!
რა დამთრგუნველი სიჩუმეა დედამიწაზე,
გადაუფარავთ, ვით დიუნებს, ძველი სამარხი,
კეთილშობილი, კაცომოყვარე სიბრძნის სანახი –
ორთოდოქსულ თუ პარადოქსულ
სულთა დინების –
ქრის მუსონები...
როგორც უდაბნოს ჯოშუას ხე
ჰეთატრავს ეკლებით,
ისე იჭრება სამშობლოში ნაავკაცარი,
ვით კოიოტი, რომ გაუსხლტა ხელად ნადავლი,
ისე გაჰკივის მოთარეშე ხმა ოკუპანტის!
და... საშინელი სიჩუმეა დედამიწაზე,
მართალი საქმის და ნააზრევის, არნათქვამების...
კაცობრიობა, ვით უდაბნოს თაკარა მზის ქვეშ,
სულს ღაფავს სიცხით არეული ბედუინივით,
მშვიდობისმყოფელს კვლავ თავს ესხმის
ხარბის ოინი!

28.05.2020 წელი

კახეთი

ეძღვნება ჩემი საყვარელი ბებიის –
მავრიკო ნანობაშვილის ხსოვნას

უხდება ალაზნის ნაპირებს
ლურჯ-მწვანე ნისლის ლანდი,
როდესაც ვაზებს შორის
გლეხი ლილინით დადის,
ვაზს – თითქოს ციდან ნაშვილებს,
ლოცავს და უშლის ყვავილს
და ავიწყდება დაღლილს
გარდასულ დღეთა დარდი!
შეშვენის ალაზნის ნაპირებს
ფერებად დაღვრილი რთველი,
სიღნაღის გალავნის ფერხთით,
ვენახის ბოლოში ცეცხლი,
გლეხის გულს რომ ინადირებს,
საქმეს როს გაინაპირებს.
და მოლალადე ვაზი,
მიწაში გადგმულ ფესვით,
ნინაპართ ამბის მოყოლას,
დიდი კრძალვით რომ გეტყვის.
შეშვენის ტაძრის გალავნებს
მტკიცე და შემძლე მრევლი,
ბუკის და ნაღარის ხმაზე
ანთებულ გულის ცეცხლით,
მისი ვენახის ლობეს,
ლამაზ ტაიჭს რომ შეხსნის

და მიეჭრება მომხდურს,
ქარში ნაბადის ღელვით!
უხდება ალაზნის ველებს
გიშერთვალება დედის
„იავნანა“ და კვლავაც –
„შენ გენაცვალოს დედი!“
ომში წასული მხედრის
კვლავ შევედრება ღმერთის,
წინაპართ გზათა ნაკვალევს
კიდევ ერთხელ რომ ერწყმის!
ასდის ალაზნის ველებს
ლურჯ-მწვანე ნისლის ლანდი
და ვაზებს შორის, ვხედავ –
გლეხი ღიღინით დადის,
ვაზს, თითქოს ციდან ნაშვილებს,
ლოცავს და უშლის ყვავილს,
არ ავიწყდება მაინც
გარდასულ დღეთა დარდი!

07.04.2020 წელი (ხარება დღე)

რა მოგვივიდა?
რა ბეჭმართება?

ცა მშვენიერი, ცა შენმიერი,
მე მებრალება, ჩემო ქვეყანავ,
როცა დაგვყურებს და გვაკვირდება,
ცრემლმორეული დიდი ზეყანა!
რა მოგვივიდა? რა გვემართება?
სხვა „ჩვენი ერი“ სადმე გვყავს განა?
გადაქცეულა ჩვენს თავშესაფრად,
უცხო ტომთა და ჯიშთა ქვეყანა!
განა, რას ვერჩი? – მხოლოდ მადლობას
ვუძღვნი, – ჰპატრონობს ჩვენს და-ძმას მრავალს,
სხვა ტომიცა და უცხო ქვეყანაც,
მხოლოდ თავს ვერჩი, კითხვაც ჩვენ გვესმის:
– გარჯისთვის, განა არ გვაქვს ქვეყანა?!
ცა მშვენიერი, ცა შენმიერი
არ ენატრება ნუთუ ბევრს განა?
და, ძმა, დედა და მამა, შვილები...
არ ენატრება ნეტა ბევრს განა?!
ვაი, რომ ალბათ და თანაც, როგორ...
და ვებრალებით მხოლოდ ზეყანას!
და გვესმის კითხვა ყველა ჩვენთაგანს,
იქ მყოფებსაც და აქ დამრჩენთაგანს:
– ზრუნვისთვის, ნუთუ, არ გვაქვს ქვეყანა?!

30.09.2020 ნელი

პოლემის

გამლოვალ ბაჯაღლოს მიმსგავსებია
ახლა დაისი,
ლურჯი საფირის სადარია თურმე აისიც,
აქ ოცნებები საუკუნოდ ისე დაიცდის,
აღტაცებისგან დროთა სრბოლას
არც კი დაითვლის!
უსაზღვრო სივრცე კარიბჭეა,
თითქოს, აზრთა ხსნის,
დღეს, ბეწვის ხიდის, ჩემი გონება,
გზას ვერ გაივლის,
ათასწლეულთა საფიქრალი
თვალწინ ჩამივლის,
მომეძალება ქართველ ტყვეთა
ზღვაში გასვლის დღის
ტკივილიანი განშორება –
მსგავსი ქარიშხლის!
აქ აიეტიც გამოიგლოვებს
თავის ქალიშვილს
და მშობლის გრგვინვა მსგავსი არის
მღვრიე ტალღის ხმის.
აქ კონსტანტინეს ძარღვიანი ენამჭევრულის
ზღვისფერი მეფობს,
ვით ტაოში გენი ლაზური!
და მე თუ ვერა, ზღვა მპირდება,
რომ აქ დაიცდის,
სანამ ჩაივლის დიდებული ისევ დავითი
და დააბრუნებს

მამულიდან დევნილ თავის შვილთ,
რომ შეყრა იყოს სამშობლოსთან
მსგავსი აისის!
და მე თუ ვერა, ზღვა მპირდება,
რომ კვლავ აითვლის
ათასწლეულთა მიმოქცევას,
სადარს მაისის,
თუმცა, ზვირთები ხომალდებთან
ბრძოლებს არ იშლის,
როგორც ეს გული ღელვისაგან
მაჯას არ ითვლის,
როცა ნაპირზე წყლის სტიქიას
ტალღად ქარი შლის,
მოეძალება ჩემს გონებას ლურჯი აისი
და ოცნებები საუკუნოდ ისე დაიცდის,
რომ იმედებით დროთა სრბოლას
არც კი დაითვლის!

06.12.2020 ნელი

ცხრა ძმა ხერხეულიძის დედას

ცხრა ძმის დედაა, ხერხეულიძეთა,
ო, ეს „საბრალო“!

ცხრა ძმა ბნედაა, გაქვავებული დღეს დედისათვის,
მიწის ღელვაა და ბორგვაა ფერხთა მისთათვის,
ნუთუ შვებაა?! იმეორებს – „სამშობლოსათვის!“
გული ფერხთაა მირთმეული გონებისათვის
და მას არ აცლის, რომ იფეთქოს,
სათქმელს არ აცდის,
ერთი მეორეს დროშის ზიდვას სიმწრით არ აცდის,
ძმა ძმის ნაქცევის ხილვას
თავის თვალებს არ აცდის
და იფლითება დედის გული მძიმედ ნაძარცვი,
ძის სიცოცხლეზე უფრო ძვირფასს
ვინ რას ააცლის?!

ისრისპირების შხამიანი კოცნა რკალად ხრის,
დედის ნაფერებ, ნაამაგარ ვაჟებს მხარგაშლილთ,
მამაც გულთა და თავგანწირულ ძმათა თმააშლილ
დედას – გარდაქმნილს ამორძალად
სამშობლოსათვის!

სადმე შვებაა?!

წვეთი სისხლი ძარღვში არ დასდის,
ერთი ჩასუნთქვაც, მთელს სამყაროზე,
მისთვის არ არის

პეშვი ჰაერის, შვილთა კვნესა მიწად გადასდის,
მაგრამ არ ახრჩობს და შესჩივის უფალს ამისთვის.
სულის სიმტკიცე, დღევანდლამდე,
მისი, რკალად ხრის –

ადამიანთა აზროვნებას ფიქრსაც არ აცდის,
დაუჯერებელ ლეგენდას ჰგავს მათი ამბავი!
ცხრა ძმის დედაა, მარტო შობა იყო არაკი
და მერე გაზრდა, უდრტვინველთა,
ცხრავე მათგანის,
მიწის ღელვაა? დედამიწა ფეხქვეშ დგამს აცლის?
მას კი არ აცლის,
ვერ უქნია ცხრა ძმის საფლავი –
მემძიმებაო, სურს შთაბეროს სული ახალი
და დაუბრუნოს დედას ცხრავე შვილი არაკი!
ცხრა ძმის დედაა, ხერხეულიძეთა, სული ამაყი,
„სამშობლოსათვის!“ –
იმეორებს და გულს არ აცდის
ფეთქვას, გათელილს და გონების
ფერხთით დავარდნილს,
თვალებს უბრმავებს და აძრნუნებს
მტერს პირნავარდნილს!

04.06.2020 ნელი

სცადე, ნუ დავშრ!

სცადე,
ნუ დაწერ იმ შეუვალ სილამაზეზე,
გაზაფხულზე რომ შეჰყენია
სვანეთს ფერდებზე,
თითქოს, დაირთო ოქრომკერდად
მზემ დიდ ნადიმზე
და გულსაბნევად,
სიდიადის ტახტის მემკვიდრემ!

სცადე, არ შედრკე მოწინებით,
როცა სალი კლდე
გულს გადახსნის და ზედ დაისხამს
ფერად ყვავილებს,
თითქოს ბუნება, თავის პირმშოთ,
თბილად გვარიგებს,
რომ გაზაფხული
განახლების ისევ პატივს გვდებს!

ადამიანთა გონებაა აქაც სამიზნე,
ქედს მოუხრიან გორაკები
უფრო მაღლივ მთებს
და მწვერვალებიც შეიფარებენ
პირმშოთ კალთის ქვეშ,
მშვენიერება მიეჭრება
გულთა სამიზნეს!

ცივი ზამთრისგან ღონემიხდილთ,
წვიმა გვაფხნილებს,
დილის მზის სხივი,
როგორც დედა, თბილად გვაღვიძებს,
კვირტებში ვხედავ თვით ხორცშესხმულ
„მქემ თარინგზელს”,
მადლად რომ ერთვის
შეფეხქებულ ხეთა ყვავილებს!

სცადე, ნუ დაწერ
ამ ხელთუქმნელ სილამაზეზე,
გაზაფხულზე რომ შეჰვენია
სვანეთს ფერდებზე,
თითქოს, დაირთო ოქრომკერდად
მზემ დიდ ნადიმზე
და გულსაბნევად,
სიდიადის ტახტის მემკვიდრემ!

16.05.2021 ნელი

ქვაწყობილები

სიძველისაგან შეხავსებულის ქვაწყობილები –
კოშკები შვენის მთის ფერდობებს,
ვით ძმობილები...

ღმერთი მამზადებს შესაცნობად ჭეშმარიტების,
ვგონებ, სული ვარ ამ სამყაროს შენათვისები.
სიბრძნის შეცნობის და დატევის, მე თუ ვიქწები
ძალზე პატარა, უმნიშვნელო ნაწილაკების
გროვად შერწყმული მოლეკულა ქვეცნობიერის,
გავაფერადებ დღეებს ყოფის, მე ამიერის.
ხან გონებაში სიკეთის ჟღერს საგალობლები,
ხან უგნურება იბობოქრებს, ვით რეკვიემი
ანგრევს სიცოცხლის ოაზისთა ლამაზ ზმანებას
და სითბოსა და სიყვარულის გულმოწყალებას!
დრო კი იქცევა მოპაექრე ფიქრთა ცვალებად.
ღმერთო, მაღირსე მე იმგვარი გარდაცვალება,
რომ გარდავიქმნა ადამიანთა ფიქრთა ნაპერწკლად,
ისეთი ცეცხლის, გადასწვავდეს ყველა ზმანებას,
რომელიც იპყრობს და ატყვევებს ხალას გონებას
და გადაგვაქცევს უსაგნობის ჩვენ რობოტებად!

12.07.2020 წელი

ღმერთო, შეეჭიე საქართველოს!

საწუთრო ებრძვის ჩემს გონებას,
არ ემონება ყოფას განფენილს,
ცენტრისკენული აჩქარების
მელტვის ძალები – ერო, აღსდექი!
სცემს გამალებით გული ძლიერ და
გაშმაგებით – გრძნობის დამცველი,
მასში ვიფესვავ მძლავრად მიზნებს
მზისგან დაფერილს – გულო, აღსდექი!
საწუთრო ერჩის ჩემს გონებას, არ ელოდება
ხოტბას დათმენის – სასონარკვეთის,
მინდა ვიხილო, მხოლოდ ვიხილო გზა
აღმავლობის მე ჩემი ერის, გზა აღმაფრენის,
ბალის ჩეროში მიჩრდილებული ნაამაგარი,
ჯანსაღი სულის – ნატვრის ახდენის,
ჩვენი გულიდან, მკლავებიდან, ნაბიჯებიდან
ქვეყნის აღდგენის – სულო, აღსდექი!
კიდით კიდემდე, გულში ვიფესვავ მე ყაყაჩოებს
ჭირთა დათმენის – კრწანისის ველის,
დღეს წინაპართა წინაშე ჩვენთა მე მოწინებას
არეულ გონთა სულმოთქმით ველი,
სულმოთქმით ველი მე მოწინებას
მომავლის მიმართ – აღსავსეს რწმენით,
საწუთრო იბრძვის, მაგრამ ვიფესვავ გულში
მიზნებს მზისგან დაფერილს – გულო, გაძელი!

18.02.2021 წელი

ძველი სპანური ღამე

ანარეკლები მთვარის გადამალულან ცაში,
ო, როგორ ძლიერ ბარდნის – საუკუნეა წამი...
ხევის გამოლმა ისმის მგლის შემზარავი ბანი,
ამ სამყაროში ექებს ისიც მიჩენილ ადგილს!

წარბს არ შეიხრის მახვში,
დედას ეკვრება ბავშვი,
„ნეტა, დაბრუნდეს სახლში“! –
ნანა¹ ლოცულობს თავშლით,
მგლების ყმუილი ზარავს,
ბზარი უჩნდება ხმაში
და შეაფარებს ლოცვას
ფიქრებს შიშებად აშლილს!

წარბს არ შეიხრის მახვში,
მხოლოდღა უთრთის ძარღვი,
საუკუნეთა სიბრძნე
და ალღო უდის მათში:
„ვაჟკაცია და მოვა!
რისთვის მოუვა მარცხი?!“
წამოიძახებს მედგრად,
იმედი ჩნდება სახლში.

ანარეკლები მთვარის გადაკარგულან ცაში,
ო, როგორ ძლიერ ბარდნის,
ძლივსლა დალანდავ მაჩვიბს²,
აქ, დედას ეტიტინება ლოყანითელა ბავშვი,

ჯიუტად ცდილობს ნათებას
ძლივსლა მხრჩოლავი კვარი...

„მონადირეა, მოვა, არც შეხვდებოდა ზვავი,
ან რას დააკლებს მხეცი, საით წაუვა მკლავი?!
მუხლი უჭრის და თვალი? –
თვალი ქარზე აქვს სწრაფი!“
არ იკარებდა დარდებს, თითქოს, იმედად მახვში.

და ნანას წრფელი ლოცვა
საავდრო ღრუბლებს გაჰყურის,
გამოანათებს მთვარე, მჭახე ყინულებს გასცრის,
და მისი თეთრი სხივი, ფიქრებს იმედად აშლის,
ეზო-კარს უახლოვდება ნაგვიანები მგზავრიც...

ძალლის წყავწყავის ხმაზე, მიეგებება კარში
მთრთოლარე დედა პირმშოს,
ჩირალდნითა და თავშლით,
წარბს არ შეიხრის მახეში,
მხოლოდ ხშირდება თმაში,
მთვარის სხივების მსგავსი, ათი ათასი ხაზი
და იღვენთება მადლად
მშობელთა გული კრძალვით,
ანარეკლები მთვარის გადაბადრულან ცაში!

01.08.2020 წელი

-
1. ნანა – ასე ეძახიან ბალსზემოთა სვანეთის რიგ სოფლებში დედას.
 2. მაჩვიბი – ძველი სვანური საცხოვრისი.

ბენიოსს უშგულიდან

დიდი პატივისცემით ეძღვნება ბატონ
ფრიდონ ნიუარაძის ხსოვნას

დასასრულია?! როგორ იქნება ეს დასასრული,
როცა სიცოცხლე და ცხოვრება ამქვეყნიური,
ისე სავსეა, ისე დიდია, ვით ზეციური
არსება, ქვეყნად მოვლენილი – ასე ღვთიური!
ალბათ, ეს უფრო დასაწყისია მარადიულის,
დასაწყისია არა მხატვრის – კაცის ღვთიურის,
არამედ ფიქრთა ასპარეზის ამქვეყნიურის,
რაც დაგვიტოვა, გვისახსოვრა, ვით ზეციური
განგების მადლმა ინება და მოგვცა ნიშნული,
ჩვენი აზრების გარდასახვის, ან გამიზნულის!
დასასრულია?! როგორ ერქმევა მას დასასრული?
– თავმოყრილია ერთ ტილოზე სამყარო სრული
და შემოგვყურებს მისი სახით
თვით სარკე სულის,
ასეთი ახსნა, გასხივოსნება, განჭერეტა ბრძნული,
როგორ იქნება, ბრძენო კაცო, ეს დასასრული?
როცა გულია უბრალოთა, სამყაროს გულიც!

14.11.2020 წელი

01სეპ ბორილები – ბადარჩენისთვის

ისტორიული გამარჯვების ეპიზოდების
თქარათქურია ატეხილი ცხენთა ფლოქვების,
გულჯავრიანი სიხარულის ხევში ქროლების,
მამაცებს მოაქვთ მტერზე ძლევის დიდი დროშები!
უკუიყრება, მობრჭყვიალე მტერთა ქოშები,
თავზარდამცემი ზმანებაა ბარბაროსთათვის
გულგანგმირულთა გამარჯვების ველზე ქროლების
და თქარათქური გალალებულ ცხენთა ფლოქვების!
ქართველთა სიღრმეს ვერ ამოძირკვავს ხინჯი ომების,
თუმცა სიცოცხლე ჩვენი არის, ჯერი ომების,
აროდეს იყო ჩვენში გენი გულლრძო სწორების,
თუნდ, უსამართლოდ გაეთელათ გული ტორებით!
ხმალი ქარქაშში იგებოდა მტერთან სწორებით,
არ გასცდენია მის მიწა-წყალს, თუნდაც გონებით,
არ განუსჯია სხვა სიცოცხლე დუნე ზმორებით,
ყველა მათგანი ძმად მიიღო – თანასწორები!
ვერ მოერია სისასტიკე ხარბი მონების,
დინჯი ფიქრებით დაუწმენდია გულის მორევი
და განუსჯია სამართალი ცივი გონებით,
რადგან სამშობლო
ხელისგულია თვით ღვთისმშობელის!
ისტორიული დამარცხების ეპიზოდების
თქარათქურია ატეხილი ცხენთა ფლოქვების,
გულდარდიანი სინანულის ხევში ქროლების
შეწევნას ვეძებთ გულმართალი, დინჯი გონებით!

15.06.2020 ნელი

ხალდეს ბმირებს

„ღმერთო, გვიშველე!“ –
ცას შეჰყურებს უხმო ღალადით
ხალდეს გოლიათ და უშიშარ გმირთა ალაგი,
როგორც ღმერთკაცებს,
მათ შესწევდათ მტერთა ალაგმვის
ძალი და ღონე და მოსდგამდათ გული მამაცი!
ისტორიული ქარიშხალით ვერ გატეხილის,
მწარედ იჭრება გონებაში ქვათა ნაშალის –
„ღმერთო, გვიშველე!
ჩვენ ხომ მაშინ, მაინც გადავრჩით,
ხავსი მოგვედო, დამტვრეულა ეზოს ალაგი,
ნასახლარებზე ამოსული ხეთა ღალადით,
კაში აწვდილი, მოშრიალე კვნესა ქარად ქრის!
ღმერთო, გვიშველე!
ჩვენ ვიყავით ქვეყნის დარაჯნი,
ვიდრემდე პირში სული გვედგა,
მტრისთვის „არას“ თქმის!“
ახლა შეგურებთ და ჩაგვესმის ხმა ნასახლარის:
„მავანს ეგონა,
რომ ზნეობა მასპინძელთ გასცემთ,
როგორც უსულო კოშკებს,
ნაღმით მინაზე დასცემთ,
რომ შეფიცული მოძმე
თავის ძმას მხდალად გასცემს
და ხარხარებდა ზარბაზანი სატანის ხმაზე!
უსულო გვამი ეცემოდა მშობელის მკლავზე
და იმოსავდნენ გულსაკლავად შემზარავ ძაძებს,

თავის პირმშოთა ავედრებდნენ სულს
დიად გამჩენს,
იესოს გვირგვინს საქართველო იდგამდა თავზე!
და მე ულმობლად მიმაქანებს ფიქრის სადავე –
ნუთუ, იმისთვის
დიად გმირთა არწევდნენ აკვნებს,
რომ საჯიხვეთა და არწივთა წმინდა ალაგის
სიმაღლებზე შემართული მწარე ჩახმახით
შეჰვებებოდა სამტროდ მოსულს, როგორც ამაყი,
წარბმეუხრელი და უდრეკი ქვეყნის დარაჯი
ხალდეს გოლიათ და უშიშარ გმირთა ალაგი!
და კვლავ ულმობლად მიმაქანებს
ფიქრის სადავე –
ნუთუ იმისთვის ინგრეოდა კოშკის სათავე,
რომ დაცლილიყო
ლომგულთა და გმირთა სავანე?!
ღმერთო, ისმინე, შეიწყნარე ხმა მოღალადე,
თვითდამკვიდრება გაგრძელდება,
ნეტა, სადამდე?!

01.06.2020 ნელი

გერიკაცი ჯოხილ

(სვანის სამართალი)

შემოსილია მთა თეთნულდი რუხი ნისლებით
და ბერიკაცი მიაბიჯებს ჯოხის იმედით,
წვიმისგან დამლბარ და გაუღენთილ
მთის ბილიკებით,
კიდევ ერთხელაც, იქნებ, წვლილი შემორიგების
მან შეიტანოს გაგულისებულ მოძმეთა შორის.
გზას იკვალავენ, უფლის მადლით,
თვითონ და ჯოხიც,
მედგრად უძლებენ უამრავ ნაჭდევს,
ძლივსლა რომ მოთვლის –
მოძმეთა შორის მიტევების, სამართლის პოვნის,
წვიმა კი არა, ვერ აშინებს ზვავებიც თოვლის!
გულმართალ აზრებს თავს უყრის დინჯად,
საშველის პოვნის,
დაგრაგნილ ღრუბლებს მიღმა ეძებს
ღვთისგან გამოწვდილს –
გონის სიცხადეს,
შველის ლოცვა ბრძენებაცს გამოცდილს.
თან არ იახლებს ის სულიერს,
მხოლოდღა მოთვლის
თითოეულ ნაჭდევს,
რაც ისწავლა სასწორზე წონის.
საპირწონედ ჰყავს საკუთარი შვილი და ცოლი
და სხვის საწუხარს თავისი
გულის თარგს არგებს გრძნობის.

სხივი სიმართლის
გზას უკვალავს სამყაროს ზომის
და თორმეტი გზით,
უფალს მიჰყავს შეწევნად მოძმის,
ბერიკაცები –
ხორცშესხმული მაშველნი ლოცვის,
რომ არ დაღვაროს
მოძმემ სისხლი თავისი მოძმის!
შემოსილია მთა თეთნულდი რუხი ნისლებით,
წვიმა კი არა, არ მაშინებს ზვავებიც თოვლის,
გმადლობ, უფალო,
რომ მომავლინე ასეთი მოდგმის
და სამართალის შემოქმედთა გენიათ შორის!

12.06.2020 წელი

გმადლობა, ღმერთო!

დიდება შენ, რომ მწყალობ, უფალო,
ღმერთო – გმადლობ!

რომ მომიჩინე საზრდოდ აზრი,
მოსული საძმოდ.

შესადარებლად მივლენ
კეთილგონიერთ ნაშრომთ,
უხვად მოფენილს ქვეყნად,
ყველა მსურველის სარჩოდ.

ღმერთო, მიმრავლე ალლო,
რომ ჩემს ქვეყანას ვარგო,
თუნდაც, მცირედი საზრდო –
უქმად არ გავისარჯო.

მე მომავალზე ვდარდობ
ან როგორ არ ვინალვლო?

როცა ქვეყანა ჩემი
გულმოწყალებით კარგობს,
დასაბამიდან დღემდე
სათქმელს სიკეთით ამბობს,
საუკუნეთა ზიდვით,

როგორც დევგმირი, ვარგობს
და ჩემი არსებობის
თანამგზავრია აწმყო?!

ნუთუ შევმატებთ ვერას? –
ნასახლართ სურო ახშობს...
ხმა ამოიდგი, ენავ!
სისხლი ატარე, ძარღვო!

ისეთი დიდი ძალით,
რომ ყინულეთი ალღოს,
როცა კოდორის ქედზე
სული დევნილი მგზავრობს
და წინაპართა საფლავთ
მავთულხლართები ახრჩობს!
დიდება შენდა, ღმერთო,
რომ ერი ჩემი კარგობს
და უწყალობე სული,
უკუნისამდე, სარჩოდ!

14.07.2020 ნელი

მაპანი

როგორ აფერადებს ხეებს
ყოველი მომდევნო – მერე...
და ყოველ ცისმარე დღეზე
ჭრელი ზვირთებია ტყეზე.
ახლად გაღვიძებულ ხეზე
ბუდე უპოვით მერცხლებს,
მელა ისევ გარბის მწყერზე,
ჯიხვი გადმომდგარა კლდეზე.
ქურციკს დასტკბობია მზეზე,
ორბის დასთამაშებს კლდეებს,
ჩრდილი ჩაუქროლებს ფერდებს,
როგორ მოჩახჩახებს ღელე,
გული დაგადგება ყელზე!
რა ლამაზიაო: „დღესვე,
აღარ გავიხედავ გვერდზე,
ისე ვიძიებ შურს მტერზე,
ვისაც ურბენია ფერდზე,
ავი განზრახვების მთესველს,
ჩვენი საგანძურის ველზე!
ვხვდები, იონი ვარ წრედზე,
რაღაცას რომ მეც ვწერ ბედზე
და მინდობილი ვარ ღმერთზე,
დიდი მაგნეტიზმის ველზე
ავი არ დავუშვა წრედზე!
ხევის მთა-გორიან წვერზე
მე ხმა მეუბნება: „მდევრებს,
გნოლი მოუხვეჭავთ მწევრებს

და თავს ადარებენ ღმერთებს...
დიდი მაგნეტიზმის ველზე
და თავს კვლავ აკრავენ ძელზე
ავად მოთარეშეს ველზე!
მერე, იხსენებენ ღმერთზე...
ყველა ამ სიკეთის მქმნელზე,
მწვანედ სივრცეს შეჭრილ ტყეზე,
არწივს მონავარდეს კლდეზე
და კავკასიონი გვაწევს,
როგორც „ატლასს“ – მიწა მხრებზე!
სიმძიმე გვწყვეტს დროის წელზე,
ვერვინ „იდავითა“ მტერზე,
დიდი მაგნეტიზმის ველზე
თავშესაფარს ვეძებთ წრეზე!“

12.05.2020 ნელი

თავისუფლება, უსაზღვრობა, მარადისობა

ხვედრო, ძვირფასო,
გთხოვ, გადამკარგო სვანეთის მთებში,
რომ შემენივთოს მშვიდი ბუნების
ლურჯ-მწვანე ეშნი,
ზეცის საზღვართან, თავისუფლების შეგრძნების
ფრთების
ძალამ მატაროს წუთისოფელში, ვიდრემდე ვივლი,
ადამიანად ყოფნის ტვირთებს მიბმული შლეგი!

ბედო, მისანო,
გთხოვ, გადამკარგო სვანეთის მთებში,
რომ შემეთვისოს ჭრელი მინდვრების ფერადი ეშნი,
ზეცის საზღვართან, მარადისობის შეგრძნების
ფრთებით,
ადამიანად ყოფნის ტვირთების
მოსწავლეს, შეგირდს.

ხვედრო, ძვირფასო,
გთხოვ, გადამკარგო სვანეთის მთებში,
რომ შემეთვისოს მკაცრი ბუნების,
მყინვართა ეშნი,
ზეცის კიდესთან, უსაზღვრობის შეგრძნების
ფრთების
ძალამ გამხადოს უძლეველი სიკეთის მცველი,
ადამიანად ყოფნის ტვირთიდან – გასხივოსნებით!

11.07.2022 წელი. თბილისი

AGRÁI

ნასოფლარი

(აგრაის)

უსასრულობის მოგონებები
კვლავაც მსტუმრობენ, როგორც სიზმრები,
ბუდობენ ჩემში, როგორც სახლობენ
ნასახლარებზე ურჩი ჩრდილები.
უსასრულობის მოგონებებით,
ამოუხსნელის მრჩება იმედი,
წვიმად ჩამესმის ჩუმი ფიქრები,
მიყრილ-მოყრილი ძველი ნივთების.
ხავსმოდებული დირე მიცქერის,
მიმსვლელს ელიან ძველი ჭიშკრები,
ბედნიერება, აქ რომ სახლობდა,
ახლა თავს ირთობს მუსაიფობით,
ოცნებას შერწყმულ მოგონებების,
ცად მოთამაშე მნათეს იმედით,
იქნებ გათენდეს და კვლავ გაცვალონ
ლამით მოსული რუხი ფიქრები.
აქაც ისმოდა ბავშვის პირველი შეხმიანება
– დედის იმედი,
აქაც სუფევდა ზღვა სიყვარული,
დღე თენდებოდა უფლის იმედით.
უსასრულობის მოგონებების,
კვლავაც მსტუმრობენ ურჩი სიზმრები,
ნუთუ, ჩვენც გვახლავს,
ნუთუ, ჩვენცა ვართ,
ერთი მარცვალი დროთა დინების?

რისთვის ვარსებობთ,
ან საით მივალთ,
განა არსებობს მოლოდინები,
რომ ისევ მოვალთ დროთა დინებით,
ნასახლარების შველად ვიქცევით,
კვლავ გავერთობით,
როგორც ოდესლაც,
ცაზე ვარსკვლავთან მუსაიფობით?!
უსასრულობის მოგონებებით,
ვგონებ, მსტუმრობენ ურჩად სიზმრები!

30.07.2020 ნელი

დიდი სიყვარულით ვუძღვნი
ნანა და თენგო ხარძიანების ხსოვნას

წამოიშალნენ სიცოცხლის წლები როს ზევით-ზევით
და გამოჭედეს მკვეთრი კონტური უწყალო გრდემლით,
ჩუმად, უსიტყვოდ, მე მტოვებენ რიგ-რიგად ფრთები,
ბავშვობის წლებში, ფრინველზე ლალად,
რომლითაც ვფრენდი!

წამოიშალნენ სიცოცხლის წლები როს ზევით-ზევით,
მოგონებები უფრო და უფრო შეშფოთდნენ ჩემში,
გულს მიეყუჯნენ, მიეკედლნენ, რომ დარჩნენ ჩემში,
მტევნებს მამტვრევენ, ისე ძლიერად ჩამჭიდეს ხელი!

სად მიიჩქარით? სად ვიპოვო მე ახლა გზები,
რომლითაც მოვალ და ვიქნებით ჩვენ ისევ ერთნი,
თქვენ, სიმართლისკენ მიმავალი ნათელი გზები,
და მე – ამ გზებზე მონავარდე, სილალის ეშნით!

თქვენ მიიჩქარით, მე კი ვემთხვევი
თქვენს სულებს ფერხთით,
რადგან ვიპოვე, რაც დამიტოვეთ, სიკეთედ ჩემში,
რადგან, იმდენი სიყვარულის მაჩუქეთ ძლვენი,
არ დამელევა, უსასრულოც რომ მქონდეს გზები!

13.03.2021 ნელი

სამი თვის წინ, ჩემი საყვარელი ნანა მამიდა... დღეს კი,
უკანასკნელ გზაზე ჩემი საყვარელი „თენგებრო“ უნდა გა-
ვაცილო...

თურიმი სარგ

ბბჟინ ლახაგვენ უშეგულს, იფერს,
წალდეს ი წვირმის,
“ხოჩა უიბავიშპრ, ანებდდ, აგრალპრ
ბაცხთე ჯანსიდ,
ღერთაშ ი ნიშგურე ნამშავ,
თურიმი სარგშალ ანლრი,
კალპშ ი მურგვალ შვანიშ,
ქად ლექტუად აშხურინ ლამზირ”
ლუყუბბბ ლი მურგუბლ სოფელ,
გუის უშხუარე ხოჩა ხორიხ,
მურყუმი კალუისგა უშხუარ
გვის ხაზმეს ღერთა მადილშუ,
კოსდანდილ, გურიმი მაფაშუშ,
ჩანგს, ჭუნირს ზენეს ხოსყი,
მამ ანსგვებ კალრე ხოლა,
ღეჩხუმ ლახლაკუნე ღელშევირს -
მიჩა მუმხუბი ვარგალს, შევირს ხამნა
ქუით ი ღელუშგი,
ესწეხნ მიჩა ხანჯარ, ჩუბდბურან
ლირდე დეცუი!
“ლეჭიშშ ლიმარს როქ ოხგად”,
აშარდე მიჩა მემხურიბ.
მურყუმი კალუისგა ჩუ სგურხ,
ჩის ხევუშმიელ ბესი,
კეთილ-ნამზადშუ ლი გუეში,
აშ თურე კარდალ გუეში,
ქუთიში ი კუბდი ლანყას,
ღეზურალ კერადს ეშ ხასიპხ,
უშხუარე გეზლირს მალატს ი ჯილი

ლიგჭეს ხათურიხ.

ჩუ სგურხ კალტისგა, იღრმლხ,
რანგს დესა ხონტა ლენკური,
ჩუ ლესაზრე ხარხ ხოჩამდ,
იშპშდ შომა ხარხ ლენვრი.

უი როქ ლალშვემიდ ლადი,
მახად ლიჭმილ როქ გვებნი,
ლელგურკდ ლალშასას ჩუალკდედ,
ლახუხბნჩუ ლერთშ ლემზირს.

უიბაურე სოფლი ცხეკპრს
ფუკუპრ ი დაწარ თვედიხ,
ჩუადშარდე ლული მაფაშ რანგდ -
კეთილ ზენად მესიპდ.

ვეშგიმპილს, ქორთე ლიზალდ,
ჩუპმზგრიხ ქორშ მერდეშს,
სპლხინუ როქ ჯარხ მეჰად,
ჩუუ აჯმაზრენახ მესიპ.

გვის მახიად მამ ხოსკდა, ბესის,
კეგლთხი ჰერშუ მემზირს,
ჩის შუკუს ხომზგრი მექედს,
“გარჯ ნოსავ ჯულტახ ნომჩიქ,
მანცინი ბარჯ ი ფარშლ,
ქათბპრიედ როქ ჰასურიშს”!
ჰე, ხოჩა კალპრ, უახვევნდ,
აგრალპრ ბპცხს როქ ჰსყიხ,
სოფელისგა შგურის ი უახეს
სგალიგნე ხაწეს გპნფი,
ლერთშ ი მინე ნამშავ -
“თურმი სარპგდ” როქ ანლრი,
უშგულს იფპრს ი წვირმის, ი წალდეს პრი ბაჟინ.

03.05.2020 ნელი

ბეჭიაჩემის (ციცინე მარბველანის)
ნააშპობი

“ნანშ ლადპლ სი, ჩუესგუ, გუეშ მუღუა
საკურელ ლემბუ: აშხუ ძინპრს შომუშა უოხგი ი კუმში
ლაშველდ ესლური —
დიდპბუ ათქრდა ლაგურკას! ეჩხანქა ჰამშ დეცუი,
ნტუარშნ სემი ანტყუასგ ი უი
პნკელთხშნ დეცუი!
ედპინებ ათხა ლიქედ, ი სემი მუტუპრ დეცუი,
გუმეგუედ ლაზგათე ანჟდდ,
ჩვპდტუარშნ მურყუმი ლესგუი,
მიშგუ ლირდეუი ეჩითან მი
მამგვეშ მიწუა ლესგდი . . .
ეჯ ლადპლუნლო მეჰად,
თუეთნე ლაჩპქუშუ ი ლემზირშუ,
დიდპბუ ათქედა ლერპათ,
ლამუარს ი ლამთილს ხუემზირ . . .
ნანშ ლადპლ სი, ჩუესგუ, მი ლაფი-მეხპრ ესლური,
გუის მიბაჟ ამი ლიმბუ,
ჩუ ჯეხლი საკურელ გუეშ სი!
სი ლამპრია ჯელჩე, ხოჩიმდუ ხპრიდ, ესლური...
დიდპბუ ათქედა ლაგურკას,
მადლიერს, მადლიშ გუეშის”!

07.04.2020 წელი
(ხარპბ ლადპლ)

ნუთე...

ყავლგადასული, დრომოჭმული ზრუნვის საგნები
სად გადავკარგო,
სად წავიღო დროთა მფლანგველნი?
რუხი ღრუბლების ჯარის მაკრავს
გულზე ფთილები,
დაიჭექებს და თქეშიც დამკრავს ცივი წვიმების!
ელვამ გააპო სივრცე, რისხვის მჭახე ხმაურით
და იკვეთება დროებათა მკვეთრი ტეხილი,
სევდა მაწვება, როგორც ქარაფს ცივი ჩანჩქერი,
გადამიყოლებს, მეგებება დაბლა კლდის ძირი,
ჰოი, სიცოცხლევ, რად იცვალე შენ ასე ნირი?!
არ შევჩერდები, არც ამიტანს მე დელგმის შიში,
გამოიდარებს, შემომხვდება თბილი მზის სხივიც,
რომ გამინათოს გასავლელი ჩემი ბილიკი
და გადავძალო შეძრწუნებულ სულის ტკივილი,
ყავლგადასული და ფერმკრთალი
აწმყოს ნისლების!

26.04.2020 ნელი

მომავალს ვიზევ

სიცოცხლით ვიღხენ,
მსურს, ავეფარო მოარულ შიშებს,
პასუხს ვუძებნი დაუსმელ თუ
ან დასმულ კითხვებს,
მინდა შევძინო
ნააზრევის სიღრმე ჩემს სიტყვებს,
რომელსაც ელის
მომავალი ჩემგან და ისმენს!

სიცოცხლეს ვითმენ,
ვით ყინვის ჭირხლად მოდებულ ფიქრებს,
პირდაღებული ნაპრალების,
გულს ეწვის სიღრმე,
წვიმს გაზაფხული,
ვერაფერი ვუშველე ნისლებს
და სიმარტოვე დაუნდობლად,
პირმოთნედ მიჩვევს!

თუმცა, გონება მაშინათვე
მძლავრ ფიქრებს მისევს,
როცა მესვეტე ანტონის ლავრა
გაარღვევს ნისლებს,
დაუშრეტელი რწმენის ნაჟურის,
მადლის ჰფენს სხივებს
ქართლის მთა-გორებს –
ისტორიის გადაშლილ წიგნებს!

მერე შევკრთები,
სიმარტოვის გზებს ვუჭრი შიშებს
და მე მომავალს ბრძოლის ველზე
უშიშრად ვიწვევ,
იქ ზურგს მიმაგრებს გადათელილ
ვენახთა სილრმე,
მერე, ომშიაც, იმ ბრძოლებშიც
სიცოცხლით ვიღენ!

რადგან მინდა,
რომ ნააზრევი შევძინო რიცხვებს,
მე დავუნამავ ოფლის ნაჟურით
ვენახებს ძირებს,
ადამიანი მოლეკულა, თუმცა კი მტკიცე,
გზას ჩავუხერგავ
მომავლისკენ მიმავალ შიშებს!

08.04.2021 ნელი

ნატერა

დაე, შემრჩეს ამ ცხოვრების ნაცვლად,
სიბრძნისა და სიყვარულის გაცვლა!
რაც გონების საცერმა ვერ გაცრას,
რაც ფიქრების საჭერმა ვერ ახსნა.

დაე, შემრჩეს წუთისოფლის ნაცვლად,
განვლილ დღეთა საზღაურად – ძალა,
იმ ნამდვილი ჭეშმარიტის აღქმა,
რაც გონების საცერმა ვერ გაცრას!

22.03.2020 ნელი

SULI

ცოდვა-მადლიანი დღეები

(ვნების კვირა)

მადლი სდით დღეებს,
ვით ბადაგი ოქროსფერ მტევნებს
და იულინთება არემარე, სვე იცვლის ფერებს,
გზა აპნევიათ საწყალობელთ, ძე ღვთისას მდევრებს,
მაინც, ნათელი თვალშეუდგამი
მოკვდავთ ჰპანს ფეხებს...
რა ბურუსში ხარ, ჩემო ქვეყანავ,
რა მოგვდის დღეს ჩვენ?
მოვისხათ მადლი, წყალი დავუსხათ
ჩვენ მხცოვან ფესვებს,
სიცოცხლის ძალა ან მომავალ შვილსაც რომ შერჩეს,
სიყვარულის და თავდადების ენაფონ მტევნებს!
დაიმახსოვრე, ადამიანო და მუდამ გწამდეს,
რომ შენ ვერ შექმნი და ვერც ჩაშლი უხილავ ძაფებს,
რომელიც კვებავს და შეადგენს სამყაროს ძარღვებს,
წარმოშობს იმედს და ხანაც მძრწოლავ,
ულმობელ წარღვნებს!
ცოდვა-მადლი სდის ვნების კვირის
განზრახულ დღეებს
და შეისვენა გარინდებულმა ქართველმა მეხრემ,
ხმიადსაც კმარობს, ოლონდ რწმენა მცირედი შეხვდეს
და დაედინოს აღდგომის მადლი სულს,
როგორც მტევნებს,
მოწიფულობას სდით ბადაგი, ეცვალოს დღეს ზნე!

28.04.2021 წელი

სულების წყარო

ნეტა, სად იღებს სათავეს წყარო,
რომლითაც სული მოკვდავის ხარობს?
გადმოსდენია ცის რომელ მნათობს,
ან რისთვის სტუმრობს ხმელეთის დაბლობს?
სანამ სხეულში, ვით აზრი სახლობს,
სანამ სხეულში, ვით გონი სახლობს,
რამდენჯერ ცდილობს, გვაახლოს მაღლობს
და მიგვადევნოს ნისლების ჩარჩოს
მომაქმანებულ, ღმერთების სამყოფა!
და უმალ გვაშრობს, როგორც კი მნათობს
მოსწყდება სხივი, ხან წვეთად გვალობს,
მერე გაგვყინავს და თოვლად ვათოვთ
მყინვარებს, იქნებ მათ შეგვიფარონ!
ნეტა, სად იღებს სათავეს წყარო,
რომლითაც სული მოკვდავთა არსობს?
საიდან მოდის, ან საით მიდის,
რისთვის გვაგებებს ზღვის ზვირთებს ფართოს,
ვით გაელვება, რომ სივრცემ გვშთანთქოს?!
– სივრცე სადღაა? სივრცე რაღაა?
ნუთუ აზრებში მხოლოდღა სახლობს,
რომ ვანუგეშოთ ჩვენივე აწმყო?
ნეტა, რით იღებს სული სათავეს,
აზრების რიგებს ფიქრებად ვაწყობ,
ო, როგორ მაწყობს, ო, როგორ გვაწყობს,
არ უშრებოდეს სათავე წყაროს
და უსასრულო განზომილების
საკმარად იყოს სულების საზრდო!

29.07.2020 ნელი

სულის ყვავილობა

სულის ყვავილობა, ნეტა, რა ფერია,
ან გაზაფხულები სულაც რამდენია?!
ამ სამყაროს ხიბლი გულშიც დამტევია,
მაგრამ განა ჩემს გული ცოტა საზღვრები აქვს?!

მარტი ფერდს შესეულ იად ჩამრჩენია,
თითქოს დედამიწა ერთი მტკაველია,
როცა ენძელები თეთრი ბარს ჰვენია
და მთის მწვერვალებზე თეთრი თავშლებია.

სულის ყვავილობას ნუთუ საზღვრები აქვს?
ზაფხული დღეები ლოცვად ჩამრჩენია,
ფიფქებიც მოუსხამს სპეტაკ ყვავილებად,
შემოდგომას წითელ ფოთლად დამფენია!

შვილის ხელისგულზე გული დამრჩენია,
მერე, რა თბილია, განა საძებნია?
სულთა ყვავილობას, ვიცი, ზღვა ფერი აქვს,
შვილთა სიხარულად ლოცვა ამხდენია!

სულის ყვავილობას, ვიცი, რა ფერი აქვს,
როცა მზის სხივები ტევრებს აფენია,
ამ სამყაროს ეშხი გულშიც დამტევია,
თუმცა განა ჩემს გულს ცოტა საზღვრები აქვს?!

09.07.2021 წელი

სული დამუნჯდა

თითქოს, დაყრუვდა ჩემი სული ცრუ ღრიანცელით,
გთხოვთ, დადუმებულ სათნოებას ჯაჭვი ახსენით,
გთხოვთ, უარყოფილ გულწრფელობას
დამდა ახსენით –

სიბრიყვის დამდად შემრაცხველი
მკვლელი აზრების!

ნეტა, ვის უნდა ჩვენი ურვის კორიანტელი?!
თითქოს მოფანტეს უღმერთობის ფოლიანტები,
ბაგე დამუნჯდა, განუძარცვეს ფიქრი, სათქმელი,
თუმცა, ვაგროვე მარგალიტი აურაცხელი!
თითქოს, დამუნჯდა ჩემი გული ცრუ ღრიანცელით,
გთხოვთ, დაურვებულ სათნოებას ჯაჭვი ახსენით,
ქილიკის ჯაჭვი, ამ საუკუნეს თითქოს არ შვენის!
ზეცამ დამლახვროს,
ამ დროების უტყვად დამთმენი,
როცა ბევრია წრფელი სიტყვა, ჯერაც სათქმელი
და მათზე ბევრი – სიყვარულით, გულით საქმნელი!
ნუ დაყრუვდები, სულო ჩემო, ცრუ ღრიანცელით,
გარიურაჟისფრად მოცეკვავე მისტიკის მსგავსი
რადგან არსებობს საკვირველი წუთისოფელი!

02.05.2022

FIQREBTAN

მე მიყვარს ფიქრი...

მე მიყვარს ფიქრი, –

ის მოთმინებით სულ კართან მიცდის
და თვალს ვუსწორებ,

როცა გეზს იცვლის სამყაროს შიში,
როცა იფეთქებს რწმენა სადღაც,

გონების ჩრდილში,
მესაუბრება როცა სხივი სიკეთის ჟინით!

მე მიყვარს ლოცვას შეკედლება, –

სარკმელთან მიცდის,
გულის სარკმელთან,

როგორც თეთრი ფრინველი სიბრძნის,
რომ გამიყოლოს უსასრულო სამყაროს იქით
და დამავიწყოს ადამიანთან დროების ჯიბრი!

მე მიყვარს ღელვა დაუდგრომელი,

გონების შიგნით,
როგორც მშფოთვარე ქარიშხლების სასტიკი ჟინი –
გადააბრუნოს ქვეყნიერების ბურუსი, ნისლი,
უსამართლობა როცა ნაირფერ რიდეებს იცვლის!!!

მე მიყვარს, როცა სანთლის სხივი

იმედებს მიცვლის
სასოწარკვეთის ულუფებში –

სხეულს რომ მიღრღნის
და თქარათქური გაზაფხულებზე შეშლილი წვიმის,
თავგამეტებულ დინებებად სადღაც რომ ილტვის!

და მიყვარს, როცა ადამიანი თავისი მიზნით,
უსასრულოა სულისა და გონების სიღრმით,
ნავსაყუდელი, მუდამ სულის კართან რომ იცდის,
რომ დაამარცხოს სიკეთესთან ბოროტის ჯიბრი!

მე მიყვარს ფიქრი,
შეუცნობელს რომ ნაცნობად მიხდის
და გამიყოლებს თვალხილული სამყაროს იქით,
სიკეთით ლოცვა – სულის ფორებს
ფართოდ რომ მიხსნის,
მადლიერი ვარ, ო, სამყაროვ, სარგუნო ნიშის!

15.08.2021 ნელი

ზიქრებთან მარტო

მაშინ, როდესაც გოლგოთის მსგავსად,
ვიღაცა ცოდვის ბილიკებს ხლართავს,
გონება ამსხვრევს ფიქრთა მარწუხებს –
დიდი ხანია, მე რომ მაწუხებს!

რაც დიადია – უხილავია და შენ გარწმუნებს:
ამ უხილავის მიღმა არის ჩვენი არსების,
სულის სამშვენი – სიკეთე და გონიერება
და ყველა ისიც, რაც არ ძალუძს ცნობიერებას.

რაც დიადია – უხილავია და ეს გაწუხებს?
გადაითვალე აზრთა მწკრივი
გონებით მსწრაფლად,
როცა ცხოვრების უძლურების ყოველი წამი,
მარად იცვლება კვლავ სიკეთით და მე გარწმუნებს:

მაშინ, როდესაც
ვიღაცა ცოდვის ბილიკებს ხლართავს,
გონება ლენავს ფიქრთა კალოს,
ამსხვრევს მარწუხებს –
ყოფიერების იმ ტვირთების, რაც კი გაწუხებს,
სულის საკმაზად ზეციერი შენ რომ გარგუნებს!

30.03.2020 წელი

ჩემი ბაზუმობის ფერები

ალბათ, ოდესმე დავწერ ლამაზ,
შარაგრძელ ამბებს
ფანტელთა სიდიადის,
ბედნიერების გზაზე.
იმ მონავარდე ბავშვზე,
ბადეს პეპლით რომ ავსებს
და შეაგროვებს ენძელებს,
პირველს, ამოსულს ჩეამზე
გაზაფხულების, როცა
ფერდობებს დაჰკრავთ სავსე
სურნელებით და ლხენით
გაჯერებული მნათე!
გზის ხრიოვ პირებს შეფენილ
წითელ, ხასხასა მარწყვზე
მოზარდს რომ მიიპატიუებს
და ტყეს კისკისით ავსებს.
რა სურნელება ასდით გვიმრის
ტოტებს და ხავსებს
და ასხმულების მწკრივებს
მარწყვის, ბალახის ძაფზე.
თავზე წამომდგარ ნაძვნარზე
ჩიტების ხმა რომ აღწევს
და მათი წერიალა გალობა
ბუნებას როგორ აღწერს...
ქარვისფრად მოთამაშე
კევების მძივებს ნაძვზე,
ბებიაჩემის სიბრძნით

და სიყვარულით სავსე
იმ გაჯერებულ ხმაზე,
ბუნებას მე რომ მაჩვევს
და დაწყებული ქვიდან,
როგორ აღმინერს ცამდე!
ბავშვზე, რომელიც დასდევს
ციცინათელებს ლამე,
როგორ აგროვებს ქილაში
ცის მოციმციმე ნაჭერს,
მის გაოცებულ თვალებზე –
ნათებას რომ ადარებს
ცაზე მოფენილ, უთვალავ
ვარსკვლავთა ჯარის ნათელს
და თვალებს როგორ ახელს,
სამყაროს ორ დიდ კარებს.
ქამა სოკოთა ჯგუფზე,
შეყუულთ ბებერ ნაძვებს
დაგენანება საკრეფად,
როდესაც ხელი წაგძლევს.
მღიერებისგან მოქარგულ
მაქმანზე, ნაძვის ტოტზე
და შემოვლებულთ ჩუქურთმად
საუკუნოვან ლოდზე...

ნეტა, ოდესმე დავწერდე
ლამაზ, ბავშვისფერ ზღაპრებს!

18.07.2020 ნელი

ვიქრთა ხომალდები

ისევ იზღვაოსნეს ფიქრთა ხომალდებმა
წუხელ მამაცურად ზღვაში,
გათ ხელს უმართავდა ლურჯი ცის კამარა,
დინჯად დაეძებდნენ ნაპირს.
ცის მნათობთა გროვა ზღვას ჭერს უქარგავდა,
მიზნებს უსაზღვრავდა მანძილს,
აზრთა იალქნები ქარს ეურჩებოდა
დანთქმას რომ ლამობდა მგზავრის.
მაინც იზღვაოსნეს ფიქრთა ხომალდებმა,
არარად ჩააგდეს ქარი,
მაინც ინათა და ნაპირს შეეგება
უცხოს, მოლივლივე წყალი.
არეს ვადარებდი უწინდლამდე ნანახს
და ათასგზის თვალწინ გაშლილს,
თუმცა სივრცე იყო უსასრულოდ წმინდა,
არც შეედრებოდა ნამდვილს.
იქვე მიმატოვეს ფიქრთა ხომალდებმა,
თითქოს მიმაშვილეს ნაპირს –
ათი ათას ულერად, უცხოდ მოსაუბრეს,
მუზის ჯადოსნობის ადგილს.
წუხელ, ვით ფარფატა, ნაზი ჭრელი ფოთლის
მონარნარე ვალი ქარში,
ისე ამედევნა ისევ ფიქრთა გროვა
ზამთარს არ ვუშვებდი კარში,
მერე გამახსენდა, დრო რომ მაინც დროა,
მაინც ისევ მოვა, დამლის...
ახლა ველოდები ფიქრთა ხომალდებს და
მივაშურებ უცხო ნაპირს!

18.08.2020 ნელი

მე მგონი, ცოტა გავიზარდე და გავიბადრე

მე მგონი, ცოტა გავიზარდე და გავიბადრე,
მაკვირვებს ფიქრი ყველაფერზე, რაც კი ვიდარდე...
ცხოვრება აზრთა ჭიდილია და სიკვდილამდე
ყველა დოლაბი მაინც იძვრის, მაინც ტრიალებს,
ვიდრე წისქვილის ბორბალს ერწყმის წყალი მჩქეფარედ.
მე მგონი, ცოტა გავიზარდე და გავილალე
ბედნიერების სიმარტივით – რაც კი ვიწამე,
ერთ უბრალო პასუხია: „ძებნე სიმართლე,
სიმართლე ფიქრში, ნაბიჯებში და გაილალებ,
სიცოცხლეს შესვამ, როგორც ნექტარს და არ ინანებ
სიმართლის ძებნას, მერე პოვნას, ხანაც სიმდაბლეს!“
რტოს მოწყვეტილი სიცოცხლე ვარ, დრო რომ მიმაფრენს,
მაგრამ ვიჩქეფებ, როგორც წყარო, მე, სიკვდილამდე,
რადგან წისქვილის ტრიალს მოაქვს მადლი ბრძოლაზე,
რომელიც მქონდა გამართული მხოლოდ ცოდნაზე,
იმის პოვნაზე, რაც მაქცევდა ადამიანად,
შემიფარებდა, გადამარჩენდა დროთა სრბოლაზე.
მე მგონი, ცოტა გავიზარდე, როგორ მეოცა
ყველა სიბრაზე, მღელვარება, თითქოს „ტკივილი“
და მე ვინანე ყველა წყენა, ყველა ჩივილი,
თავზე მედგა და მამშვიდებდა დინჯად სინდისი.
მოდის მჩქეფარე, მთის დაღმართში, ცივი მდინარე,
ჩამოსდნობია სასიცოცხლოდ პირქუშ მყინვარებს,
წისქვილის ბორბალს დოლაბისთვის კვლავ ატრიალებს,
გამოიღვიძა მეწისქვილემაც და სიკვდილამდე,
მოგონებათა საგანძურის წიგნთა თაროზე,
გადალაგებულ ტომეულთა მწკრივი აოცებს –
რამდენი უნდა გაიაზრო შენ სამსჯავროზე
რომ გაიზარდო, არ გაბრაზდე და არც გაოცდე!

15.05.2020 წელი

ალგათ...

ადამიანის ცხოვრება, თუნდაც, ცხოვრების ერთი დღე, ულრანი ტყეა სხვა ადამიანთათვის, თუკი გულთმისნობამდე მიღწეული თანაგრძნობა და სიყვარული არ გვიკვალავს გზას მასთან მისასვლელად. ამის გაცნობიერების შემდეგ კი, იწყება მდგომარეობა, როცა სხვა გზებს არ აღიარებ და აღარც გჭირდება, რადგან მათი შუქის ფონზე სხვა ადამიანი და სიცოცხლე უსიერ და საშიშ ტყედ კი აღარ გეჩვენება, არამედ მასში მობინადრე ბუნებრივ სამშვენისებლაც ამჩნევ და გიხარია, დაწყებული ვეებერთელა ხეებიდან და მოცუევავე ფერიების მსგავსი ბუჩქებიდან, დამთავრებული შეოქროსფრებულ, ხავსზე მიძინებულ ფოთლებამდე. მერე კი ვხვდებით, თუ რამდენი დაგვიკლია საკუთარი თავისთვის, უგულობით თუ უსიყვარულობით.

თუმცა, არსებობენ ისეთებიც, რომელთა მთელი სიცოცხლე ისე ჩაივლის, რომ ადამიანებიც და ცხოვრებაც მათთვის ერთი დიდ, ულრან ტყედ რჩება და მასთან მიახლოებაც კი არ ძალუდთ!

დგანან განზე – შეშინებულები, გულმოსულები და ისვრიან უსაგნოდ და უმისამართოდ ხან ქვებს და ხანაც ბოდვას მიმსგავსებულ ბეგერებს, აქაოდა, ნადირს ვიგერიებო, იმას კი ვერ ხვდებიან რომ საკუთარ „მეს“ ქოლავენ და ახშობენ საკუთარივე ქმედებით.

13.01.2021 ნელი.

CVEN

ანნას, ნიკოლოზს, მარიამს!

დიდი სიხარული, ასეთ ძნელბედობას
თოვლის ფიფქებად რომ მათოვს,
ყველა ის მადლია, ჩემო თვალნათელავ,
შენი სიცილით რომ მართობს!

დიდი სიყვარული, ასეთ ძნელბედობას
შეშფოთებულ გულს რომ წამლობს,
უფლის წყალობაა, მე რომ ქვეყნად მერგო,
ჩემო საიმედო ვაჟო!

დიდი სიამაყე და სულის სისავსე,
მე რომ ღმერთო, შენგან მერგო,
ჩემთვის ის პირველი დიდი წყალობაა,
დედის გულს რომ მუდამ ათბობს!

ღმერთო, დამიფარე ყველა ეს წყალობა,
დედა ღვთისმშობელის მადლმა!
ღმერთო, დაიფარე ყველა დედა-შვილი,
წმინდა მარიამის მადლმა!

22.03.2020 ნელი

აზვიმი პესანებს

მესმის არია, წვიმის დარია, რა სიწყნარეა
და მომავალში მოსახდენის რა სიცხადეა...
ადამიანთა სულსწრაფობა და სიჩქარეა
– დღეს რომ ხვალეა...
წვიმის არიამ მომიტანა ფუნჯი, პალიტრა
და... ყველაფერი, თითქოს, ცხადში,
თვალწინ დამიდგა:
სიფრთხილით ვხატავ ეპიზოდებს
დღისას, ღამისას,
ფერებად მაწვდის სხივებს მზისას,
ხანაც მთვარისას
წვიმის წვეთების მონაყოლი – წვეთი წყალისა.
გადაიქცევა ყოველი დღე ყოფის – ხალისად,
თუ არ გარდაქმნი საკეთებელს დღეის – ხვალისად,
გაჯერებული, ზღვა ფერების გვიდევს პალიტრა,
ყველა განვლილი დღე გვასწავლის მომავალისად,
როგორი აზრი გავატანოთ სხივებს მთვარისას,
რამდენად ფრთხილად შევაგროვოთ
სითბო წამლისად,
უიმედობის და უსასობის შველად ხვალისად,
რომ ყოველი დღე ჩვენი იქცეს გულის ხალისად
და დედამიწა სიკეთის და სითბოს ხალიჩად!
წვიმის წვეთები, ვით შუბერტი, წერს სერენადას
და მომავალი ზმანებაში, ბავშვურ კისკისით –
თმაში თამაშით მიწნავს ლამაზ, ცისფერ კესანეს
და წარსულიდან კვლავ ჩამესმის:
„დედა, დედა, დე...“

პასუხის ძებნა ათი ათას დასმულ კითხვაზე:

„ეს როგორია? ეს რა არის? დედა, დედა, დე...“

და ამის გამო არაფერზე აღარ ვღელავ მე,

ოღონდ, ისმოდეს ჩემ გარშემო, მუდამ

„დედა, დე...“

ჩემი შვილების შვილები რომ გამიფერადებს,

თმას შევერცხლილს და ჩამაყოლებს

ცისფერ კესანეს,

მევედრებიან: „ვისეირნოთ“, დღეში მესამედ,

რა სითბოც მავსებს, ვერ ვუტყვდები

საქმით მეასედს,

მაგრამ მივყვები სასეირნოდ დღეში მესამედ,

რადგან მინდა, რომ იკისკისონ, კრიფონ კესანე,

მინდა მოვურთო სული, როგორც

სათნოთ, ნეტარებს,

ერთადერთი და შეუცვლელი არსი ზეცამდე,

ადამიანის არსებობის გალაქტიკაზე!

მევეკითხები დღისით მზეს და ღამით ვარსკვლავებს:

რა გავაკეთო, რომ ვახარო ირგვლივ კესანე?

სანამ ამ ქვეყნად ვიარსებებ, შეცვლის დღეს ღამე,

რომ დამეხმაროს, ამიტაცოს მაღლა ზეცამდე,

რომ მოვიოხო ნაცხოვრები დედამიწაზე

და გავიზარდო თუნდაც ერთი წვიმის წვეთამდე!

23.05.2020 წელი

ანა ბაემბზაპრა...

შენ ისევ მიდიხარ
და მიგაქვს პალიტრა ფერების
და მხოლოდ დედისავ,
შორიდან კვლავ მე გეფერები,
მიდიხარ, მიგყვება შენ
ჩემში მოგალობე ბგერები,
როგორც სიცოცხლის ჰანგები
ღრმა გულში მუღერები.

მრავალგზის ინათებს,
დარდებს მე ფიქრებში ვერევი,
იანვარს ვმეგობრობ,
თუმცა, ვერ მყინავენ დღეები,
რადგან ჩემს სულში მოთარეშე ყინვას
მზე შეცვლის,
როდესაც კარებთან, კ
ვლავაც მომდგარი - „დეე“, მესმის.

23.08.2020 ნელი

დროს ვერ დაასწრებ

დროს ვერ დაასწრებ,
თავად უხვდება წინ ყველა საქმეს,
არ შეგიბრალებს,
თუ არ იტყვი დროულად სათქმელს,
არც მოცდა უყვარს ოცნებათა –
ქარებს რომ დასდევს,
თუ არ იკმარებ მის ნაბოძებს,
თვალწინ რომ დადებს.
ვერ შეაჩერებ,
დრო აწესებს ულმობელ ვადებს,
ყოველი წამი სიცოცხლეს და
სიკვდილსაც ბადებს,
თუ ვერ შეავლებ გონების თვალს,
არაფრად გაგდებს,
სანამ იქნები,
თავსატეხებს ის უხვად გაძლევს.
ხან ინარნარებს შენთან ერთად,
ხან ცრემლებს აპნევს,
ის ყველგანაა, ის ყოველთვის
ყველაფერს ამჩნევს,
აქ მცხოვრებ სულთა მიმოქცევის
კონტური აპნევს,
რომ მოზაიკას ულამაზესას,
სულ ცოტა ამჩნევს,
მცირედი ცდილობს მის ნაწილად,
სამშვენად დარჩეს!

უგონოდ ბრმაა,
ის ვერც მოხუცს და
ვერც ბავშვს ამჩნევს,
მას შეელევა, მიაკარგავს,
ვისაც კი არჩევს!
მას ვერ დაიჭერ, თავად ეწევა
ის ყველა საქმეს,
არ შეგიბრალებს, ისე წაგართმევს
გულიდან სათქმელს,
თუ არ იბრძოლებ,
უმიზნობის სენს ისე გაჩვევს,
ვერაფერს ეტყვი საიმედოს
საშენოდ, გამჩენს!
თუ ვერ გაახელ გონების თვალს,
არაფრად გაგდებს,
დროს ვერ დაიჭერ,
მარადისობის ის წამებს ბადებს!
და სანამ მე ვარ, ჩემი დრო
მინდა ჩემადვე დარჩეს,
რომ მასში მუდამ ვეფერებოდე
„დედიკოს ბავშვებს“,
თუნდაც, იმდენ ხანს, მარადისობას
სულ აქ რომ დავრჩე,
მე, მათ სიცოცხლეს შევავედრებ
მარადჟამს გამჩენს!

24.01.2021 წელი

დ ე დ ე ბ ს

დედას სიცოცხლე რომ ავალია
უფლის ნაჩუქარი გზა-კვალია,
რწმენის სრულყოფა ხომ მთავარია,
როცა ეს ცხოვრება ზღაპარია!
დედას სიცოცხლე რომ აბარია,
მისთვის თვით სამოთხეც – სახლ-კარია,
ღმერთის ნაბოძები ტაძარია
და სიკეთის, სითბოს საყდარია –
დიდი სიყვარულის ნაკრძალია!
დედას სიცოცხლე რომ ავალია,
ყველა სხვა სიცოცხლე – მავანია,
შვილის სიყვარული მთავარია,
ყველა საზრუნავი – ზღაპარია!
დედას სიცოცხლე რომ აბარია,
დედის ლოცვა მისთვის აბჯარია,
მისი ყოველი დღე საგზალია,
შვილის სიხარული მთავარია,
როცა ეს სიცოცხლე ზღაპარია!

10.05.2020 ნელი

მაპატიე, მეგობარო!

მე მაპატიე, მეგობარო, ნაღველი შენში,
რადგანაც მინდა, რომ არასოდეს
დაკეცო ფრთები!
და... თუ გაგვყრიან, როგორც შეგვყარეს,
ოდესმე გზები,
ოდესმე, სადღაც და დაიწყება
წუთები თმენის,
მაინც ვიცი, რომ ჩვენ
არასოდეს გვიმტყუნებს ფრთები
ერთმანეთის გზის საპოვნელად,
ასე რომ გვშველის!
და... მომიტევე, მეგობარო,
ტკივილიც შენში,
რადგან მინდა, რომ რწმენად დავრჩე
სიცოცხლით ლხენის,
რომ შენ არასდროს, არასოდეს
დაგენვას ფრთები
და უსასრულოდ, უსასრულოდ
აღივსო ლხენით,
რადგან მეტია, ძალზედ მეტია
ბუნება შენში
ადამიანის, სიკეთის გზები
ასე რომ ელტვის!

03.04.2021 ნელი

მისალოცი ბარათი

როგორ მიღოცავს დღეობას
ფერებით, ფორმებით, სიტყვებით,
გულწრფელი, ღია ბარათით
ფერადი ბავშვური ნახატი.
კეთილი, ალალი ფიქრების
როგორი იშლება სხივები,
გული მითბება იმედით,
მზე სიყვარული ვიგრძენი.
ბავშვური, დიდრონი თვალები
ლამაზი ღიმილით, მზისფერით
შემომყურებს და მიღოცავს
დაბადების დღეს თითებით,
რომ გაჰქიცევია ფანქარი,
თმა სად და ბანტი სად არის?
კაბა აცვია დედოფლის
და პრინცესების სადარი.
„გილოცავთ, ძალიან გვიყვარხარ!“
– ჰყება ფერადი ფანქარი
თურმე მე „კარგი გოგოც“ ვარ,
მესაუბრება ნახატი,
სურვილი მავსებს, სამყარო
მათ დავანახო წარმტაცი,
ნუთუ ბავშვობის სადარი
ქვეყნად რამე გვაქვს ნანახი?!

04.06.2020 ნელი

ჩვენ

ჩემთვის საყრდენი ხარ მძლავრი,
მე რომ მეგულები დაღლილს!
ხანაც – შემხუთველი დარდი,
მაგრამ სიყვარული მზარდი.
წლები გაპარულან მალვით,
ჩემთვის ულევი ხარ აზრი,
შენს სიცოცხლეს რომ დასჭირდეს,
მთელ ჩემს სიცოცხლესაც გავცვლი!
ხანაც, მომერევა ბრაზი
და შენც შემომყურებ კრძალვით...
ხანაც, უღრუბლებოდ გვაწვიმს
და შენც მოგერევა ლანდი,
მაგრამ მე ვიცი, რომ თავში
მხოლოდ გიტრიალებს აზრი,
რომ მე თუ სიცოცხლეს ვთმობდე,
შენსას შემთავაზებ მაშინ.
ჩემთვის უცვლელი ხარ აზრი
და მე მავიწყდება დარდიც,
მე შენს სიცოცხლეზე გიცვლი
ჩემი არსებობის მანძილს!

10.05.2020 წელი

ORIODE SITYVA

ათენი გეგმის მოწამენი

(მონოლოგი)

ხშირად მიფიქრია ჩემთვის: ნეტა, თუ არის რო-
მელიმე სხვა ერი, რომლის არსებობის მანძილზეც
მომხდარიყოს ისეთი, გამაოგნებლად ძლიერი ნების
გამოხატვისა და სულიერი სიმტკიცის მაგალითი, რო-
გორიც არის, მე-13 საუკუნეში ხვარაზმელთა მიერ,
თბილისში, ასი ათასი ქართველის წამების ფაქტი.

ალბათ, იმ დღეებში, როგორც თვალთაგან წამო-
სული სიმწარის მდუღარე ცრემლი სერავს სახეს, ისე
სერავდა საქართველოს მიწას შფოთვისაგან წითლად
გადადუღებული მტკვარი, როდესაც კალთაში იხ-
ვევდა და ზვირთებში ანანავებდა თითოეული მარ-
თლის ნაწამებ სხეულს და ასე ცდილობდა მათი ტან-
ჯვის დაამებას დამძიმებული... მიბორგავდა, ალბათ,
მტკვარი და როგორც სხეულის მთავარ არტერიას, ისე
გაპქონდა წამლად ქვეყნის მიწაზე – წყალზე რწმენი-
სა და სიმტკიცის ეროვნული ძალა. ის ერთდროულად
უმწარესი წამალიც და როგორც ჩანს, აურიდებელი
ზვარაკიც იყო დაბლაგვებული ეროვნული თვითშეგ-
ნებისა და მოდუნებული რწმენის გამო, რომელსაც
მოეცვა იმუამინდელი ქართული სახელმწიფოს სათა-
ვები. ეს იყო ადამიანების მიერ გაღებული, ისეთი
გაცნობიერებული, უდიდესი მსხვერპლი, რომლის
დაჯერება თითქოს წარმოუდგენელიც კი არის. იმუს-
რებოდა ხალხი, ხოლო მათი რწმენისა და სიმტკიცის
ზეობისაგან ბოროტი ისე დავრდომილიყო, როგორც

ემოციური სიცარიელის ნაპრალში გადაჩეხილი უიმე-დო სული. ეს ზნეობრივი უძლურების განცდა კი, მას ისეთი სიშმაგისაკენ უბიძგებდა, რომლის შედეგად, მტრის უგუნურების სიმბოლოდ, წმინდა სიონის ტაძრის მორღვეულ გუმბათზე მოწყობილი ბოროტების ტახტრევანი იქცა!

ჩვენი, დღეგანდელი, არსებობისათვის განეული თავგანწირვისა და გამოვლენილი ერთსულოვნების სხვა როგორი მაგალითი უნდა არსებობდეს ჩვენსავე ცნობიერებაში, რომ სიყვარული თუ არა, პატივისცემა მაინც გაგვაჩნდეს ერთმანეთის მიმართ.

საკმარისია, კარგად გავიაზროთ, თუნდაც ერთი, ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი, რომ მაშინვე თავი ვიგრძნოთ ვალში ქვეყნისა და ამ მიწა-წყალზე მცხოვრები ყველა ადამიანის წინაშე, რომელთა გენეტიკაშიც ძვირფასი თვლებივით იყო განფენილი და საუკუნოდ ჩაბუდებული ერთმანეთი-სათვის თავდადება, სიკეთე, სიყვარული, თანადგომა და ის ზნეობრივი ღირებულებები, რომელიც თანხ-ვედრაშია მხოლოდ ადამიანურობასთან. იქვე, თავის მოტყუებად ჩავთვლიდი, რომ არ გვეფიქრა სისუს-ტებზე, რომელიც, ასევე, ჩვენი სახელმწიფოს არ-სებობის თანმდევია დღემდე, თუმცა, ეს თვისებები, მაინც, მუდმივად თავდაცვაში ყოფნით ნასაზრდოები მანკიერებები მგონია, რომელთა დათრგუნვაც მხო-ლოდ ერთობით მისაღწევი შედეგია.

ახლა და აქ მყოფი ადამიანების მხრიდან, რაოდე-ნი მიკერძოებულობა იქნება, რომ შემოვიფარგლოთ, მხოლოდ ჩვენი, ერთი სიცოცხლით და კარგად არ

დავფიქრდეთ, სანამ რამეს მოვიმოქმედებთ ან არ მოვიმოქმედებთ. ცა ქუდად არ გვეყოს და დედამინა ქალამნად, წარსული – გაკვეთილებად და მომავალი დასაფიქრებლად. იმხელა გვეგონოს საკუთარი თავი, რომ შინაარსი გამოვაცალოთ წინამორბედთა ნაამაგარს, თავგანწირვას, თუნდაც ერთდროულად ასი ათასი ყოფილიყო შენირული და არც იმ შინაარსის მართებულობაზე ფიქრით შევიწუხოთ თავი, რომლის მატარებელიც უნდა იყოს ჩვენ შემდეგ ცხოვრება ამ ქვეყანაში.

არსებობს ქართული ხალხური ნათქვამი: „ნაქ-ცეულს, მტერიც რომ იყოს, ხელი გაუწოდეო“. ახლა კი ვფიქრობ: ვინ ვართ ჩვენ დღეს, რომ წაქცეულ მოყვასსა და საკუთარ ქვეყანასაც არ ვუწვდით ხელს, ფეხზე წამოსადგომად?

მიედინება დღესაც მტკვარი საქართველოს დაკოურილ მიწა-წყალზე და უსიტყვო მდუმარებით მიეზიდება, თავისი ზვირთებით, ისტორიულ ამბავთა ხომალდებს, რომლებიც უჩინარ აჩრდილებს მიმსგავსებიან ამ მრუმე და გაცვეთილ თვალთახედვაში.

შენდობა თქვენგან ქვეყანას, ათნო ბევრნო მოწამენო!

15.12.2020 წელი

ქართებილების თაობა

ადრიანი დილა ლამაზი იყო. მზიანი, ნათელი, ათასი საამური და საინტერესო ხმებით შეჯერებული. ცა მოკისკისე ბავშვის თვალებს ჰგავდა – ლურჯი! როგორც ფერიები, ისე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, გაზაფხულზე მოყვავილე ხეები, სინარნარეში. მზე მხოლოდ კი არ ამშვენებდა გარემოს, არამედ სითბოსაც უხვად არიგებდა. ირგვლივ იმდენი სანახავი იყო, რომ უსასრულობაში გეგონებოდა თავი, რომელსაც ვერასოდეს ამონურავდი.

და... დავრბოდით ამ ცხოვრების გარიურაჟზე ჩვენც აქეთ-იქით ლაღად. ბავშვური აღტაცებითა და სიაღალით ითვისებდა ცნობიერი ყოველივეს. დავდიოდით და სიხარულსა და სითბოს ვარიგებდით, ან რა უნდა დაგვერიგებინა, როცა ცხოვრების განთიადზე ადამიანს მხოლოდ ეს გააჩნია...

და... როდესაც დღის ნათლის მატებასთან ერთად იმატა გარე სამყაროს აღქმამ, თვალსაწიერმა, სანახაობით და შეგრძნებებით აღტაცებულები ერთმანეთს ბავშვურად ვუზიარებდით შეცნობილს და სამომავლო გეგმებს ვსახავდით. უცებ, ცა მოიქუფრა და ელვას ისეთი გამაყრუებელი გრუხუნი მოჰყვა, როგორიც მხოლოდ თავკერძა, ბოროტი იმპერიის ნგრევასა და რკინის მძიმე ფარდის ჩამოშლას შეიძლება ჰქონოდა. ეს ნამდვილად არ იყო მხოლოდ გაზაფხულის მაფხიზლებელი წვიმების თანმხლები ელვა თუ ჭექა-ქუხილი, არამედ მისი სახეცვლილი, ანომალიური ფორმა, რომელიც მსხვერპლს ითხოვ-

და, ნაცვლად მაცოცხლებელი ძალისა. მსხვერპლი მიიღო – ადამიანური!

რა გამოადარებდა?! ბავშვურ გონებას უკვირდა, რომ არა მხოლოდ ზეცა, მთელი გარემო იყო მოქუფრული, ადამიანების ჩათვლით, რომელთაც აქაიქ ამოეყოთ თავები ნანგრევებიდან. გამალებულნი ცდილობდნენ ერთმანეთის გადარჩენას მტკრიან ბურუსში. ზოგიერთი მათგანი უკანმოუხედავად გარბოდა, სამშვიდობოს გაღწევის მიზნით. მათი ნაწილი ისეთი გამმაგებითაც, რომ ფეხქვეშაც კი არ იყურებოდა, ვაითუ, ვინმესათვის ფეხი დაებიჯებინათ. თუმცა, ფეხქვეშ რა დაახედებდათ, როცა ზეცასაც კი არ შესცექეროდნენ და ამგვარი სწორხაზოვანი გვერდზე გაუხედაობით, ნანგრევის მტვერში ხან სად გადაიჩებოდნენ და ხან რას ეხეთქებოდნენ გზაარეულები. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ნანგრევიან, ცოცხალ-მკვდრიანად, საკუთარი გადარჩენის სანაცვლოდ, სამშობლოს აჩეჩებდა ხელში ხან ვის და ხანაც ვის!

ვისხედით ბავშვები, საკუთარი გენეალოგიური ხეების ტოტებსა და ფესვებს ამოფარებულები და შიშნარევი გაურკვევლობით შევცექეროდით ჩვენი განთიადის ფერისცვალებასა და ცრუ იდილიას...

მერე, როცა მტვერმა დაწმენდა დაიწყო და ნანგრევებმა, ზოგან ავად და ზოგან კარგად, მილაგება, ჩვენც შეგვნიშნეს, გამხნევება დაგვიწყეს:

„აი, თქვენ! დიახ, თქვენ ხართ ჩვენი მომავალი და თქვენმა მონდომებამ უნდა გადაგვარჩინოს!“ – ამისი თქმა, ანთებული გულების აღტაცება და ტყვიების

ხმა ერთი იყო. წვიმა დაუშვა, შემზარავი ტყვიების წვიმა! და... გაზაფხულის ხიბლში შესული ახალგაზრდობის უსულო სხეულმა მოიცვა მზიანი საქართველოს ოქროსფრად მოლივლივე ზღვისპირეთის წალკოტი...

გარიურაჟის რუხი გარდასახვა სრულ უკუნეთად გადაიქცა და თუ კარგად არ მოინდომებდი და ტოტებიდან ძაძებს არ გადასწევდი, ცის ნაჭერსაც ვერ ჰქონდებდი თვალს, რომ გაგერჩია, სად იყავი - ქვესკნელში თუ დედამიწაზე! თუმცა, ვაი, იმ გახედვასაც, რადგან სიბნელესა და ბურუსში, რა უკეთურობას აღარ ეპოვა სარბიელი. განსაკუთრებით იმათგან, ვინც უკუნი სიბნელისაგან თითქმის ვერ განირჩეოდა. ხოლო აქა-იქ მბუუტავ, სანთლით მოარულ ჩრდილებს, რომელთაც დაპქონდათ სითბო და სინათლე, ჯიუტად უტევდა უსულგულო ქარი.

ის იყო, გადაყრილი მტვრისაგან უნდა განთავისუფლებულიყო ჩვენი ხალხის თვალსაწიერი, რომ ისევ დაუშვა ტყვიასავით მძიმე წვიმებმა და ახლა შიგ ქართლის გულს შანთავდა ახალგაზრდად გარდაცვლილ სიცოცხლეთა ალმური!

ტოტები, რომლებიც სულ დასერილიყვნენ ჩვენგან მონაგერიებელი მახვილებითა და ტყვიებით, ჩუმად, მაგრამ მტკიცედ გვიმეორებდნენ:

„გადარჩები! მეტად მოვინდომოთ და გადავრჩებით! ყველაფერი კარგი წინ არის!“ მერე, ამ ტყვიების წვიმებს შორის, თუ იმძლავრებდა ბუნების ძალა და ნამდვილი, უუუუნა წვიმა წამოვიდოდა, ტოტები მთელი მონდომებით აგროვებდნენ და ამისამართებდნენ

წყალს ფესვებისაკენ, რომ ემძლავრათ და უფრო გა-
მალებით გავემხნევებინეთ ფეხზე წამოსადგომად!

მერე სირცხვილამდე გვეტკინა დასერილ ტოტებს
ამოფარება. ვიმძლავრეთ და მოვინდომეთ იარების
მორჩენა, მაგრამ ალბათ არა საკმარისად, რადგან
იარები არ მოშუშებულა.

შუადლემ გადაინია. არც გაზაფხული აღარ არის
და იმ ვაი-ვიშში ვინ რისი დარგვაც მოასწრო, ცდი-
ლობს, იყოჩალოს, იმედი არ გააცრუოს და ნაყოფად
იქცეს გამრჯეთა გულის მოსაგებად, რათა არ შე-
შინდნენ.

მაგრამ ეს ნაადრევი სუსხი, დედამინას რომ მოე-
დო, ისეთი სუსხი, ვისაც ზამთარი არ უნახავს, იქაც
რომ მიაღწია – ეს რაღა არის?!

„შემოდგომა იქნება! ლამაზი, ფერადი, ნაყოფით
სავსე შემოდგომა!“ – ავტეხეთ გადარეული, ჩუმი
ხმაური სამყაროს კართან საშველად მიჭრილებ-
მა და პასუხიც სწორედ იქ მივიღეთ ქარტეხილების
თაობამ, მტკიცე პასუხი: „ტყვიებისა და მახვი-
ლის წვიმებს გადარჩენილები, ზამთრის სუსხს რო-
გორ უშინდებით?“ – აქ, თითქოს, გონს მოვეგებით
უკვე, მერამდენედ. მხოლოდ ის გვალელვებს, გონი
შეგვრჩა თუ არა ჯანსაღი? და ისევ ფესვებიდან წა-
მოსული მძლავრი ინსტინქტი გვახსენებს, რომ უკვე
ტოტები ვართ, რომელნიც უნდა გადავეფაროთ ახალ
ყლორტებს და დავიცვათ. მერე, გარე სამყაროს
სუსხში, საკუთარ თავში შემონახულ სითბოს ვპოუ-
ლობთ და ბოლომდე, დაუზარებლად ვაწვდით ნორჩ
ტოტებს, გადასარჩენად.

აქ კი, თავს გვახსენებს ერთი შეხედვით მარტივი, ბანალური კანონზომიერება – ზრუნვა მომავალზე. თუმცა, რამხელა შინაარსს და თავგანწირვას იტევს საკუთარ თავში ეს „ბანალური ბრძოლა“. და აქ იწყება სრული აღიარება ყველა დროის, ყველა თაობის იმ ადამიანებისა, რომელთაც თუნდაც ერთი სანთელი ჩამოქნეს და მათი წილი ქვეყანა გაანათეს.

მერე... გრცხვენია, ტკივილამდე გრცხვენია ახლა უკვე ახალი ყლორტების, რომ მათ სინათლე მოაკლდებათ შენი სისუსტის ან უმოქმედობის გამო და სამყაროს კარის ანარეკლში დანახული საკუთარი თავი გეუხერხულება იმის გამო, რომ განგაში ატეხე – გინდა თუ არა, ქარტეხილების თაობა ვართო! ვინ იცის, ქარტეხილი როდიდან იღებს დასაბამს ან სად აქვს დასასრული?! გონება იღვიძებს და ახსენდება, რომ ყოველი მშვიდობიანი დღე უნდა მიუძღვნას ფესვთა მომძლავრებას, რტოთა სიმრავლისა და სიჯანსაღისათვის!

11.11.2020 ნელი

ორიოდე სიტყვა

თითქოს, სახეგაცლილ აჩრდილთა მგლურ ხორუმში არის ჩართული დღევანდელი კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მხოლოდ საკუთარი, ცხოველური საწყისებიდან შემოძალული ინსტინქტების რიტმიკას შეიგრძნობს და ასახავს კიდეც თავის მოძრაობებსა და ამოძახილებში. დიახ, სწორედ მოძრაობასა თუ ამოძახილებში, რადგან გო-

ნიერი ადამიანის მიერ გააზრებულის განსაზღვრების მახასიათებლებს ნამდვილად ვერ აკმაყოფილებს მათ მიერ განხორციელებული ქმედებები. ხოლო, მათი თავაწყვეტილი, უსახო როკვა კვებავს ქვეცნობიერის საკნებში გამოკეტილ იმ მხეცურ ემოციებს, რომელთა სინერგია დროსა და სივრცეში, უსამართლობის ქაოსურ ცუნამად დაძრნის კეთილშობილ ადამიანთა ცნობიერში, რასაც მოაქვს ბურუსი, ნგრევა და განმარტოება, გაუცხოება, საკუთარი თავის მიმართაც კი.

მერე გახსენდება, რომ ძალა და გონება უნდა მოიკრიბო შენში, ადამიანად დარჩენისთვის აუცილებელი საუკუნო ცოდნის გადასარჩენად.

აქ კი აწყდები არსებული მოცემულობისაგან შექმნილ საზღვრებს, რომელსაც ერთმანეთზე გადახლართული მითოლოგიური ურჩხულებივით მრავალსახა და ყოვლის მშთანთქმელი ავსული ზღუდები გვიქმნის. შიშით, უნდობლობითა და ღვარძლით ნასაზრდოები ემოციური წინაღობები...

ხოლო უსახო აჩრდილთა ხორუმი მოტორულად ცდილობს, სამსხვერპლოზე მირეკოს და თავის სიბნელეში შთანთქას კეთილშობილება, ზნეობა, სიყვარული, ბოლოს და ბოლოს, რწმენა, ღმერთო ჩემო! ყველაფრის მიმართ რწმენა, რაც ადამიანად დარჩენის შესაძლებლობას მოგვცემდა ჩვენც და ჩვენ შემდგომ მოვლენილ თუ მოსავლენ სიცოცხლეებსაც...

როგორ მინდა, რომ ვცდებოდე!

ნეტა, ვცდებოდე!

13.11.2021 ნელი

ზამთრის პეიზაჟშია ბამახსენა...

როდესაც შევძლებთ, რომ ჩვენი არსებობის ამო-სავალი წერტილი გახდეს ადამიანი, როგორც ღვთის ხატი, მაშინ ეს შეგრძნება იმდენად შეგვიპყრობს და აავსებს ჩვენს არსებას, რომ სხვა რამისათვის ადგი-ლი აღარ დაგვრჩება გულსა და გონებაში. მაშინ მი-ვხვდებით, რა მშვენიერია სიცოცხლე და იდეალურად განწესებული ეს სამყაროც, სადაც ვინმეს (ვინმეთა) გონებაში დაბადებული აზრები (რამდენად გენიალ-ურიც უნდა იყოს) კი არ ბატონობენ და განაგებენ ქვეყნიერების ავან-ჩავანს, არამედ ერთადერთი, უპი-რობოდ დომინანტური გრძნობა – ყოვლისმომცველი სიყვარულის ღვთიური მადლი!

საკვირველია, რატომ ან როგორ უნდა გამოფი-ტოს ადამიანმა საკუთარი თავი ისე, რომ უსულგუ-ლობით ხელებში ჩააკვდეს თავის ირგვლივ არსებუ-ლი ხალისი, რწმენა, სულთა და საგანთა სილამაზე, სიცოცხლე! ნაცვლად იმისა, რომ ეცადოს, გახდეს იმ დადებითი სინერგიის თუნდაც ერთი პეშვი, რომ-ლის ძალაც, შესაძლოა, კონკრეტულ დროსა და პირობებში სხვათათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელო-ვანი აღმოჩნდეს. რაც უფრო მეტად გავაცნობი-ერებთ ადამიანები იმ პასუხისმგებლობათა მნიშვნე-ლობას, რომელიც გვაკისრია და რაც უფრო მეტად ვიფიქრებთ ამაზე, მით უფრო მეტად დაგვიმძიმდება ჩვენ მხრებზე დადებული ტვირთი და ვივლით თავ-დახრილნი და დამძიმებულნი, როგორც ზამთრისას თოვლშეყინულ ნაძვთა ვარჯები, მაგრამ მტკიცენი და ნათელნი, როგორც ცაზე მნათობნი!

გავხდეთ, ნაბიჯი უკეთესობისაკენ!

04.12.2021 წელი

მიქაელის სულთა დროება

თითქოს, მოღალა ჩვენმა გაუთავებელმა წრიალ-მა და ერთი და იგივე მოჯადოებულ წრეზე ადამი-ანის ბორიალმა სამყაროს შემოქმედი და ნაცვლად თითოეული ქვაკუთხედის ნატიფად და მკაფიოდ მოვარაყებისა, მიჯღაბნა ბოლო დროის მკვიდრთა სულები ტლანქი, ბინდისფერი ხაზებით, რომელთა ამორფული გეომეტრია თავს იწონებს საკუთარი ინ-დივიდუალიზმითა და უნიკალურობით – განუმეორებ-ლობით. მიუხედავად იმისა, რომ ამ უნიკალურობის ალბათობა იმდენივეა, რამდენიც ინდივიდი და უსას-რულო, როგორც სიცოცხლე, მგონია (თუ მეჩვენე-ბა), რომ დღეს სწორედ უნიკალურობა არის დაკარ-გული. ადამიანები, ერთი მხრივ, ძალაუფლებისა და მომხვეჭელობის მაძიებელთა ჩამოსაქნელ ყალიბებში თავქვე გადაშვებულ ნაკადად ვართ გადაქცეულნი, ხოლო მეორე მხრივ, მორგებული გვაქვს მსხვერ-პლის როლი და ცინიზმამდე მისული აბსოლუტურად პასუხისმგებლობამოხსნილი მორალისტების ყალ-იბებიდან ვინონებთ თავს. ახლა თავმომწონე „ღვთის-გან რჩეულთა“ კატეგორიასაც დამიხედეთ, როგორი კომიკურია მათი თავგანწირვა – გამოჩნდნენ იმაზე უფრო აღმატებულები, ვიდრე არიან, საკუთარი ტყავი აღარ ჰყოფნით და როგორც ჩვენში ამბობენ: „ტყავიდან ძვრებიან“... აյ აღარაფერს ვიტყვი ადა-მიან-მტაცებლებზე, რომელნიც ადამიანის განსაზ-ღვრებაში რამდენად ჯდებიან, ეს ჩემი ცნობიერის აღქმის მიღმაა მოქცეული...

ასე მგონია, რომ მხოლოდ ბავშვობაა ნამდვილი სიცოცხლე...

არ მინდა, ვიფიქრო, თითქოს სიკეთე გაქრა და არ არსებობენ მანათობელი სულები, რომელნიც თავიანთი უბრალოებით მთელ საკუთარ ენერგიას სითბოსა და კეთილშობილების სახით აზიარებენ, მაგრამ ვაგლახ, რომ ალბათ იმდენად შემცირდა მათი რიცხვი, – ვეღარ ანათებენ და ათბობენ წუთისოფელს იმგვარად, რომ გაალლონ მარწუხები, რომლებიც სხვადასხვა ყალიბებში ეზიდებიან ადამიანთა გულებსა და გონებას.

ამასობაში მგონია, რომ ვერაფერ სასიკეთოს ველარ ვქმნით ვერც საკუთარი თავისთვის და მით უფრო, საზოგადოებისთვის. საკუთარი ფოჩებისა და მაქმანების სწორებაში გართული ან სულაც ჩაკარგული თაობები ვართ, რომლებიც ამ ფოჩებისა და მაქმანების ქვეშ ვმალავთ იარებსა და წყლულებს, ნაცვლად განკურნებისა. ბოლოს, ამ იარებსა და წყლულებს მაინც თავისი გააქვთ და რჩება მხოლოდ იმედგაცრუება, წუთისოფლის ილუზია...

და... მაინც, რატომ უჭირს ადამიანს ასე ამ წუთისოფელში?!

23.03.2022

OM

* * *

ცრემლი სდის მთვარეს, ატირდა ღამე,
კოკებით ღვარეს –
ზოგმა ცრემლები, ზოგმა სისხლი,
ბოროტმა – ზიზლი!

სისხლი სდის მთვარეს, ატირდა ზეცა,
გულს ელდა ეცა,
სან სიბრალულის და ხანაც ბრაზის –
ცას ცეცხლი სერავს!

სისხლი სდის მზესაც, ატირდა დედა,
გულს ელდა ეცა:
ნორჩი სიცოცხლის თვალებიდან
ნადენი ცრემლის!

დღეს უჭირს რწმენას, გულს ელდა ეცა,
გთხოვთ, რომ ხმა გამცეთ ერმაც და ბერმაც:
რატომ ან რისთვის ეს ყოველივე
დაუშვა ღმერთმა?

27.02.2022

მარტი 2022

მე რა მგონია...
შენ რა გგონია...
მას რა ჰგონია...
ომი, ომია!!! და ის სწორია:
უსამართლობის, ტკიფილის
და არშებრალების!
ნგრევის, სიკვდილის,
ბოროტის როკვის
ცეცხლის ალებით!
მისი კვალია დალენილი
გული, სარკმლები – ვერ მაცქერალნი,
როგორც თვალები –
ამოშანთული უმოწყალოდ,
მკვლელად წარწყმედით!
ომი, ომია: სიტყვით, საქმით,
არშებრალებით,
უღმერთობით გაქვავებულ
გულთა ზრახვებით!
მზეო, დაბრუნდი სამზეოზე – ნუ, იმალები!
დედას ჩააკლეს ყრმა სიცოცხლე მძრწოლავ
მკლავებში,
ნუთუ არასდროს გინახიათ დედის ალერსი?!
რამ გაგაქვავათ, დაგამუნჯათ,
გემუდარებით,
ერთხელ და ბოლოს –
ღმერთს გაუხსენით გულის კარები!

06.03.2022

ხუთი მარტი, 2022

მძიმე, აფეთქების ბურუსში გახვეული გაზაფხულის დღეა. უკვე მეათე, რაც უკრაინის მიწაზე ნაღმები ცვივა. იღუპებიან უდანაშაულო სიცოცხლეები, ერი კი მტკიცედ და თავგანწირულად იბრძვის თავ-დაცვისათვის (შესაძლოა გადარჩენისათვისაც). იბრძვის ყველა: კაცი, ქალი, ახალგაზრდა თუ ხნიერი – ვისაც როგორ ძალუბს და ამ ერთიანობით დღითი-დღე ძლიერდება მათი სულები, რომელთაც ცხელი შანთებივით უტრიალებთ ყოველი ტყვია, რომელმაც მათ მიწაზე გაიზუზუნა ბოროტების ექოდ!

ნაღმები ცვივა სხვა ქვეყნის (ამ შემთხვევაში, ჩემთვის სრულიად სამაგალითოს) მიწაზე, ხოლო ბურუსი ჩემს ქვეყანაში უფრო მეტია. ბურუსი უკიდურესი სიძულვილისა და უკიდურესი თვითდაჯერებულობის მარათონებიდან ადენილი მტვრის. ისეთი ბურუსია, რომ ერთმანეთს ვეღარ ვხედავთ ადამიანები. ვითიშებით და ვიკარგებით – ერთმანეთს ვკარგავთ და სამშობლოს ვინდა დაგიდება!

და... ეს ბურუსი ყოველგვარ ატომურ ღრუბელზე უფრო მძიმე, მომწამვლელი და მომაკვდინებელია, რომელიც არა მხოლოდ დროისა და სივრცის რომელიმე კონკრეტულ განზომილებას ფიზიკურად ასახირებს, არამედ, მომავალი თაობების სულსა და ზნეობაზე ისახება, რადგან დღეს ჩვენს შვილებს ამით ვასაზრდოებთ!!!

და ბოლოს... სულ მიკვირს: ამდენი „ბრძენის“ ქვეყანაში რატომ გვაქვს ასეთი ყოფა?!

სიცოცხლე ჩემი დევიზია

სული დამეღალა, განა შემიძლია?!
მაგრამ ეს სიცოცხლე ჩემი დევიზია,
ღმერთო! მომიტევე თუ არ შემიძლია,
სინანულის გარდა სხვა რა შემიძლია?
სული დამეღალა, ნეტა რა მეღანდა,
სიხარულის გარდა სხვა რა შემიცნია,
ღმერთო! მაპატიე თუ ვერ შემიგრძნია,
სინანულის გარდა სხვა რა შემიძლია?
სული დამეღალა? – არა, შემიძლია!
სიყვარულის გარდა სხვა რა შემიცნია,
ღმერთო დიდებულო! შენი დიდი მადლით,
სიყვარულის გარდა არა შემიძლია!
მერე რა, თუ ცოტა სული დამეღალა?
სულია და არც კი გაიფიქრებს ღალატს,
თუნდაც ცაში ავა და მზეს გამოსტაცებს
ჩემს გასაღვიძებლად სხივთა ერთ-ორ ალამს!
თუნდაც მთაზე ავა, მთვარეს შეუძახებს,
ყურსაც არ ათხოვებს კლდეთა საშიშ ღალადს,
მშიერ ნადირთა და ქვემძრომთ
ქვესკნელს მავალთ,
სულია და არც კი გაიფიქრებს ღალატს!
ზღვის ფსკერს ეწვევა და მარგალიტს მიპოვის,
თეთრი სისპეტაკის ისევ ვიგრძნობ ძალას,
სული დამეღალა? – არა, შემიძლია,
რადგან ეს, სიცოცხლე ჩემი დევიზია!

02.10.2020 წელი

სტრუქტურა

რედაქტორისგან.....5

ადამიანო!

იმედის ფრთები.....	11
ადამიანი თვითკმარია.....	12
ადამიანო!.....	13
ადამიანო, ნუ გეშინია!.....	14
ადამიანთა მრწამსი.....	15
ადამიანი – ღვთის ხატად.....	16
თუ ვერ გიხარია.....	18
მარტოსულობა.....	19
ცრუ შედავათი.....	20
***ჩვენი ყველა ნაბიჯი და ნაფიქრალი.....	21
ბრიყვის სიბეჭე.....	22
მელანქოლია.....	23
ვუსმინოთ ერთმანეთს.....	24
ტევრი.....	25
რასიზმი.....	26
რეკენ ზარები.....	27
ნუთუ პასუხია?.....	28
როცა ქვეყნად ხარ!.....	29
რწმენა.....	30
განსჯა.....	31
ზამთარი.....	33
ბოროტება კლავს!.....	35
სიცოცხლის სევდა.....	36
სტერეოტიპთა მსხვრევა.....	38
ულმობელ მწერალს.....	39

ამპარტავნება.....	40
არ გამოკეტო შენივე სული.....	41
***ისე დაგვლეთება.....	42
თეთრი შუქურა.....	43
კაცობრიობა.....	44
პროტესტის ტალღა.....	45
ბოშა.....	46
გაცვდა კამარა.....	47
ბედმა იარა.....	49
გაზაფხული 2021.....	50
ბავშვობის დილა.....	51
სულის დარაბა.....	53
მარტის 8.....	55
***ყველა დროს მოაქვს თაიგულები.....	57

სამყარო

ვითხოვ შენდობას.....	61
ჯალამბარებზე.....	63
ცხოვრება სიცოცხლეზე მცირეა!.....	64
მე განვეშორე ადამიანს.....	65
ამაღლდი შენზე.....	66
მზისკენ.....	67
მისტიკა სახლობს.....	68
რითმები.....	70
მთის ჩქერალები.....	71
ნება შემეძლოს.....	73
მშფოთვარე სტიქია.....	74
აღმოსავლეთის ცა.....	75
გაზაფხული 2020.....	76
ოდონდ, ღმერთო, შენ იყავი!	77

დღეს შემოდგომა.....	79
კითხვები.....	80
ხელოვნებას.....	82
ჩამოთვა.....	84
პოეზიამ შემიფარა.....	85
მე ფენიქსი ვარ!.....	87
ზაფხულის ღამე.....	88
და ვინჩი.....	89
ჟამთასვლა.....	91
სამყაროს ვერ ვცნობ.....	92
განცდამ წამაქეზა.....	93
ზღვას.....	95
მზე ივსებს უბეს.....	96
სიმშეიდის მხედრები.....	97
სიცოცხლე მიყვარს.....	99
*** ბოროტისაგან შფოთვის.....	101
მუზების ქარში.....	102
ფიქრები აღდგომაზე.....	104
რა დამეკარგა?!.....	106
წერა აღარ მსურს.....	107
დრო რას მპირდება?.....	108

ჩემი სამშობლო

სამშობლოს!.....	111
იდგა აპრილი.....	113
მახე.....	114
დილა სვანეთში.....	115
სამშობლოში დაბრუნებულ გენერალს.....	117
ოკუპანტი.....	118
კახეთი.....	119

რა მოგვივიდა? რა გვემართება?	121
კოლხეთს.....	122
ცხრა ძმა ხერხეულიძის დედას.....	124
სცადე, ნუ დაწერ!	126
ქვაწყობილები.....	128
ღმერთო, შეეწიე საქართველოს!	129
ძველი სვანური ლამე.....	130
გენიოსს უშეულიდან.....	132
ისევ ბრძოლები – გადარჩნისთვის.....	133
ხალდეს გმირებს.....	134
ბერიკაცი ჯოხით.....	136
გმადლობ, ღმერთო!	138
მაგანთ.....	140
თავისუფლება, უსაზღვრობა, მარადისობა.....	142

აგრაი

ნასოფლართ.....	145
***წამოიშალნენ სიცოცხლის წლები.....	147
თტრმი სარწგ.....	148
ბებიაჩემის (ციცინე მარგველანის) ნაამბობი.....	150
ნუთუ.....	151
მომავალს ვიწვევ.....	152
ნატვრა.....	153

სული

ცოდვა-მადლიანი დღეები.....	157
სულების წყარო.....	158
სულის ყვავილობა.....	159
სული დამუნჯდა.....	160

ფიქრებთან

მე მიყვარს ფიქრი.....	163
ფიქრებთან მარტო.....	165
ჩემი ბავშვობის ფერები.....	166
ფიქრთა ხომალდები.....	168
მე მგონი, ცოტა გავიზარდე.....	169
ალბათ.....	170

ჩვენ

ანას, ნიკოლოზს, მარიამს!.....	173
აწვიმთ კესანეებს.....	174
ანა გაემგზავრა.....	176
დროს ვერ დაასწრებ.....	177
დ ე დ ე ბ ს.....	179
მაპატიე, მეგობარო!.....	180
მისალოცი ბარათი.....	181
ჩვენ.....	182

ორიოდე სიტყვა

ათნი ბევრნი მოწამენი.....	185
ქარტებილების თაობა.....	188
ორიოდე სიტყვა.....	192
ზამთრის პეიზაჟმა გამახსენა.....	194
მიჯდაბნილ სულთა დროება.....	195

ომი

***ცრემლი სდის მთვარეს.....	199
მარტი 2022.....	200
ხუთი მარტი, 2022.....	201
სიცოცხლე ჩემი დევიზია.....	202